

რუთაიძეს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფიზიკურიკის კატედრა

მისამართი

ასაკონგრესი ვებსიტზე  
ს ა გ 0 0 6 0 3 0

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფილოლოგიის კათადღა



მისამართი განვითარების მინისტრის მიერ მისამართი

# ასაკონსილო ფილოლოგიის

## ს ა კ ი თ ხ ე ც ი



ქუთაისი  
1998

ნაშრომში განხილულია ხაკითხები, რომელთა სწავლებაც გათ-  
 ვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებში, ასაკობრივი და პე-  
 დაგოგიური ფსიქოლოგიის ამჟამად მომქმედი პროგრამების შესა-  
 ბამისად. წიგნს არ აქვს სისტემატიზირებული სახელმძღვანელოს  
 პრეტენზია, რამდენადაც იგი მოიცავს მხოლოდ ასაკობრივ ფსი-  
 ქოლოგიის ძირითად საკითხებს, ხოლო პედაგოგიური ფსიქოლოგიის  
 საკითხები აქ განხილული არაა. მიუხედავად ამისა, იგი ნაწილობრივ  
 მაინც შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ფსიქოლოგიის ამ დარგის  
 სახელმძღვანელოებით სტუდენტი ახალგაზრდობის მომარაგებაში  
 არსებობს.

სტუდენტებთან ერთად, წიგნი დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს  
 პედაგოგებს, მშობლებს და მოზარდი თაობის აღზრდით დაინტე-  
 რესებულ სხვა მუშაკებს.

რედაქტორები: აკად.

**3. კაპაბაძე**

დოც. ქ. კოვჭანაძე

რეცენზენტები: დოც. ო. დევიძე

დოც. ქ. სტურუა

### მინასიტაზაობა

ასაკობრივი ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, შერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისახა. მისი წარმოშობა და განვითარება არსებითადაც დაკავშირებული პედაგოგიური სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესებთანა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის პროცესის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, უძირველეს ყოვლისა, პედაგოგიური ჰემიქმედების ობიექტის მუნების გათვალისწინებას მოითხოვს, რაც აქტუალურს ხდის ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის საკითხს.

აღნიშნული ინტერესი განავგებს წდის თანამედროვე ასაკობრივი ფსიქოლოგიაში შექმნილ ორ მნიშვნელოვან გარემოებას: 1) ფსიქოლოგიის ეს დარგი ძირითადად ვითარდება ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიის პრიმატით, რომლის ფუნქციებიც ზრდასრულთა და მოხუცებულთა ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. 2) ასაკობრივი ფსიქოლოგია გადაჭრავულია თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების მეორე მნიშვნელოვან დარგთან, პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან, ისე, რომ პედაგოგიური პროცესის უმაღლეს საწავლებლებში ასაკობრივი და პედაგოგური ფსიქოლოგია ერთ სასწავლო დისციპლინადაა წარმოადგინილი.

წინამდებარე ნაშრომიც აღნიშნული ტრადიციების გათვალისწინებითა აგებული. მასში ძირითადად წარმოდგენილია ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიის საკითხები და შესაძლებლების მხედვით, გათვალისწინებულია პედაგოგიური ინტერესებიც. ამასთანავე, საგანგებოდ ცვდილობით გამოვლენებით სწორედ ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები და არ გადავსულიყვავით პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში.

ბავშვისა და მოზარდის ფსიქიური განვითარების პროცესთან დაკავშირებით, თანამედროვე ფსიქოლოგიაში უამრავი გამოკვლევა მოიპოვება, როგორც ჩვენთან, ასევე „ახლო“ და „შორეულ“ საზღვარგარეთში. რამდენადც ჩვენ, ძირითადად, არაფსიქოლოგიური სპეციალობების სტუდენტთა აუდიტორია გვევლა მხედველობაში, ამდენად ყურადღება გავამახვალეთ მხოლოდ საყოველო თაოდ აღიარებულ ფაქტებსა და დებულებებზე და შევეცადეთ მეოთხველისათვის გვეჩვენებია ადამიანის ფსიქიური განვითარების კანონზომიერებათა ზოგადი სურათი. ამიტომ, არ მოხერხდა შევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევის დასახელება და განხილვა.

წიგნი შედგება სამი თავისაგან, პირველი თავი ეძღვნება ასაკობრივი ფსიქოლოგიის ხაგანსა და მეოთხებს. აქ ნაჩვენებია ფსიქოლოგიის ამ დარგის აღვალით თანამედროვე შეცნურებათა სისტემაში. პარაგრაფი მეთოდუბის შესახებ შედა-



რებით ვრცელია, ვიდრე საჭიროდ შეიძლება მივიჩნიოთ არასტეციალისტებისა-  
თვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ის გარემოება გავითვალისწინეთ, რომ წიგნით  
პრაქტიკულად მომუშავე სკოლის ფსიქოლოგებმაც შეიძლება ისარგებლონ.

შეორე თავში განხილულია ადამიანის ფსიქიკის ონტოგენეტური განვითარე-  
ბის ზოგადი კანონზომიერებები, რომელიც მოიცავს ერთიმეორესთან დაკავში-  
რებულ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა განვითარების განმსაზღვრელი ფაქტო-  
რების, მისი მამოძრავებელი მოთხოვნილების, ქცევასთან ფსიქიური განვითარე-  
ბის დამოკიდებულების, განვითარების პერიოდიზაციის და სხვა საკითხები. შე-  
ვიცადეთ აღნიშნული საკითხები განვეხილა „ასაკობრივი გარემოს“, „უუნქცი-  
ონალური მოთხოვნილების“ (დ. უზნაძე) და „წამყვანი ქცევის“ (ლ. ვიგურ-  
სძი) ცნებათა შუქზე, რამაც საშუალება მოგვცა ადამიანის ფსიქიური განვი-  
თარების შესახებ ჩამოგვეყალიბების ერთიანი თვალსაზრისი.

მოცულობითაც და დანიშნულებითაც წიგნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს  
შესახე თავი, სადაც მოცემულია ფსიქიური განვითარების, ცალკეული პერი-  
ოდების დახასიათება. ნაშრომის მიზანდასახულების გათვალისწინებით, შემო-  
ვიფარგლეთ ბავშვისა და მოზარდის განვითარების პერიოდების ზოგადი დახა-  
სიათებით, ხოლო კონკრეტული ფსიქიური ფუნქციებისა და პიროვნების თავი-  
სებურებების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ  
შეითხველს, შეუძლია მიმართოს სპეციალურ გამოკვლევებს, რომლებიც სათა-  
ნადო კრებულებსა და უურნალებშია წარმოდგენილი.

## თ ა ვ ი Ⅰ

ასაკობრივი ფსიქოლოგიის საგანი და მეთოდები

### 1. ასაკობრივი ფსიქოლოგიის საგანი

ფსიქოლოგია ფსიქიის ანუ ცოცხალ არსებათა სულიერი ცხოვრების კანონზომიერებებს შეისწავლის. ფსიქიის შესწავლა სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება ხდებოდეს. ამის მიხედვით ფსიქოლოგიური მეცნიერება იყოფა სხვადასხვა დარგებად. თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ასაკობრივი ფსიქოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს იდამიანის ფსიქიკა ასაკობრივი ცვალებადობის პროცესში.

მართლაც, ადამიანის ცხოვრების განმავლობაში მისი ფსიქიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანს უძლიერდება (კერძოდ, ბავშვობასა და მოზარდობაში) ან უსუსტდება (კერძოდ, მოხუცებულობაში) ფსიქიკური უნარები და შესაძლებლობები, ეცვლება ინტერესებისა და მოთხოვნილებების სფერო, მკვეთრ გადასხვაფერებას განუცდის ემოციური ცხოვრება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცვლილებები ყველა ადამიანთან მეტნკლებად თავისებურია, მათში მაინც თვალსაჩინოდ შეინიშნება საერთო კანონზომიერება. სწორედ ამ უკანასკნელს შეისწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია.

ნათევამიდან გამომდინარე, ასაკობრივი ფსიქოლოგია განიმარტება როგორც მეცნიერება ფსიქიის ასაკობრივი დინამიკის შესახებ. ასაკობრივი ფსიქოლოგიის საგანია ადამიანის ფსიქიკის ასაკობრივი ცვალებადობის კანონზომიერებები.

ადამიანის ცხოვრება იყოფა სამ დიდ ეპოქად. აქედან პირველია ბავშვობა და მოზარდობა, რომელიც არსებით გარღავმნებთან არის დაკავშირებული და როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განვითარების (ზრდისა და მატების) აღმავალ პრო-

ცეს განასახიერებს. ეს პერიოდი ინდივიდის განვითარებაში შექმნას უფრო გავრცელებული შენედულებების თანახმად, დაახლოებით 20-21 წლის ასაკში მთავრდება.

აღამიანის ცხოვრების მეორე ეპოქა ზრდასრულობა ანუ მოწილულობა. იგი შედარებით სტაბილურობით გამოირჩევა და საკმაოდ ხანგრძლივი დროის (თითქმის 40 წლის) განმავლობაში შედარებით მცირებით გამოიყენება და ფსიქიკურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. აღამიანი მოწიფულობის მოელი პერიოდის განმავლობაში ძირითადად ინარჩუნებს საკუთარ პიროვნებისეულ პრინციპებსაც და ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებსაც.

აღამიანის ცხოვრების მესამე და ბოლო ეპოქა, მოხუცებულობა (იგი დაახლოებით 60 წლიდან იწყება) ისევ მნიშვნელოვან და მკვეთრ გარდაქმნებთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ეს გარდაქმნები, მოზარდობისაგან განსხვავებით, ატარებს მხოლოდ რეგრესულ ხასიათს. მოხუცებულობაში შესულ აღამიანს, რომელიც ჯერ ისევ მაღალი ენერგიულობით და მრავალმხრივი ცხოვრებისეული ინტერესებით ხასიათდება, აკლდება როგორც სასიცოცხლო ძალები, ისე ფსიქიკური შესაძლებლობები. შესაბამისად მცირდება და ლარიბლება მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების სფერო, გრძნობებისა და ემოციების მიმდინარეობაც სრულიად თავისებური ხდება და ა. შ.

ყველა ის ცვლილებები, რასაც აღამიანის ფსიქიკა განიცდის ბავშვობა-მოზარდობის, მოწიფულობის თუ მოხუცებულობას პერიოდებში, შეისწავლება, როგორც აღვნიშნეთ ასაკობრივი ფსიქოლოგიის მიერ.

იმის მიხედვით, თუ ზემოთ დასახელებული სამი ეპოქადან რომელი მათგანის ფსიქოლოგიური თავისებურებებია კვლევის საგნად აღებული, ასაკობრივ ფსიქოლოგიაში გამოაყოფა სამი განყოფილება: 1) ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგია, 2) ზრდასრულთა ასაკობრივი ფსიქოლოგია და 3) გერონტოფსიქოლოგია (მოხუცებულობის ფსიქოლოგია). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ავტორი მათ ასაკობრივი ფსიქოლოგიის დარგებსაც უწოდებს. ჩვენ უფრო გამართლებულად მიგახნია ვიხმაროთ ტერმინა განყოფილება, რადგან ასაკობრივი ფსიქოლოგია თავადაა ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი.

ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგია შესწავლის ადამიანის  
ფსიქიკის განვითარებას ონტოგენეზში, ასაკობრივი ფსიქოლოგიას —  
ამ განყოფილებას დ. უზნაძე ასე ახასიათებს. „იგი (ბავშვის ფსიქ-  
ოლოგია — მ. მ.) ბავშვის ფსიქიკური ცხოვრების განვითარების  
პროცესს სწავლობს, პროცესს, რომელშიც ნელის თანდათანობით  
ზრდადასრულებული ადამიანის ფსიქიკის თავისებურებები მუშავ-  
დება. როგორია ეს გზა და რა ფაქტორებია, რომ მასზე წარმმარ-  
თველ ზეგავლენას ახდენენ, — ეს სწორედ ის საკითხებია, რომელ-  
თა შესწავლაც ბავშვის ფსიქოლოგიის ძირითად ამოცანას შეად-  
გენს. მაშასადამე, ჩვენი დისკიპლინის — ბავშვის ფსიქოლოგიის—  
წინაშე ფსიქიკის განვითარების საკითხები დგას, საკითხები იმ სა-  
ფეხურების შესახებ, რომელთაც ყოველი ნორმალური ადამიანი  
გაივლის, სანამ იგი ზრდადასრულებულის საფეხურს მიაღწევდეს“.<sup>1</sup>  
მართალია დ. უზნაძე აქ მხოლოდ ბავშვზე ლაპარაკობს, მაგრამ ნა-  
თელია, რომ საკითხი ეხება ფსიქიკური განვითარების პროცესს  
თავიდან ბოლომდე.

აღსანაშნავია, რომ დ. უზნაძე, ისევე როგორც იმდროინდელი  
ავტორების უმრავლესობა, ზრდა-განვითარების ნებისმიერ საფე-  
ხურზე მყოფ ადამიანს ბავშვს უწოდებს. შედარებით მოვაინებით  
დამკვიდრდა ზრდა განვითარების პერიოდის გაყოფა ორ ეტაპად, —  
ბავშვობად და მოზარდობად. საჭიროა აქვე დავაზუსტოთ, რომ ჩვენ  
ვემხრობით იმ ტრადიციის, რომლის თანახმადაც დაბალებიდან და-  
ახლოებით 10-11 წლამდე პერიოდი მიჩნეულია ბავშვობად, ამის  
ზევით კი განვითარების დასრულებამდე მოზარდობად. ეს უკანას-  
კნელი, რომელიც ბავშვობიდან დიდობაში გადასვლის პერიოდს  
წარმოადგენს, თავის მხრივ იყოფა გარდამავალ და ჭაბუკობის ასა-  
კებად. ამასთანავე, უმთავრესად მოზარდობას უწოდებენ საკუთრივ  
გარდამავალ ასაქს, მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკობაც ფაქტიურად  
გარდამავლობის გაგრძელებაა. ტერმინოლოგიურ გაუგებრობებს  
რომ არ ექნეს ადგილი, ანგარიში გავუწიოთ ამ ტრადიციასაც და  
შესაბამისად ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიაც გავყოთ სამ ნა-  
წილად: 1) ბავშვის ფსიქოლოგია, 2) მოზარდის ფსიქოლოგია, 3)  
ჭა-  
ბუკის ფსიქოლოგია. ისიც გავათვალისწინოთ, რომ ბევრი ავტორი  
სამივეს ერთიანობაში ბავშვის ფსიქოლოგიას უწოდებს, მაგრამ

1 დ. უზნაძე — ბავშვის ფსიქოლოგია; 1947; გვ. 3

ფსიქიკის ასაკობრივი განვითარების საკითხებს ჩვენ აქ მოყვანალ  
სქემის მიხედვით განვიხილავთ.

ასაკობრივი ფსიქოლოგის მომდევნო განყოფილება ზრდა-  
სრულთა ასაკობრივი ფსიქოლოგია, მოწიფული აღამიანის ფსიქო-  
ლოგიურ თავისებურებებს და ცხოვრების ამ პერიოდში მიმდინარე  
ფსიქიურ ცვალებადობებს (რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, შე-  
დარებით ნელი და შეუმჩნეველია) შეისწავლის. ოსანიშნავია, რომ  
ზოგადი ფსიქოლოგიაც თავის საგანს ძირითადად ზრდასრულე-  
ბული და კულტურის თანამედროვე დონეზე მდგომი აღამიანის სუ-  
ლიერ ცხოვრებაზე დაკვირვებით შეისწავლეს, მაგრამ ზოგად ფსი-  
ქოლოგიას აინტერესებს არა ზრდასრულთა ფსიქიკის ასაკობრივი  
თავისებურებები, არამედ აღამიანის ფსიქიკის ზოგადი კანონზომი-  
ერებები. სხვათაშორის, თავისი მიზნის მისაღწევად, მან გარკვეულ  
პირობებში შეიძლება ბავშვის ან მოხუცებულის, ხოლო ზოგჯერ  
ცხოველთა ფსიქიკის კვლევასაც მიმართოს. რაც შეეხება ზრდა-  
სრულთა ასაკობრივ ფსიქოლოგიას, იგი შეისწავლის განვითარება-  
დასრულებული აღამიანის ფსიქიას, როგორც ასაკობრივად განსა-  
ზღვრული კანონზომიერებების მატარებელს.

ასაკობრივი ფსიქოლოგის მესამე განყოფილების, გრონტო-  
ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია მოხუცებული აღამიანის ფსიქი-  
კური თავისებურებები და სიცოცხლის ამ პერიოდში მიმდინარე  
ფსიქიური ცვლილებები.

- 
- 1 ასაკობრივი (ბავშვის) ფსიქოლოგიის საგნის საკითხი დ. უზაძის „ბავ-  
შვის ფსიქოლოგიის“ გამოსკლის შემდეგ ჩვენში საგანგებო მსჯელობის  
ობიექტი აღარ გამხდარა. აღნიშნული სახელმძღვანელო კი სკოლამდელი  
პერიოდების დაბასითებას ეძღვნება და იქ ავტორი ბავშვობისა და მო-  
ზარდობის ურთიერთობამიჯნის საკითხს არ ეხება. ამიტომ მივიჩნიეთ სა-  
ჭიროდ ზემოთმოყვანილი ტერმინების დაზუსტება. არის შემთხვევები,  
როდესაც უმცროსკლასელებსაც მოზარდებს უწოდებენ, რაც გაუგებ-  
რობებს იწვევს თვითონ მოზარდის ცნების დაუზუსტებლობის გამო.  
ტერმინი „მოზარდი“ საგანგებოდ განიხილა შ. ჩხარტიშვილმა (იხ. პედა-  
გოგიური ფსიქოლოგია, II ნაწილი, რედ. შ. ჩხარტიშვილი, 1965) და  
გმოთქვა ანგარიშგასწევი აზრი, რომ „მოზარდი“ შეიძლება კუწოდოთ  
ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ აღამიანს კველა ასაკში, ხოლო მო-  
ზარდობაში უნდა გამოვყოთ ბავშვობა (10-11 წლამდე) და მოზრდილობა  
(გაზრდამავალი და ჭაბუკობის პერიოდები). ჩვენ ვიზიარებთ იმ დაყოფას,  
მაგრამ ტერმინ „მოზრდილს“ მაინც ვამჯობინებთ „მოზარდს“, რადგან  
მოზრდილი ზრდადამთაგრებული აღამიანის ოსანიშნავადაცაა გავრცე-  
ლებული.

რამდენადაც ასაკობრივი ფსიქოლოგის წინამდებარე კურსების  
ძირითადად გათვალისწინებულია პედაგოგიური პროფილის უმაღლესი დოკუმენტის სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რომლებიც ფსიქო-  
ლოგის ამ დარგს შეისწავლიან, როგორც მომავალი პედაგოგები-  
სათვის საჭირო დისციპლინას, ამდენად, კვემოთ განხილულია მხო-  
ლოდ ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგის ძირითადი საკითხები.  
ზრდასრულთა ასაკობრივი ფსიქოლოგისა და გერონტოფსიქოლო-  
გის საკითხები, მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად,  
აქ განხილული არაა, რადგან მათი განხილვა დაგვაშორებდა წიგნის  
უშუალო მიზანდასახულობას და ფორმალურად გაზრდადა მის მო-  
ცულობას.

ასაკობრივი ფსიქოლოგია თავის საგანს შეისწავლის ფსიქოლო-  
გის სხვა დარგებთან და ფსიქოლოგის მონათესავე მთელ რიგ მე-  
ცნიერებებთან კავშირში. იგი, ისევე როგორც ყველა სხვა ფსიქო-  
ლოგიური მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ადამიანის  
ფსიქიკის შესახებ ზოგადფსიქოლოგიურ ცოდნას. ცხადია, სრული-  
ად შეუძლებელია ვაკვლიოთ ცალკეული ფსიქიკური პროცესებისა  
და ადამიანის ფსიქიკური თვისებების განვითარების კანონზომიე-  
რებები, თუ მხედველობაში არ მივიღეთ მათი ზოგადი თავისებუ-  
რებები. თავის მხრივ, ზოგადი ფსიქოლოგიაც საჭიროებს იმის  
ცოდნას, თუ როგორ აღმოცენდება და ვითარდება ადამიანის ფსი-  
ქიკა მთლიანად და მისი ცალკეული მხარეები. შეუძლებელია სრუ-  
ლყოფილად გავიგოთ ფსიქიკის ზოგადი კანონზომიერებები, მისი  
წარმოშობისა და განვითარების პროცესის გაუთვალისწინებლად.

დანარჩენი ფსიქოლოგიური დისციპლინებიდან, ასაკობრივი  
ფსიქოლოგია, ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია პედაგოგიურ  
ფსიქოლოგიასთან, რომელიც სწავლებისა და აღზრდის პედაგოგი-  
ური პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს შეისწავლის. სწავლე-  
ბა და აღზრდა ადამიანის ფსიქიკური განვითარების ერთ-ერთი უმ-  
ნიშვნელოვანესი ფაქტორია და მისი ფსიქოლოგიური ბუნებას გა-  
უთვალისწინებლად ფსიქიკური განვითარების პროცესის სრულყო-  
ფილად დახასიათება სრულიად შეუძლებელი. მეორეს მხრივ, პე-  
დაგოგიური ფსიქოლოგიაც, პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგი-  
ური საფუძვლების გარკვევის მიზანს, პირველ რიგში, სწორედ ასა-  
კობრივი თავისებურებების ანალიზის აუცილებლობასთან მიჰყავს.  
ამიტომა, რომ პედაგოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებ-

ში ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ერთიან ცალსწელლა  
კურსშია მოქმედული, რაც მიზანშეწონილია როგორც შესწავლას  
სიადგილის, ისე შესასწავლი საკითხების პედაგოგიურ პრაქტიკას-  
თან დაკავშირების თვალსაზრისით.

ბავშვის ფსიქიური განვითარების ინდივიდუალურ თავისებუ-  
რებებს ასაკობრივი ფსიქოლოგია არკვევს დიფერენციალურ ფსი-  
ქოლოგიასთან კავშირში, რომელიც ადამიანთა შორის ფსიქოლო-  
გიურ სხვაობებს და სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ფსიქოლოგიას  
შეიძლება. ბავშვის სოციალური განვითარების (სოციალიზაციის)  
ფსიქოლოგიური საფუძვლებას შესწავლა ასაკობრივი ფსიქოლოგი-  
ისაგან მოითხოვს სოციალური ფსიქოლოგიის მიერ მოპოვებული  
ცოდნის გათვალისწინებას. ამრიგად, ასაკობრივი ფსიქოლოგია, ჩა-  
რთულია რა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ერთიან სისტემაში, და-  
კავშირებულია ფსიქოლოგიური ცოდნის ყველა დარგთან, რომელ-  
თაგანაც აქ შედარებით არსებითი მნიშვნელობის კავშირურთიერ-  
თობებს შევეხეთ.

არაფსიქოლოგიური მეცნიერებებიდან ასაკობრივი ფსიქოლო-  
გია, უპირველესად, პედაგოგიკასთან მოდის ახლო ურთიერთობაში,  
რადგან ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი განვითარების კანონზომიე-  
რებათა გაუთვალისწინებლად სწავლებისა და ოღზრდის თეორიული  
და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია. ამიტომ,  
ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიას (პედაგოგიურ ფსიქოლოგი-  
ასთან ერთად) დიდი ადგილი უჭირავს პედაგოგიის მეცნიერული  
საფუძვლების შემადგენლობაში. მას განსაკუთრებით დიდი მნი-  
შვნელობა აქვს ისეთი ზოგადპედაგოგიური საკითხის გარეკვეთა-  
ვის, როგორიცაა სწავლების საფეხურების დაღვენა, ასაკობრივი  
განვითარების საფეხურების გათვალისწინებით. იმასათვის, რომ  
გავარკვიოთ, რომელ ასაკი რა და როგორ ვასწავლოთ ბავშვს, სა-  
ჭიროა ვიცოდეთ რას წარმოადგენს იგი მოცემულ ასაკში ფსიქო-  
ლოგიური თვალსაზრისით. თავას მხრივ, ასაკობრივი ფსიქოლო-  
გიაც, საკუთარი საგნის შესწავლისას ყოველთვის ითვალისწინებს  
იმ პედაგოგიური გარემოს თავისებურებებს, რომელშიც ბავშვის  
ფსიქიური განვითარება მიმდინარეობს.

ადამიანის ფსიქიური განვითარება არსებით კავშირშია მის ბა-  
ოლოგიურ განვითარებასთან. ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგა-  
ნიზმის ფსიქიური განვითარება დამოკიდებულია ნერვული სისტე-



მის და უმაღლესის ნერვული მოქმედების განვითარებაზე. ტერნიცეცია  
მომწიფება და ნორმალური ფუნქციონირება ფსიქიკური განვითარების  
რების აუცილებელი წინაპარობაა. ამიტომ, ასაკობრივი ფსიქოლო-  
გია სისტემატურად იყენებს ასაკობრივი ანატომიისა და ფიზიო-  
ლოგიის მიღწევებს.

სხვა მეცნიერებებთან ასაკობრივი ფსიქოლოგიის დამოკიდებუ-  
ლებათა აქ მოყვანილი მიმოხილვა ცხადია ამომწურავი არაა, მაგ-  
რამ, ვთქმულობთ, იგი საკმარისად გვიჩვენებს ფსიქოლოგიის ამ და-  
რგის აღვილს თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში.

## 2. ასაკობრივი ფსიქოლოგიის მეთოდები

ფსიქოლოგიური ფაქტების მოპოვება დაკვირვების სხვადა-  
სხვაგვარი ხერხებით ხორციელდება. თანამედროვე ფსიქოლოგიის  
არსენალში შემავალი კვლევის მეთოდებიდან, ასაკობრივი ფსიქო-  
ლოგიის ჩვენთვის საინტერესო განყოფილება (ბავშვისა და მო-  
ზარდის ფსიქოლოგია) ძირითადად იყენებს ბუნებრივი დაკვირვე-  
ბისა და ხელოვნური ანუ ექსპერიმენტული დაკვირვების მეთო-  
დებს, მათი (განსაკუთრებით ექსპერიმენტის) სხვადასხვა მოღიური-  
ცირებული გარიანტებით (ტესტირება, სოციომეტრია, ანკეტირება  
და სხვა).

1) ბუნებრივი დაკვირვება. თავად ამ მეთოდის სახელშოდება  
გვიჩვენებს, რომ იგი გამორიცხავს დამკვირვებლის რაიმეგვარ ჩა-  
რევას დასაკვირვებელი მოვლენის აღმოცენებასა და მიმღინარეო-  
ბაში. მოვლენა აღმოცენდება და იცვლება თავისთავად, საკუთარი  
ბუნების შესაბამისად, დამკვირვებელი კი მხოლოდ პასიური  
მჭვრეტელია, რომლის ერთადერთ ამოცანასაც ყოველივეს ზუსტად  
აღნუსხვა-ფიქსირება შეადგენს.

დაკვირვება ხორციელდება ბავშვისათვის ჩვეულ გარემოში და  
ეხება მისთვის დამახასიათებელ ქცევებს. ბავშვის ფსიქიკური თა-  
ვისებურებების შესახებ ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ როგორ  
მოქმედებს იგი თამაშის, სწავლის, ყოველდღიური საქმიანობის და  
სხვა ქცევების განხორციელების დროს. დაკვირვების ობიექტს შე-  
იძლება წარმოადგენდეს ცალკე რომელიმე ბავშვიც და ბავშვება-  
სა და მოზარდების მთელი ჯგუფიც.

დაკვირვებით მოპოვებული ფაქტების სანდოობა დიდადაა და-  
მოკიდებული სიტუაციის ბუნებრიობაზე. ბავშვი ვერ უნდა ხვდე-



ბოდეს, რომ საგანგებო დაკვირვების ობაეჭტს წარმოადგენს. ცემო-  
ტომ, განსაკუთრებით სანდოა ისეთ დამკვირვებელთა მიერ მოა-  
ვებული მასალები, რომლებიც ბუნებრივად არიან დაახლოებული  
ბავშვთან.

ფართოდ გამოიყენება ე. შ. ფარული დაკვირვებაც. როდესაც  
ბავშვები საერთოდ ვერ ხელავენ დამკვირვებელს, რომელიც თვალ-  
ურს აღევნებს მათ საქმიანობას მეორე ოთახიდან. ცალმხრივ-  
გამკვირვალე მინიანი სარკმლის ან სატელევიზიო დანადგარების  
მეშვეობით.

დაკვირვების ამოცანაა არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტების  
აღწერა, არამედ მათი ახსნაც. დაკვირვების მასალებში ეს ორი მო-  
მენტი მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული. ფაქტი  
აღიწერება ზუსტად და ობიექტურად, ინტერპრეტაცია კი დამოკი-  
დებულია დამკვირვებლის უნარზე, სწორად მოახდინოს მისი ფსი-  
ქოლოგიური ანალიზი. ფაქტებისა და კომენტარების ერთიმეორი-  
საგან გარჩევის სიადვილისათვის რვეულის ფურცლებს, სადაც ჩა-  
ნაწერები კეთდება, ყოფენ შუაზე (ჩამოხაზავენ), ერთ მხარეზე ჩა-  
იწერება დაკვარვებით დადასტურებული ფაქტები, მეორე მხარეზე  
კი ახსნა, რომელსაც დამკვირვებელი იძლევა.

დაკვირვება შეიძლება ეხებოდეს ერთიანობაში ბავშვის ფსიქი-  
კის ყოველ მხარესაც და მის მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მო-  
მენტსაც. ამის მიხედვით ერთიმეორისაგან განასხვავებენ მთლია-  
ნობით და **შერჩევით** დაკვირვებას. პირველ შემთხვევაში ფიქსირ-  
დება ბავშვის ყოველი მოქმედება, რასაც კა დამკვირვებელი მნიშ-  
ვნელოვნად მიიჩნევს. თუ ასეთი დაკვირვება დიდხანს (ზოგჯერ  
წლების განმავლობაში) გრძელდება, უმჯობესია სათანადო დღიუ-  
რების წარმოება, რაც განსაკუთრებით ნაყოფიერია მაშინ, როდე-  
საც მკვლევარი-ფსიქოლოგი ახდენს ახლობელ (შვილებზე, შვალი-  
შვილებზე და სხვა) ბავშვებზე დაკვირვებას. ცნობილია, მაგალითად,  
3. პრაიორის, ვ. შტერნის, დ. უზნაძის, ვ. მუხინას, 6. ლადიგინა-  
კოტსის და სხვა ფსიქოლოგების მიერ შედგენილი დღიურები.

შერჩევითი დაკვირვების შემთხვევაში დამკვირვებელს აინტე-  
რესებს ბავშვის ფსიქიკური განვითარების რომელიმე მხარე და  
ფაქტებს აფიქსირებს ამის მიხედვით, თუ რომელი მიაჩნია მნიშვ-  
ნელოვნად მისთვის საინტერესო მომენტის შესასწავლად. ამ დროს  
განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნის მკაფიოდ დასა-



ხვას და იმის სწორად განსაზღვრას, თუ ბავშვის სავარაუდო მოქმედებებიდან როგორებს აქვს მნიშვნელობა ამ მიზნის განსაზორ-ცალებლად. ასეთი დაკვირვების ეფექტურად წარმართვისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნას ე. წ. ფსიქოგრაფიული სექტის მე-თოლიკა, რომლის არსაც დ. უზნაძე შემდეგნაირად ახასიათებს:

„ბავშვი რთული ობიექტია და მისი ქცევის ფორმებისა და სახეების გამოვლინების შემთხვევები უამრავია. მაშასადამე, დაკვირვების ნაყოფიერებისათვის აუცილებელი ხდება წინასწარი შეთანხმება იყოს იმის შესახებ, თუ რას აქვს ნამდვილი მნიშვნელობა ბავშვის შესწავლის მიზნისათვის. ამიტომ დამკვირვებელს წინასწარ შემუ-ზავებული სქემა ეძლევა, რომელიც, დასახული ამოცანის მიხედ-ვით, შესაფერ საკითხებს შეიცავს და, ამრიგად, შესაძლებლობას იძლევა — ბავშვის ქცევის უამრავ შემთხვევათა შორის იმთავითვე სათანადო შერჩევა მოხდეს და ამით დაკვირვებას თვითდანვე სწო-რი მიმართულება მიეცეს“!<sup>1</sup>

ბუნებრივი დაკვირვება ძალზე ეფექტური საშუალებაა მასწავ-ლებლისათვის (აგრეთვე სკოლის ფსიქოლოგისათვის) მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების ზესასწავლად სწავლებისა და აღზრდის კონკრეტული ამოცანების მოწესრიგებისათვის. რაც შე-ეხება მეცნიერულ კვლევას, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტების პირველადი დაგროვებისა და წინასწარი პიპოთეზების წამოყენებისა-თვის, მაგრამ კონკრეტულ პრობლემათა საბოლოო გადაჭრისათვის იგი საკმარისი არა. დაკვირვების დროს, საშუალება არ გვაქვს სა-პირო ფაქტებს განმეორებით დავუბრუნდეთ და პირველადი და-კვირვების სიზუსტე შევამოწმოთ. ბუნებრივი დაკვირვების ნაკლია ისიც, რომ, როგორც 3. მუხინა აღნიშნავს, „იგი მოითხოვს დიდი დროისა და ენერგიის ხარჯებას. მკვლევარი იძულებულია იცადოს, სანამ ბავშვის ფსიქიური ცხოვრების მისთვის საინტერესო ფაქ-ტები თავისითავად აღმოცენდება, გარდა ამისა (და ეს განსაკუთრე-ბით მნიშვნელოვანია) ცხოვრებისა და აღზრდის რთული პირობები, რომელშიც ბავშვი იმყოფება, ხშირად საშუალებას არ იძლევა გა-ვარკვიოთ ამა თუ იმ გამოვლენის მიზეზები. ბევრმა მკვლევარმა შეამჩნია, რომ ვაწარმოებთ რა დაკვირვებას, ჩვენ ვხედავთ იმას, რაც უკვე ვიცით, უცნობი კი ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება“.<sup>2</sup>

1 დ. უზნაძე — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947, გვ. 5-6.

2 3. ს. მუხინა — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1989, გვ. 21.



**2) ექსპერიმენტი.** თანამედროვე ფსიქოლოგია ექსპერიმენტული შეცნიერებაა. ფსიქოლოგის ყველა დარგი თავის საგანს ძირითადად ცდის საშუალებით შეისწავლის. ექსპერიმენტში ფსიქიკის ჩვენთვის საინტერესო გამოვლინებები, სათანადო პირობების შექმნით, მაშინვე შეგვიძლია გამოვიწვიოთ, როცა დაგვჭირდება, გამოვაცალკევოთ იგი ფსიქიკის სხვა მხარეებისაგან, რომლებიც ამჯერად არ გვაინტერესებს, გავიმეოროთ იმდენჯერ, რამდენიც აუცილებლად მიგვაჩნია და პირობების ნებისმიერი ცვლით (ვარიაციით) მას სხვადასხვა ვითარებაში დაუკუკირდეთ. როგორც ვხედავთ, გარკვეული თვალსაზრისით, ცდა ანუ ექსპერიმენტი მნიშვნელოვან უპირატესობებს შეიცავს ბუნებრივ დაკვირვებასთან შედარებით.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მარტივი ექსპერიმენტის მაგალითი. ვთქვათ გვაინტერესებს რამდენი განმეორება ესაჭიროება ათი წლის ბავშვს ოცი უაზრო სიტყვისაგან შედგენილი რიგის დასაზეპირებლად. ამისათვის შევადგენთ ასეთ რიგს (მაგალითად: ტად, გუკ, ნ. ე, ჭ. თოს, ბიმ...) და ჩვენთვის საინტერესო ასაკის რომელიმე ბავშვს დავავალებთ იზეპიროს იგი მანამდე (გაიმეოროს მრავალჯერ), სანამ სრულყოფილად არ დაისწავლის. მალე დავადგენთ, რომ ამ ცდისპირს მოცემული რიგის დასაზეპირებლად დასჭირდა ამდენი და ამდენი განმეორება. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა ერთი ინდივიდის მონაცემები, არამედ საერთოდ ათი წლის ბავშვების მონაცემები. ამის გამო აღწერილი ცდა უნდა გავიმეოროთ ამ ასაკის რაც შეიძლება ბევრ ბავშვზე. აღმოჩნდება, რომ ბავშვებს გამეორებათა სხვადასხვა რიცხვი დასჭირდებათ ჩვენი მასალის დასაზეპირებლად. მაგრამ თვალსაჩინოდ გამოიკვეთება ყველაზე უფრო გავრცელებული შედეგიც (ე. წ. მოდა). ასე, მაგალიად, ვთქვათ, ზოგ ბავშვს რიგის დასაზეპირებლად დასჭირდა 15 განმეორება, ზოგს 16; 17; 18; 19; 20 და სხვა, მაგრამ გამოკვლეული ბავშვებიდან ყველაზე უფრო ბევრმა ეს მოახერხა 18 განმეორებით. ამ შემთხვევაში, თუ „მოდა“ მართლაც თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთოდ ათი წლის ბავშვებს ოცი უაზროსიტყვიანი რიგის დასაზეპირებლად ესაჭიროებათ 18 განმეორება. თუ შედეგები ძალიან ვარიაბილურია, მაშინ შეიძლება გამოვიყვანოთ საშუალო არითმეტიკული (შევკრიბავთ ყველა შედეგებს და გავყოფთ ცდათა რიცხვზე) და ამას მიღილებთ ასაკის ნორმიდ.

ამრიგად, ექსპერიმენტის ერთ-ერთი ღირსებაა შესასწავლის კულტურული განვითარების განვითარების შესაძლებლობა. ასევე ზუსტად შეგვიძლია გაფორმოთ დასაკუთრებულ მოვლენაზე რომელიმე ჩვენთვის საინტერესო ფაქტორის ზემოქმედება. ვთქვათ, ზემოთაღწერილ ექსპერიმენტში გვარნტერესებს როგორ მოქმედებს ასაკობრივი ფაქტორი, მაგალითად, რა განსხვავებაა. ამ თვალსაზრისით აწწლიანებსა და ცხრაწლიანებს შორის. ამისათვის იგივე ექსპერიმენტის, ზუსტად იგივე პირობებში ჩავატარებთ ცხრაწლიანებზე და შედეგებს ერთი მეორეს შევადარებთ. ამასთანავე, რამე კანონზომიერებაზე რომ ვიმსჯელოთ, აუცილებელია შედეგებში სხვაობა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რასაც სტატისტიკურ სანდოობას უწოდებენ!

როდესაც ნორმა ზუსტადაა განსაზღვრული, ცალკეულ ინდივიდებთან ანალოგიური ცდის ჩატარებით შეგვიძლია უკვე მათი ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ ვიმსჯელოთ. დავუბრუნდეთ ისევ ზემოთაღწერილ ექსპერიმენტს. რაკი დავადგინეთ, რომ ათი წლის ბავშვებისათვის ოცი უაზროსიტყვაანი რიგის დაზეპირების ნორმაა 18 განმეორება, შეგვიძლია, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი ათი წლის ბავშვთან ჩავატაროთ ეს ცდა და გავარკვიოთ, რამდენად ჩამორჩება ან აღმატება იგი თავის ასაკს მოცემული უნარის განვითარებით. ასეთ სტანდარტიზირებულ მასალას ეწოდება ტესტი, მაგრამ ამის შესახებ კვემოთ დალევ გვექნება საუბარი.

ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები ტარდება სპეციალური აპარატების გამოყენებით, საამისოდ სპეციალურად აღჭურვილ ლაბორატორიებში. ყოველი ექსპერიმენტისათვის ასეთი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება დამოკიდებულია კვლევის კონკრეტულ ამოცანებზე.

განსხვავებენ მაკონსტანტირებელ და მაფორმირებელ ექსპერიმენტებს. თავად მათი სახელოწდებები გვიჩვენებს, რომ პირველ შემთხვევაში გარკვეული ფსიქიკური თავისებურების მდგომარეობის კონსტანტაცია კვლევის მიზანი, მეორე შემთხვევაში კი ექსპერიმენტული ფაქტორის გავლენის შესწავლა.

სიადვილისათვის კვლავ ზემოთაღწერილ უაზრო სიტყვების და-

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჸ. ყვავილაშვილი — სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ფსიქოლოგიაში. თბ., 1979



ზეპირების ექსპერიმენტს მივმართოთ. იგი მაკონსტანტინებული ექსპერიმენტის მკაფიო ნამუშია. ამ ექსპერიმენტით მოვახდინოთ, მაგალითად, იმ ფაქტის კონსტანტირება, რომ ათწლიანი ბავშვები ოც უაზროსიტყვიან რიგს იზეპირებენ საშუალოდ 18 განმეორებით. თუ ექსპერიმენტს სხვადასხვა ასაკის ბავშვებზე ჩავატარებთ, ძეგვის დროია ასევე მოვახდინოთ იმის კონსტანტირებაც, რომ ამავე მასალას რვაწლიანები ამდენი და ამდენი განმეორებით იზეპირებენ, ცხრაწლიანები ამდენით და ა. შ. ე. ი დავადგენთ ასაკობრივ განსხვავებულობებს ამ თვალსაზრისით. ასევე შეგვიძლია შევცვალოთ სხვა პირობებიც. მაგალითად, იგივე ათწლიან ბავშვებს ექსპერიმენტში წარმატებისათვის დავუწესოთ ჭილდო, რომლის ღირებულებაც მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო ნაკლები განმეორებები დასჭირდება დასაზებირებლად და მოვახდინოთ იმის კონსტანტირება, თუ ჭილდო, როგორც მასტიმულირებელი (მოტივაციური) ფაქტორი რა გავლენას ახდენს ათწლიან ბავშვთა მნემურ აქტივობაზე.

ახლა, ვთქვათ, გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოცემულ ასაკში ასეთი მასალის (უაზრო სიტყვების რიგის) დასწავლის უნარის გავარჯიშება. ამასათვის ზემოთაღწიან ექსპერიმენტულ სიტუაციებში დადასტურებული ფაქტების ერთსტანტირება ცხადია საკმარისი არაა. საჭიროა ექსპერიმენტში წერმოვატანოთ ისეთი ფაქტორი, ან ფაქტორები, რომლებმაც ჩვენი აზრით ხელი უნდა შეუწყონ ჩვენთვის საინტერესო უნარის შემდგომ განვითარება-ჩამოყალიბებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მაკონსტანტირებელი ექსპერიმენტის მეშვეობით დავადგინეთ, რომ ათწლიანი ბავშვები საშუალოდ 18 განმეორებით იზეპირებენ ოც უაზროსიტყვიან რიგს, შეგვიძლია ცდის პირები დავანაწილოთ ერთნაირი სიძლიერის სხვადასხვა ჯგუფებში, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ პირობებში ვავარჯიშებთ. ერთ ჯგუფს შეგვიძლია ყოველდღიურად ათი ასეთი რიგი დავაზეპირებინოთ, მეორეს ოცი, მესამე ჯგუფა შეიძლება აზრიანი სიტყვების დაზეპირებაზე გავარჯიშოთ, მეოთხე უცხო ენის სიტყვების დაზეპირებაზე, მეხუთე ლექსების დაზეპირებაზე და სხვ. ბოლოს (ვარჯიშის წინასწარგანსაზღვრული ეტაპის შემდეგ) კვლავ ჩავატარებთ მაკონსტანტირებელ ექსპერიმენტს და ვნახავთ, ჩვენთვის საინტერესო უნარი სად როგორ განვითარდა (ან განვითარდა თუ არა საერთოდ). მეტა-

სიზუსტისათვის ბოლო გამოცდას ჩავატარებთ ისეთ ჯგუფზეც, რომელსაც ვარჩიში არ გაუვლია (ე. წ. საკონტროლო ჯგუფი) რითაც დავაზუსტებთ, განვითარება მართლაც ვარჩიშის პირობებმა გამოიწვია, თუ თავისითავად მოხდა. ასეთ ექსპერიმენტს ეწოდება მაფორმირებელი ექსპერიმენტი, რადგან აქ ვარკვევთ ექსპერიმენტში შემოტანილი ფაქტორების (ჩვენს შემთხვევაში ვარჩიშის სტაციანური პირობების) მაფორმირებელ გავლენას. როგორც ვხედავთ, მაფორმირებელი და მაკონსტანტირებელი ექსპერიმენტები პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში ერთიმეორეს ავსებენ.

ბავშვისა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ცდების ჩატარება დაყავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. აქედან პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას ბავშვთან კონტაქტის დამყარების სირთულეს ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ნათელია, რომ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება მხოლოდ იმდენად განვითარებულ ბავშვებთან, რომლებსაც შეუძლიათ გაიგონ ჩვენი მოთხოვნები და იმოქმედონ ამის შესატყვისად. დაბალ ასაკში ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ბავშვის ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ისეთი ექსპერიმენტებიც, რომლებიც ცხოველთა ფსიქიის შესწავლისათვის არის დამუშავებული. მაგალითად, ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვების ფსიქიის გამოვლინებათა შესწავლისათვის ხშირად აყენებენ ე. წ. წარმატების ექსპერიმენტს.

ასეთ ექსპერიმენტებში ცდები აიგება იმ პრინციპზე, რომ ინდივიდის მოქმედება განპირობებული იყოს რაიმე სახის საჭიროებით. ე. ი. შექმნილია ექსპერიმენტული სიტუაცია, სადაც ცდის ოპერეტორი (ცხოველი იქნება იგი თუ ბავშვი) შეიძლება დაიქმაყოფილოს თავისი მოთხოვნალება, თუკი საკვლევი ფსიქიკური თვისება საკმარისად ექნება განვითარებული. ამგვარი ექსპერიმენტის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კალერის ცნობილი ცდები მაიმუნებთან პრაქტიკული ინტელექტის შესასწავლად.

კალერი მოშეიძულ მაიმუნს უქმნიდა ისეთ პირობებს, რომ შეძლებოდა შიმშილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუკი საჭმაო „მოსაზრებულობას“ გამოიჩინდა: მაიმუნის გალის მახლობლად ათავსებენ საჭმელს (ბანანს, ფორთოხალს ან მისთვის საყვარელ სხვა „ნუგარს“), რომელსაც ცხოველი ხელით ვერ წვდება, მაგრამ შეუძლია ახლოს მოიწიოს ჭოხით. ამ ამოცანის გადაჭრის



შემდეგ სიტუაცია რთულდება: საჭმელს დებენ ისეთ მანძილზე, რომ ერთი ჯოხით ვერ წვდება, მაგრამ შეუძლია ჯოხები გადაადას ერთმანეთზე. ზოგიერთ ექსპერიმენტში საჭირო იყო პატარა ჯოხოდა ახლოს მოეწია ჯერ დიდი ჯოხი, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით საჭმელი ჩაეგდო ხელში, მაღლა დაკიდებული ფორთოხლის ჩამო-სალებად ერთმანეთზე დაედგა ყუთები და ა. შ. ასეთი ექსპერიმენტებით კელერმა დაადასტურა ზოგიერთი სახეობის მაიმუნებთან პრაქტიკული ინტელექტის არსებობა.

ანალოგიური ცდები შეიძლება ჩაგატაროთ პატარა ბავშვებზეც, რომლებსაც სხვაგვარად ექსპერიმენტულ სიტუაციაში ვერ შევი-ყვანთ. ამ პრინციპზე აგებული ექსპერიმენტული კვლევით დაადგი-ნეს მაგალითად, რომ 9-10 თვის ბავშვი ახერხებს კანფეტას ხელში ჩასაგდებად გამოიყენოს მასზე მიმული ძაფი.

ექსპერიმენტის მეორე, შეიძლება ითქვას უმნიშვნელოვანეს სი-რთულეს წარმოადგენს მისი პირობების ხელოვნურობა. მართლაც უპირატესობებთან ერთად ექსპერიმენტის ეს მხარე (ხელოვნურო-ბა) თავის ნაკლსაც შეიცავს. ერთის მხრივ შევგიძლია დასაკვირვე-ბელი მოვლენა ჩვენს ნებაზე გამოვიწვიოთ და ვცვალოთ, რაც საქ-მეს მნიშვნელოვნად გვიადვილებს, მაგრამ ექსპერიმენტის ანუ ხე-ლოვნურ პირობებში ბავშვის ქცევაც ბუნებრიობას კარგავს და ხე-ლოვნურობის დამღით ხდება აღნეჭდილი. მაგალითად, ზემოთ აღ-წერილ უაზრო სიტყვების დაზეპარების ექსპერიმენტში ბავშვის წარმატება დამახსოვრების უნართან ერთად შესაძლოა ექსპერიმენ-ტის პირობების თავისებურ განცდაზეც აღმოჩნდეს რამოკიდებული. განსაკუთრებით თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდის ბავშვის ქცე-ვის ბუნებრივი მამდინარეობა. მაშინ, როდესაც ცდები სხვადასხვა-გვარი აპარატურის გამოიყენებით ტარდება. ეს სირთულეები ნაწი-ლობრივ ნეიტრალდება, როდესაც ბავშვი შეჩვეულია ექსპერიმენ-ტატორთან, არ აკრთობს მის გარემოში ყოფნა და ა. შ. მაგრამ უჩვეულობის სრული მოხსნა შეუძლებელია.

ბავშვის ფსაქოლოგიაში აღრევე დაისვა ისეთი მეთოდის შექ-მნის საკითხი, რომელსაც ექნებოდა როგორც ბუნებრივი დაკვირ-ვების, ასევე ექსპერიმენტის ლიტებები და დაზღვეული იქნებოდა ორივეს ნაკლისაგან. როგორც დავინახეთ, ექსპერიმენტის ლიტებაა დასაკვარვებელი მოვლენების ჩვენს ნებაზე მართვა. ნაკლი ბავ-შვის ქცევის შეზღუდულობა და ხელოვნურობა. დაკვირვების დროს



პირიქით ხდება — ბავშვის ქცევა სრულიად ბუნებრივად მიმდინარება  
არობს, მაგრამ საშუალება არ გვაქვს ფსიქიკის ჩვენთვის საინტე-  
რესო გამოვლინებანი როგორც გვინდა ისე გამოვიწვიოთ და  
ვმართოთ.

ცნობილმა ფსიქოლოგმა ა. ფ. ლაზურსკიმ სცადა ამ ორი გზის  
ურთიერთშესამება და შეიმუშავა ე. წ. ბუნებრივი ექსპერიმენტის  
მეთოდი, რომელმაც თავიდანვე მოიპოვა აღიარება და დღემდე ნა-  
ყოფიერად გამოიყენება ბავშვის ფსიქოლოგიის შესასწავლად. ისე-  
ვე როგორც ყოველ ექსპერიმენტში, დასაკვირვებელ მოვლენას  
აქაც ხელოვნურად იწვევენ და თავის ნებაზე მართავენ, მხოლოდ  
ცდისპირებმა ამის შესახებ არაფერი არ იციან. ისინი მათვის  
ჩვეულ მოქმედებაში არიან ჩაბმულნი და ეჭვაც არ ეპარებათ თუ  
მათზე რაიმე ექსპერიმენტი ტარდება. ასეთი ექსპერიმენტი იმითაც  
განსხვავდება ჩვეულებრივი, ანუ ე. წ. ლაბორატორიული ექსპერი-  
მენტისაგან; რომ ტარდება აუცილებლად იმ გარემოში, (ბაღში,  
სკოლაში, ოჯახში...), საღაც ბავშვი ყოველდღიურად იმყოფება,  
ხოლო ექსპერიმენტატორი საკუთარ თავზე იღებს რომელიმე საყო-  
ფაცხოვრებო როლს (აღმზრდელი, მასწავლებელი, სტუმარი...).

ასეთი ექსპერიმენტის საილუსტრაციოდ გამოდგება ვ. ს. მუხი-  
ნას მიერ აღწერილი რამოდენიმე ექსპერიმენტული სიტუაცია: „და-  
უშვათ, რომ ბავშვებს, რომლებიც მონაწილეობენ დიდაქტიკურ  
თამაშში, აძლევენ მრავალ სურათს, რომლებზეც გამოხატულია  
ცხოველები, ავეჯი, სათამაშოება და სთხოვენ დააწყონ ეს სურათე-  
ბი ისე, რომ ისეთები, რომლებიც ერთმანეთს მიუღება, ერთად  
აღმოჩნდეს. სკოლამდელები გატაცებით თამაშობენ, და მხოლოდ  
მკვლევარმა იცის, რომ თამაშის შემდეგ მას შეეძლება გაარკვიოს,  
როგორ ახდენენ ბავშვები განზოგადებას. რა ნიშნებს აქცევენ ამ  
დროს ყურადღებას. ან, მაგალითად, უფროს სკოლამდელებს მეცა-  
დინეობაზე ასწავლიან აღმების გაკეთებას. ერთ ჯგუფს კუბნებაან,  
რომ აღმებს აკეთებენ იმისათვის, რომ დღესასწაულობანა ითამა-  
შონ, მეორე ჯგუფს — რომ აღმები დედებისათვის საჩუქრადაა გა-  
მიზნული, მესამე — რომ აღმებს აჩუქებენ პატარებს, რომლებსაც  
სათამაშოები არა აქვთ. ბავშვებისათვის ეს ჩვეულებრივი საქმია-  
ნობაა მკვლევარისათვის — ხერხა ბავშვის ქცევაზე სხვადასხვა მო-  
ტივის გავლენის გასარკვევად“.<sup>1</sup>

1 ვ. მუხინას დასახულებული შრომა, გვ. 24



ასეთივე ექსპერიმენტები შეიძლება ჩავატაროთ სკოლაშიც. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი გამოდის მასწავლებლის როლში და გაკვეთილის ჩვეულებრივ მსვლელობაში შემოაქვს ექსპერიმენტული ფაქტორი, რომლის შესახებაც მხოლოდ თავად იცის. გარკვეული მიზნით ბუნებრივი ექსპერიმენტის მეთოდს შეიძლება მაგაროს მასწავლებელმაც, მოსწავლეთა ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურების შესწავლის მიზნით. მთავარია, რომ მოსწავლებისათვის ყველაფერი იყოს მხოლოდ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

ლაბორატორიული ექსპერიმენტიც ისე უნდა ტარდებოდეს, რომ ბავშვებს მათი ასაკისათვის დამახასიათებელი ქცევების განხორციელება უხდებოდეთ. მართალია, ასეთი ექსპერიმენტის დროს ბავშვმა იცის, რომ მასზე ექსპერიმენტი ტარდება, მაგრამ თუკი ასაკისათვის ბუნებრივი თამაშის, სწავლის ან სხვა საქმიანობის განწყობას შევუქმნით ექსპერიმენტის პირობები უკვე იმდენად შემზღვდავად აღარ იმოქმედებს.

3. ტესტის მეთოდი. ტესტირებაც ექსპერიმენტული მუშაობის გარკვეული ხერხია, მაგრამ სრულიად სპეციფიური დანიშნულების გამო, რაც მას ჩვეულებრივი ექსპერიმენტისაგან განასხვავებს, აუცილებელია ცალკე დავახასიათოთ.

ექსპერიმენტული კვლევის ამოცანას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძირითადად ზოგადი კანონზომიერების დადგენა შეადგენს. მაგრამ რიგ შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს, ეს ზოგადი როგორ ვლინდება ცალკეულ ინდივიდთან. სწორედ ამის გარკვევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ტესტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფსიქოლოგიური დიაგნოსტირებისათვის.

ტესტების მეშვეობით ყველა ფსიქოლოგიური თავისებურების შესწავლა შეიძლება, მაგრამ უფრო ხშირად ამ მეთოდს ინდივიდის ფსიქიკური უნარების განვითარების დონის შესამოწმებლად კვენებენ.

ტესტის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ წანასწარ არის დადგენილი მისი მეშვეობით შესამოწმებელი ფსიქიკური უნარის თუ თვისების ნორმალური გამოვლანება, რასთან მიმართებაშიც შეიძლება გამოიცადოს ყოველი ინდივიდი.

მაგალითისათვის კვლავ ზემოთაღწერილ უაზრო სიტყვათა დაზეპირების ექსპერიმენტს დავუბრუნდეთ. ვთქვათ, გვაქვს გარკვე-

ული არაოდენობას უაზრო სიტყვებისაგან შედგენილი რიგი დაწერილია ცით, რომ მისი დაზეპირების საშუალო ნორმაა განმეორებათა ასეთი კანონისა ვე გარევაული რიცხვი (ნორმა შეიძლება დაწესებული იყოს არა მხოლოდ განმეორებათა რიცხვზე, არამედ დასწავლის დროზე, ან განმეორებათა წინასწარდათქმული რიცხვის შემდეგ აღდგენილ ერთეულთა რაოდენობაზე და სხვა; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ შემდგენელმა რა კრიტერიუმის მიხედვით ჩატარა წინასწარი კვლევა). ამ შემთხვევაში თავისუფლად შეგვიძლია ნებისმიერ ინდივიდზე, ყველა იმ პირობის დაცვათ, რომელიც თავიდანვე განსაზღვრულია, ჩავატაროთ მოცემული მასალის დაზეპირების ცდა და გავარკვიოთ მასთან ამ უნარის (მექანიკური დაზეპირების) განვითარების დონე.

ფართოდაა გავრცელებული ყურადღების, აზროვნების, მესიონერების, აღქმა-დამკვირვებლობის და სხვა ფსიქიური პროცესების სხვადასხვა მხარეთა შესამოწმებელი ტესტები. ყოველი მათგანის გამოყენებისათვის აუცილებელია შეგვეძლოს ფსიქოლოგიური ცდის გამართულად ჩატარება, ამასთანვე, უნდა ვიცოდეთ კონკრეტულად ფსიქიკის რომელი მხარე იკვლევა და რა პირობების დაცვაა საჭირო.

მზა ტესტი შეიძლება გამოიყენოს ყველამ, ვისაც ფსიქოლოგიური ცდის ჩატარებისათვის საჭირო მომზადება გააჩნია. სხვა საქმია თავად ტესტის შედგენა, რაც საქმაოდ რთული ფსიქოლოგიური კვლევას განხორციელებას მოითხოვს.

განისაზღვრება რა ტესტის დანიშნულება (ე. ი. რა უნდა შემოწმდეს — ყურადღების კონცენტრაცია, დასწავლის სიმტკიცი, ინტელექტუალური შესაძლებლობები თუ სხვა რამ), ჯერ უნდა მომზადდეს სათანადო მასალა, რომელიც წინასწარი ექსპერიმენტების წედებად დაიხვეწება და დადგინდება ცდების ჩატარებას პირობები. მაგალითად, თუ გვინდა ისეთი ტესტის შედგენა, რომლითაც პიროვნების ზოგადი ინტელექტუალური შესაძლებლობები უნდა შემოწმდეს, შევაღვენთ პრობლემურ ამოცანათა სისტემას, რომელთა გადაჭრაც ინტელექტუალური გარკვეულ მონაცემებთან არის დაკავშირებული. ამასთანვე გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გონიეროვი მონაცემები ყველასთან თავისებური მიმართულებისაა და ამიტომ მასალაში სხვადასხვა ხასიათის ამოცანებს გავაერთია-

ნებთ.<sup>1</sup> ამის შემდეგ ჩავატარებთ წინასწარ ცდებს და ფავულებით დებით რამდენი ამოცანის დატოვება იქნება უკეთესი, ხომარაა მაზნისაგან დაშორებული შემთხვევითი ამოცანები, რა დრო მივცეთ ცდის პირებს ტესტის, შესასრულებლად და ა. შ.

ფსიქოლოგიურ ტესტში გამოყენებული მასალა უნდა აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან პირობას, კერძოდ, იგი უნდა იყოს აუცილებლად ნეიტრალური და შესასწავლი მოვლენის შიმართვალიდური.

ფსიქოლოგიური ტესტი მოწოდებულია ფსიქიკის რომელიმე მხარის შესასწავლად. ამიტომ ცდის პირის მიერ მისი შესრულება მხოლოდ შესასწავლ ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან უნდა აყოს და კავშირებული და მასზე სხვა რომელიმე ფაქტორმა ზემოქმედება ვერ უნდა მოახდინოს. ამიტომაა აუცილებელი, რომ მასალა იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური. მაგალითად, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შესამოწმებელ ტესტში შემავალი ამოცანები უნდა იყოს ყველასათვის პრინციპულად ახალი და არ უნდა გავდეს ჩვეულებრივ მათემატიკურ, გრამატიკულ ან სხვა სახის სავარჩიშოებს, რომელთა გამოყვანასაც ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, თორემ წედებები დამოკიდებული აღმოჩნდება არა მხოლოდ ინტელექტუალურ მონაცემებზე, არამედ იმაზე, თუ ვინ უფრო ბეჭითი მოსწავლეა, ვის უკეთესი მასწავლებელა ყავდა, სწავლის პირობებს ვის უფრო უქმნიდნენ და სხვა გარეგან ფაქტორებზე.<sup>2</sup>

რაც შეეხება ვალიდობას, იგი მდგომარეობს ტესტირებით მოპოვებული მასალის შესაბამისობაში ტესტირების შიზანთან. მაგალითად, უაზრო სიტყვათა რიგის დაზეპირება მეხსიერებასთან ერთად ყურადღების უნარსაც მოითხოვს, მაგრამ ამ სახის ტესტით შეგვიძლია მხოლოდ მეხსიერება (თანაც მისი გამოვლინების ერთი

1 ასეთი ტესტის ნიმუშები იხ. X. Аизенк — „Проверьте свои способы ности“, М., 1972; იხ. აგრეთვე მ. გ. მალრაძე — შეამოწმე უნი შესაძლებლობები, თბ., 1975

2 სხვა საქმეა, როდესაც ვადგვნთ არა ფსიქოლოგიურ, არიმედ სხვა დანიშნულების ტესტებს. ამ მეთოდით შეიძლება შევამოწმოთ მაგალითად, ის, თუ ვინ როგორ ფლობს ამა თუ იმ ენას. ცხადია, ამისათვის გამოვიყენებთ ტესტებს, რომელთა შესრულებაც სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ როგორ ისწავლა ეს ენა.

შსარე) შევამოწმოთ, ხოლო ყურადღების შემოწმების ამოცანას  
გვიჩვრის მასალა არ შეესაბამება.<sup>1</sup>

მას შემდეგ, რაც შედგენილი იქნება შესასწავლი მოვლენის შე-  
საბამისი და ნეიტრალური მასალა, უნდა დადგენილი იქნას მოცე-  
შული ტესტის შესრულების ნორმა, რასაც ტესტის სტანდარტიზა-  
ციას უწოდებენ. ამისათვის მოცემული ტესტით გამოკვლეული უნ-  
და იქნას ცდისპირთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობა (200-300  
ცდისპირზე არანაკლები). ამ გამოკვლევის შედეგების სტატისტი-  
კური დამუშავებით დავადგენთ ტესტის შესრულების საშუალო  
დონის შესაფასებელ კრიტერიუმს ანუ ტესტის სტანდარტს. ყოვე-  
ლი ცდისპირის გამოკვლევის შედეგების გადახრა სტანდარტიდან,  
გვიჩვენებს გადახრას საშუალო მდგომარეობიდან. მაგალითად, თუ  
გვაინტერესებს სწავლისათვის ეჭვის წლის ბავშვის ინტელექტუა-  
ლური მომწიფების დონე და ამისათვას ვიყენებთ ტესტს, რომელიც  
ასაკის შესაბამისი რამდენიმე ნეიტრალური ამოცანისაგან შედე-  
ბა, რომლებიც ბავშვებმა უნდა გადაჭრან მიცემულ დროში, აუცი-  
ლებლად უნდა ვიცოდეთ სტანდარტიც, ე. ი. ის, თუ საშუალოდ ამ  
დროშა, ამ ასაკის ბავშვები, ამ ტესტის ცველა ამოცანების რა ნა-  
წილს ჭრიან სწორად ვინც სტანდარტის დონეს ვერ დააქმაყოფ-  
ლებს, იგი სწავლისათვის ჯერ-ჯერობით ინტელექტუალურად მო-  
უმწიფებლად ჩაითვლება.

სტანდარტი ტესტისათვის ამდენად არსებითი მომენტია, რომ  
ფსიქოლოგიური კვლევის ამ ხერხს სხვაგვარად სტანდარტიზირე-  
ბულ ცდათა (გამოცდათა) მეთოდუაც უწოდებენ.

უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ტესტირებით მეტისმეტი გა-  
ტაცება. ძირითადად ეს ეხებათ „მოყვარულ ფსიქოლოგებს“. იმას  
გამო, რომ არ იცნობენ მასალის შედგენის მექანიზმს და წარმოდ-  
გენა არ აქვთ ნამდვილი ტესტისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე  
(არაფსიქოლოგისათვის განსაკუთრებით ძნელია შეაფასოს ვალიდო-  
ბის ხარისხი, რადგან არ იცის ინდივიდის რომელ მოქმედებაში  
ფსიქიკის რომელი მხარე ვლინდება). მათ ეჩვენებათ, რომ ტესტი-  
რებით ყოველთვის შესაძლებელია ზუსტი დაგნოზის დასმა. ზოგ-  
ჯერ საქმე იქამდეც მიღის, რომ ტესტს იყენებენ მაშინაც კი, რო-

1 დაწვრილებით იხ. Г. Витцлак — Принципы разработки и приме-  
нения психодиагностических методов в школьной практике; в  
книге: Психодиагностика: теория и практика, М., 1986.

დესაც სტანდარტიაც არაა დაზუსტებული: ზოგიერთი კი საკუთრივი ფანტაზიით თხზავს ერთი შეხედვით გონებამახვილური მაგრაშესურუ ქოლოგიურად დაუსაბუთებელ ტესტებს, რომლებიც იწვევენ ახალი მოღური ინტერესის დაკმაყოფილებასაც და დაინტერესებული ხალხის დეზორინგტაციასაც. სხვათა შორის, თავას ღრმოზე (კერძოდ, ოცდათიან წლებში) ფსიქოლოგიური კვლევის ამ უფაქიზესი მეთოდით დილეტანტების გატაცებამ და სასკოლო პრაქტიკაში მისმა გაუფრთხილებელმა გამოყენებამ, როდესაც თხზავდნენ და იყენებდნენ ყოველგვარ ტესტებს, რას გამოც უმრავლეს შემთხვევებში სრულიად აბსურდულ დასკვნებს აკეთებდნენ, ის შედეგი გამოიღო, რომ ხელისუფლებამ ტესტირება გამოაცხადა ცრუ მეთოდად და სასტიკად აკრძალა იგი.<sup>1</sup> ამან მთელი ნახევარი სუკუნით შეაფერხა ჩვენში ტესტოლოგიის განვითარება. ამ მეთოდს მივუბრუნდით მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როდესაც დავინახეთ, რა ბევრი საქმე მოიწესრიგეს მისი მეშვეობით სხვებმა (დღეს, კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში, წარმოუდგენელია აღმანებისადმი რაიმე დიფერენცირებულ მიღებულ ლაპარაკი ტესტირების გარეშე).

განსაკუთრებათ საშურია ჩვენი ფსიქოლოგიური ცენტრების მქერ ისეთი ტესტების შექმნაზე მუშაობა, რომლებიც შეგვაძლებანებს სკოლისათვის ბავშვების ფსიქოლოგიური მზაობის, ასაკობრუვი განვითარების ნორმალურ მიმდინარეობიდან გადახრის, დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა პროფილებთან ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესატყვისობის და სხვა ინდივადუალური მომენტების დიაგნოსტირებას. პრაქტიკოსებმა (მაგალითად, სკოლის ფსიქოლოგებმა), შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ იმ ტესტებით, რომლებიც რეკომენდირებულია სათანადო სამეცნიერო ცენტრების მიერ.

ტესტების მეშვეობით, როგორც ითქვა, პიროვნების ფსიქიკის ნებისმიერი მხარე შეიძლება იქნას შესწავლილი, მაგრამ ვალიდობის მოთხოვნას უფრო ასეთი ტესტები აკმაყოფილებენ, რომლებიც ფსიქიურ უნართა განვითარების მდგომარეობას არკვევენ. პიროვ-

1 ცნობილი ფსიქოლოგი პ. ბლონსკი ადრევე წინასწარმეტყველებდა ასეთ დასასრულს, რაც უცილებლად უნდა მოჰყოლოდა ტესტოლოგიით დილეტანტების გატაცებას. იგი წერდა: „მშერად ჩვენ განვიცდით ტესტური შემოქმედების ეპიდემიას. ჩვენთან ტესტებს თხზავს ყველა: პედოლოგიც, სკოლის ინსპექტორიც და რიგითი მასწავლებელიც კი“. იხ. კრებული:

ნების თავისებურებათა შესასწავლად (დასადგენად) მოწოდებულ  
ტესტებში დიდ ორლს ასრულებს თვითონ ავტორის სუბიექტურული  
შეხედულებები და ვალიდობის მაღალი კოეფიციენტის უზრუნველყოფა  
ელყოფა თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, თუ ტესტოლოგი  
ქმნის ისეთი პიროვნული თავისებურების შემსწავლელ ტესტს, ორ-  
გორიცაა „პატიოსნება“, გადამწყვეტა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ  
თავად მას როგორ ესმის ამ ცნების კონკრეტული შინაარსი.

უკანასკნელ ხანებში დასავლეთელი ფსიქოლოგები (მხედველო-  
ბაში გვაქვს დასავლეთ ევროპა და აშშ, სადაც ტესტოლოგია განსა-  
ჭითრებით განვითარებულია), ეჭვს გამოთქვამენ სტატისტიკურ  
ნორმაზე დამყარებული, უნარების შემსწავლელი, ტესტების მიმარ-  
თაც. მართალია ამ დროს გაგვაჩნია ზუსტი „ათვლის წერტილი“  
პოპულაციური ნორმის სახით, რომელსაც შეიძლება შევადაროთ  
თითოეული ინდივიდის ტესტირებას შედეგები, რაც ქმნის სიზუს-  
ტის გარანტიას, მაგრამ ერთიანი ნორმის განსაზღვრა ამა თუ იმ ასა-  
კისათვის მიაჩნიათ წმინდა ფორმალობად, რადგან ყოველ ინდივიდს  
განვითარების თავისებური პირობები და საკუთარი გზა აქვს. ამას-  
თანავე, იქმნება რა მოცემული უნარის (განსაკუთრებით ეს ეხება  
ინტელექტუალურ უნარებს) ზუსტი გაზომვას შთაბეჭდილება, დაზ-  
ღვეული არ ვართ ბავშვებისათვის სხვადასხვა „იარლიკების“ მიე-  
რებისაგან, რაც, როგორც ცნობილია არსებით გავლენას ახდენს  
მათ თვითშეფასებაზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამა  
თუ იმ მოზარდის მომავალს!

საჭიროა შევნიშნოთ, რომ კრატიკული მოსაზრებები, რომელსაც  
დასავლელი ფსიქოლოგები გამოთქვამენ სტატისტიკურ ნორმასთან  
მიმართებაში, გამომდინარეობს არა მარტო თეორიული, არამედ  
პრაგმატული ინტერესებიდანაც. მათ მიაჩნიათ, რომ ნორმაზე ორი-  
ენტირებული ტესტარება, უკეთეს შემთხვევაში პასუხს იძლევა კი-  
თხვაზე: გონებრივი განვითარების რა ნალი დონეს ფლობს ინდივი-  
დი ტესტირების შომენტში, სხვებთან შედარებით. მაგრამ ასეთი  
ტესტირება არაფერს გვეუბნება იმის შესახებ; თუ სინამდვილეში  
რისი მიღწევა შეეძლო მას და რის გაკეთებას შესძლებს სათანადო  
პირობებში.<sup>2</sup>

1 დაწვრილებით იხ. A. Анастази, Психологическое тестирование. Кн. 1, М., 1982.

2 Grucial issues in testing. Ed R. W. Tyler a. R. M. Wolf USA. 1974

აშიტომშ, ბოლო ხანებში, ფეხს იქიდებს მოსაზრება, რომ გავშვას უნარების (განსაკუთრებით გონებრივი განვითარების) განსაზღვრისათვის საჭიროა ისეთი ტესტების შემუშავება, სადაც ათვლის წერტილად აღებული იქნება ობიექტურად შემუშავებული ნორმატივი, — სხვაგვარად „სოციალურ-ფიქოლოგიური ნორმატივი“, ანუ საზოგადოებისაგან წამოყენებული ობიექტურად აუცილებელი, ასაკთან შეფარდებული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აქმაყოფილებდეს ბავშვი თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე.<sup>1</sup> ასაკთან აღნიშნულ მოთხოვნათა შეფარდება განისაზღვრება საზოგადოებრივი პრაქტიკით. ე. ი. ახალგაზრდა თაობათა სწავლებისა და აღზრდის ისტორიული გამოცდილება უნდა ადასტურებდეს, რომ ამ მოთხოვნათა დაქმაყოფილება შეუძლია ყველა ფიქიურად ჯანსაღ მოზარდს. საყურადღებოა, რომ ასეთი ნორმატივის შემუშავება, როგორც თავად ამ მამართულების მომხრებიც აღიარებენ, ძალზე რთული საქმეა, მოითხოვს მოვლენათა ფაქტს ანალიზს და მკვლევარი დაზღვეული არაა სუბიექტური შეცდომებისაგან.<sup>2</sup>

გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ არ შეიძლება ტესტის თარგმნა. თუ გვსურს ვისარგებლოთ უცხოური ტესტებით, საჭიროა მათი ქართული ადექვატის შედგენა, ნეიტრალურობის და გალიდობის ყველა მოთხოვნათა დაცვით. სტანდარტიზაცია კი უნდა მოხდეს თავიდან, ჩვენს მიერ შედგენილი ქართული ვარიანტით ცდისასითა დიდი რიცხვის გამოცდის საფუძველზე.

4. **სოციომეტრული** მეთოდი. სოციომეტრიაც ექსპერიმენტული კვლევის ნაირსახეობაა. მისი მეშვეობით იკვლევენ ადამიანებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს და ასეთ ურთიერთობათა სისტემას, ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებულ სოციალურ ჯგუფში. ამ მეთოდით შეგვიძლია დავადგინოთ მაგალითად, ყოველი მოსწავლის მდგომარეობა თანაკლასელთა შორის, ანუ თითოეულის სოციალური სტატუსი. ამავე გზით მოპოვებული მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ჯგუფის ფიქოლოგიური მიკროკლიმატის შესახებ და განვისაზღვროთ მისი სიჯანსაღის ხარისხი.

- 
- 1 **К. М. Гуревич**, Современная психологическая диагностика: пути развития — журн. «Вопросы психологии», 1982, № 1.
  - 2 დაწვრილებით იხ. **М. К. Акимова, В. Т. Коэлова**. Анализ результатов диагностических методик, ориентированных на норматив. Журн. «Вопросы психологии» 1985, № 5.

სოციომეტრიის პრინციპი დამყარებულია იმ იდეაზე, რომ ადამიანები, ისეთ ვითარებაში, როდესაც არჩევითი დამოკიდებულება უნდა გამოხატონ სხვების მიმართ, უპარატესობას ანიჭებენ. ამის უნდა ვინაც უფრო მოსწონთ, ვისთანაც ახლოს არიან ან ესწრაფვიან ასეთ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, სოციომეტრული მეთოდის არსს წარმოადგენს ცდის პირის დაყენება სწორედ ასეთი არჩევანის აუცილებლობის წინაშე.

გამოსაკვლევი ჯგუფის წევრებს ინდივიდუალურად გამოკითხავენ (ზეპირად ან ანკეტის მეშვეობით), სადაც მათ უხდებათ პასუხის გაცემა დაახლოებით ასეთ კითხვებზე: „ვისთან ერთად შეასრულებდი ასეთ (დაუსახელებენ კონკრეტულ საქმეს) სამუშაოს?“, „ვისთან ერთად გირჩევნია სამოგზაუროდ წასვლა?“, „ვისთან ერთად გირჩევნია მერხზე ჯდომა?“ და ა. შ. შედეგების სანდოობა იზრდება, თუ ადგილი აქვს არა მხოლოდ „თეორიულ“, არამედ რეალურ არჩევანს (მაგალითად, მართლაც, ვავალებთ ჩაიმე საქმეს და უნდა აირჩიოს პარტნიორი, მიგვყავს ტურისტულ ღაშქრობაში და უნდა აირჩიოს ვისთან ურჩევნია კარავში ცხოვრება და სხვ.). დიდი მნაშვნელობა აქვს არჩევის კრიტერიუმების ღირებულებასაც. მაგალითად, ოთხში ერთად საცხოვრებლად პარტნიორის არჩევა მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე კანოში ერთად წასვლა.

არჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის დროს აუცილებლად მხედველობაში მისალებია ასაკიც. ის, რაც ღირებულია ერთი ასაკის ბავშვებისათვის, არაფერს არ წარმოადგენს სხვა ასაკის ბავშვების თვალში. განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას მოითხოვენ სკოლამდელები, რომლებსაც პირდაპირი პასუხების მოცემა (ანკეტებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია) ყოველთვის არ შეუძლიათ. ამიტომ არჩევანის სიტუაცია იქმნება სწორედ მათთვის შესაფერისი მოქმედების პირობების შექმნით. მაგალითად, ბავშვს მრავალი სხვადასხვა სათმაშოდან აარჩევინებენ ისეთს, რომელიც ყველაზე უფრო მოსწონს. შემდეგ აძლევენ ორ ასეთ სათამაშოს და ეუბნებიან, რომ ერთი მისია, მეორე კი უნდა აჩუქოს რომელიმე ამხანაგს. ზოგჯერ ეს შეიძლება გაკეთდეს „საიდუმლოდ“ (დადებს სათამაშოს მის კარადაში, ვისაც ჩუქნის).

მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები განახორციელებენ ყველა არჩევანს (იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ყოველმა მათგანმა აცის მხოლოდ საკუთარი პასუხები და არავინ არ იცის თა-

ვად იგი ვინ აირჩია და ვინ არა), დგება სკეციალური ცტრიფიცა: წ.  
სოციოგრამა, რომელშიც ასახულია ვინ რამდენი არჩევანი მიღწეს,  
რამდენია ორმხრივა არჩევანის შემთხვევები და ა. შ. ამით შესაძ-  
ლებლობა გვაქვს გავატკიოთ, რომელი ბავშვები სარგებლობენ  
ჯგუფში მეტი პოსულარობით და რომლები ნაკლებით, შესაბამისად  
როგორია თითოეულის სოციალური სტატუსი, ჯგუფის რომელ წე-  
ვრებს შორის შეინიშნება მეგობრული ურთიერთობის არსებობა  
და სხვ.

ყველა ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რო-  
გორც ჯგუფში ცალკეული წევრების მდგომარეობაზე, ისე მთლია-  
ნად ჯგუფის ფსიქოლოგიური მიკროკლამატის სიჯანსაღეზე, მაგრამ  
ამ უკანასკნელის გაზომვა შეიძლება სხვაგვარადაც, როდესაც სო-  
ციონმეტრია ეხება არა ცალკეულ წევრთა ურთიერთარჩევანს, არა-  
მედ ჯგუფის ცხოვრების სხვადასხვა მხარეების შეფასებას.<sup>1</sup>

5. აქტივობის (ქცევის) შედეგების შესწავლა. აღწერილი მეთო-  
დების გარდა ბავშვის ფსიქოლოგია იყენებს სხვა მეთოდებსაც,  
რომელთა შორის პირველ რიგში, აღსანიშნავია ბავშვის ქცევის  
შედეგების შესწავლის მეთოდი. ბავშვის მოქმედებების შედეგად  
იქმნება გარკვეული პროდუქტია ნახატების, ნაძერწის, აპლიკაცი-  
ის, კონსტრუქციების და სხვათა სახათ. ყველა ამათ შესწავლას ძა-  
ლიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფსიქიკის სხვადასხვა მხა-  
რის დახასიათებისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს  
ბავშვის ნახატებზე დაკვირვებას. იქედან, თუ როგორ ხატავს ბავ-  
შვი ამა თუ იმ საგანს, შეიძლება დავასკვნათ, როგორ აღიქვამს იგი  
ამ საგანს, როგორ აქვს იგი წარმოდგენილი, რა თვისებით იცნობს  
უფრო ამ საგანს და ა. შ. ნახატებზე დაკვირვება საშუალებას გვაძ-  
ლევს ვიმსჯელოთ მათი ავტორების გონიერივი განვითარების დო-  
ნებებს.

ეს მეთოდი დამხმარე მეთოდად თვლება. რა თქმა უნდა ქცე-  
ვის პროდუქტების შესწავლა ბევრ რაიმეს გვაგებინებს ბავშვის  
ფსიქიკის შესახებ, მაგრამ იგი თითქმის არაფერს გვეუბნება იმაზე,  
თუ როგორ მივიღა ბავშვი ამ შედეგებამდე, როგორ მუშაობდა იგი.  
ამიტომ უმჯობესია, როდესაც ამ მეთოდს იყენებენ დაკვირვებას-

1 ასეთი მეთოდიების ნიმუშები იხ. წიგნში **Р. В. Овчарова.** Психологи-  
ческий микроклимат педагогического коллектива, его диагнос-  
тика и пути коррекции; Архангельск, 1989.

თან ერთად. ე. ი. ჯერ ვუკვირდებით, თუ როგორ მუშაობს  
და შემდეგ შევისწავლით მისი მუშაობის შედეგებსაც.

**6. ტყუპების მეთოდი.** ეს მეთოდიც ერთ-ერთი დამხმარე მეთო-  
დია. იგი საშუალებას იძლევა გაირკვეს რა როლს ასრულებს ბავ-  
შვის ფსაქიურ განვითარებაში თანშობილი მონაცემები და რა რო-  
ლი განეკუთვნება ამავე პროცესში გარემო პირობებს. ამისათვის  
ცვლევენ სხვადასხვა პირობებში აღზრდილი იდენტური ტყუპების  
ფსაქის სხვადასხვა მხარეს და მათ ადარებენ ერთმანეთს. რაც  
ერთნაირი აღმოჩნდება ერთნაირ თანშობილ მონაცემებს მიეწერე-  
ბა, ხოლო რაც განსხვავებული იქნება, გარემო პირობებზე დამო-  
კიდებულად მიიჩნევა. ასეთი კვლევა აუცილებლად იდენტურ ტყუ-  
პებზე უნდა ჩატარდეს, რადგან ისინი წარმოშობილნი არიან ერთ-  
კვერცხურედის გაყოფის შედეგად და ყველა თანშობილი თავისე-  
ბურება ერთნაირი აქვთ (აუცილებლად ერთი სქესის არიან, გაჭრი-  
ლი ვაშლივათ გვანან ერთმანეთს და სხვ.). არსებობენ აგრეთვე  
ძმური ტყუპები, რომლებიც სხვადასხვა კვერცხურედის ერთდრო-  
ული განაყოფიერების შედეგად არიან წარმოშობილნი და მათ შო-  
რის მსგავსება იმაზე შორს არ მიდის, რაც ჩვეულებრივ შეინიშ-  
ნება ხოლმე დედმამიშვალებს შორის.

**7. დახაფეხურებული დახმარების მეთოდი.** ეს მეთოდი ეკუთ-  
ვნის **დ. უზნაძეს.** ბავშვს აძლევენ ამოცანას, რომლის გადაწყვეტაც  
მის ძალებს აღემატება. შემდეგ ცოტას წაეხმარებიან, თუ ისევ ვერ  
გადაჭრა კიდევ წაეხმარებიან და ა. შ. სანამ ამოცანა გადაიჭრებო-  
დეს. იმის მიხედვით, თუ რა დონეზე დასჭირდება დახმარება (დახ-  
მარების საფეხურები წანასწარაა მოფიქრებული: მაგ., პირველ სა-  
ფეხურზე მკვლევარი უმეორებს ამოცანას და ხაზს უსვამს იმ მო-  
შენტებს, რომლებსაც მისი გადაჭრისათვის აქვს მნიშვნელობა, მე-  
ორე საფეხურზე პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ მომენტებს მიაქ-  
ციოს ყურადღება და ა. შ.) მსჯელობენ ბავშვის განვითარების დო-  
ნის შესახებ. ეს მეთოდი განსაკუთრებათ ეფექტურია გონებრივი  
უნარების კვლევის დროს.

## თ ა ვ ი II

### ფიციქური განვითარების ზოგადი პანონზომიერებანი

ყოველგვარი განვითარება წინსკლას ნიშნავს, თანაც ისეთ წინსკლას, რომელსაც აუცილებლად პროგრესული ხასიათი აქვს. განვითარებაში მყოფი მოვლენა ახალ-ახალ თვისობრიობაში გადადის და ყოველი ახალი მდგომარეობა აუცილებლად მაღლა დგას წინაზე. ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკური განვითარებაც ასეთი ცვალება-დობის პროცესია. ბავშვის ფსიქიკა, სანამ დასრულებულ და ჩამოყალიბებულ და მდგომარეობას მიაღწევდეს, განუწყვეტელ თვისობრივ გარდაქმნებს განიცდის. მისი ყოველი ახალი მდგომარეობა წინსკლაა აღრინდელთან შედარებით და განიხილება როგორც განვითარების გარეკვეული საფეხური.

წიგნის მომდევნო თავში განვითარების კონკრეტული საფეხურები (ანუ ასაკობრივი პერიოდები) იქნება დახასიათებული, მანამდეკი საჭიროა ფსიქიკური განვითარების პროცესის ზოგად კანონზომიერებებში გავერკვეთ.

1. ამ თვალსაზრისით, ჩვენს წინაშე, პირველ რიგში ფსიქიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხი დაისმის. საჭირო ეხება იმის გარკვევას, თუ რა განაპირობებს იმ ზოგადადამიანური ფსიქიკური სტრუქტურისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგორი თავისებურებების ჩამოყალიბებას, რაც ყოველ ინდივიდურთას მხრივ, დანარჩენებს ამსგავსებს, ხოლო მეორეს მხრივ, ყვალასაგან არსებითად განასხვავებს.

ფსიქიკური განვითარების ასეთ განმსაზღვრელ ფაქტორებად თავიდანვე მემკვიდრეობა და გარემო იქნა აღიარებული და ეს საკითხი მეცნიერებაში დღესაც ამ სახით დგას: რა როლს ასრულებს ბავშვის ფსიქიკის სხვადასხვა მხარეების ჩამოყალიბებაში მემკვიდრეობით იფაქტორები და რა როლი განეკუთვნება ამავე პროცესზი გარემო პირობებს, მათ შორის სწავლებასა და აღზრდას.

ჯერ კიდევ ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდებამდე, როდესაც ფსიქოლოგია ფილოსოფიის წიაღში ფითარებული დებოლა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს დაუპირისპირდა ნატივისტური და ეპირისტული თეორიები.

ნატივისტური შეხედულება სათავეს იღებს **მალბრანშესა** და ლაიბნიცის ფილოსოფიური სისტემებიდან (XVII-XVIII საუკუნეები). ნატივისტური შეხედულების თანახმად აღამიანი თავიდანვე იმად იბადება, რაც შემდეგ უნდა გახდეს. უფრო მეტიც, უკვე ჩანასახს გააჩნია ყველა ის თვისება, რაც შემდეგ მისგან წარმომდგარი ზრდასრული აღამიანისათვის იქნება დამახასიათებელი. ეს თვისებები, რომლებიც ბავშვმა მემკვიდრეობით მიიღო, თავიდანვე რეალურადაა მოცემული, მაგრამ ისე შემცირებული სახით, რომ თითქმის შეუმჩნეველია. განვითარება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ხდება მემკვიდრეობით მოცემული თვისებების რაოდენობრივი ზრდა და მატება. გარემოს საერთოდ და კერძოდ სააღმზრდელო გარემოს, მხოლოდ ის შეუძლია, რომ შექმნას პირობები მემკვიდრეობაში მოცემული ინდივიდის განვითარებისათვის; ხოლო ინდივიდის ფსიქიკის სტრუქტურაში მას რამე ცვლილების შეტანა არ ძალუდს.

ნატივისტებს განსაკუთრებულ უხერხულობას უქმნიდა ის გარემოება, რომ თვით დედმამიშვილებიც კი, რომლებსაც აბსოლუტურად საერთო წინაპრები გააჩნიათ დედისა თუ მამის მხრიდან, მაინც სრულიად თვისებურ პიროვნებებად ყალიბდებიან. ახალ დროში, აღნიშნული სირთულის დაძლევას ცდილობენ. გენეტიკის მეცნიერების მონაცემების გათვალისწინებით, რის შედეგადაც ტრაჟიკიული ნატივიზმი გადაიზარდა თანამედროვე ბიოგენეტიზმში. ეს უხედულებაც განვითარებაში გადამწყვეტ როლს მემკვიდრეობას ანიჭებს, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ მემკვიდრეობა ბავშვს მექანიკურად კი არ გადმოეცემა წინაპრებიდან, არამედ გენების მეშვეობით, რასაც შერჩევითი ხასიათი აქვს: ერთი და იმავე წინაპრების შთამომავლობაში ზოგს ერთი სახის თვისებათა შესატყვისი გენები გაჰყვება, ზოგს კი სხვა თვისებათა შესატყვისი გენები. მტრიგად, ყველაფერი დამოკიდებულია მემკვიდრეობით მიღებულ გენებზე, ხოლო გარემო განვითარებაში არაფერს არ ცვლის.

როგორც ვხედავათ, ნატივიზმსა და მის საფუძველზე განვითარებულ ბიოგენეტიზმს ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის მნიშვ-

ნელობა ფაქტიურად ნულზე დაჰყავს,<sup>1</sup> მაგრამ ცხოვრება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ობიექტური პირობები და მათ შორის პედაგოგიური გარემოცვა, არსებით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების მიმართულებასა და შინაარსზე.

ამ შეხედულების ცალმხრივობაზე ნათლად მეტყველებს თავის ღროზე ფართოდ გახმაურებული ასეთი შემთხვევაც: ინდოელ ფსიქოლოგ **რიდ სიგნს** მონადირეებმა მგლებთან გაზრდილი 2 და 8 წლის გოგონები მოუყვანეს. აღმოჩნდა, რომ ადამიანური გენეტიკური სტრუქტურის (მემკვიდრეობის) მიუხედავად, გოგონებს არც ერთი ადამიანური თვისება არ ჰქონდათ განვითარებული. ცხადია ასე არ მოხდებოდა, ბავშვი რომ მართლაც თავიდანვე ის იყოს, რაც შემდეგ უნდა გახდეს, **როგორც ბიოგენეტიკოსები ამტკიცებენ.**

ნატივიზმის საპირისპიროდ, **ემპირიისტული** თეორია, რომელსაც ცნობილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (XVIII საუკუნე) დაუდონ სათავე, ამტკიცებს, რომ ადამიანი მთლიანად აღზრდისა და გარემო პირობების პროდუქტია. საყოველთაოდ ცნობილია ლოკის „tabula rasa“-ს ფორმულა, რომლის თანახმადაც ჩვილის ცნობიერება „ცარიელი დაფაა“. მას მხოლოდ გარემოდან შეძენილი გამოცდილება (ცდა) ავსებს შინაარსით. ასეთივე შეხედულებას იცავდნენ და ანვითარებდნენ XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები (ე. კონდილიაკი), რომელთა აზრითაც ყველა ახალშობილი ბავშვი აბსოლუტურად ერთნაირია და ვისგან რა გამოვა ეს მთლიანად გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

ემპირიისტული პოზიციიდან შეუძლებელია აქსნას ის უდაო ფაქტი, რომ ერთნაირი აღზრდისა და გარემოებების პირობებში აუ-

- 1 ამ მოსაზრებას განსაკუთრებით თავგამოდებით გენეტიკოსები იცავენ. მაგალითად შ. ავერბუსს მიაჩნია, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვავის როგორ გასწავლით. კარგი გენების მქონე ბავშვი ცუდი სწავლების პირობებშიც მაღალინტელექტუალური აღამიანი გახდება, ცუდი გენების მქონეს კი საუკეთესო სწავლებაც ვერაფერს უშველის. იხ. **III. Авербух, Генстика, M., 1966, ст. 150.**

ცნობილი ფსიქოლოგებიდან ასეთ შეხედულებას იცავდნენ კ. ბიულენი და ე. თორჩნდაიკი, რომლის თანხმადაც „მოსწავლეთა ნაწილი ვერ მიაღწევს ვერაფერს რა კარგადაც არ უნდა მიმდინარეობდეს სწავლება, სხვებს კი მიღწევები მაინც ექნებათ, რა ცუდადაც არ უნდა მიმდინარეობდეს სწავლება“. **Э. Торчнайдик, Принципы обучения, основанные на психологии. M., 1935, ст. 59).**

ცილებლად ერთნაირი ადამიანები არ იჩრდებიან. ამასთან დაკავშირდებოდა რებით, განხილული შეხედულების თანამედროვე მომხრეები, ძირითადად აქცენტს აკეთებენ სოციალურ გარემოზე და ემპირიზმის ძირითად იდეებზე დაყრდნობით; აყალიბებენ ახალ მიმართულებას სოციოგენეტიზმის სახით, რომელიც ძნელია განხილულ იქნას როგორც ერთიანი თეორია, რაღაც მის ცენტრალურ ფორმულას ხშირად სრულიად საპირისპირო პოზიციებზე მდგომი ავტორები უჭერენ მხარს.<sup>1</sup> ეს ფორმულა კი დაახლოებით ასე შეიძლება იქნას გამოთქმული: რა გამოვა ბავშვისაგან (მაგალითად, ნიჭიერი ბიოლოგი თუ უნიჭო ფიზიკისი, ქურდი და ყაჩალი თუ პატიოსანი მშრომელი და ა. შ. საქმე ეხება ნებისმიერ ფსიქიკურ თავისებურებას, რაც კი ადამიანს შეიძლება განვითაროთთეს), ეს მთლიანად დამოკიდებულია იმ სოციალურ წრეზე, რომლის გარემოცვაშიც მიმდინარეობს ბავშვის განვითარება. ეს წრე კი მეტად მრავალმხრივია თავისი პარამეტრებით და მისი ორგანიზებული თუ სტრუქტური გავლენაც ბავშვის სულზე უსასრულოდ მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ამიტომ პრინციპულად შეუძლებელია გამუდმებით ერთად მყოფი ბავშვებიც კი სოციალური წრის აბსოლუტურად ერთნაირ გავლენას განიცდიდნენ.

ემპირისტული მიმართულება საერთოდ და განსაკუთრებით კი მის საფუძველზე განვითარებული სოციოგენეტიზმი, ისთვივე უკიდურესობაში ვარდება, როგორც ნატივიზმი და ბიოგენეტიზმი. ამ უკანასკნელთ, როგორც ვნახეთ შეუმჩნეველი დარჩათ გარემოს შნიშვნელოვანი როლი ბავშვის განვითარების განსაზღვრაში. სოციოგენეტიზმა კი ეს როლი უაღრესად გააზვიადა. ხოლო ბავშვის ბუნებრივი თანმობილი მონაცემების მნიშვნელობა სრულიად ვერ დაინახა.

2. განხილულ შეხედულებებს ერთფაქტორიან თეორიებს უწოდებენ, რაღაც ისინი ან მხოლოდ მემკვიდრეობის, ან მხოლოდ გარემოს მნიშვნელობას აღიარებენ. დღეისათვის ყველაზე უფრო გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება ბავშვის განვითარების ორფაქტორიანობის შესახებ. თანამედროვე მკვლევართა უმ-

1 საბჭოური იდეოლოგია სოციოგენეტიზმს უარყოფდა, მაგრამ მისივე ორიენტაცია „ახალი ადამიანის“ აღზრდაზე და მტკიცება, რომ საბჭოური ცხოვრების პირობებში ჩამოყალიბა ახალი, ზეეროვნული „საბჭოთა ადამიანი“, აღნიშვნული თეორიის ძირითადი იდეის დასაბუთების უშედეგო ცდაა.

რავლესობა თვლის, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარება და მდგრად დებულია თანმობილი ბუნებრივი მონაცემებისა და გრძელების ბეჭის ერთობლივ მოქმედებაზე. ამასთანავე, თანმობილ მონაცემებში იგულისხმება როგორც მექანიდრეობით მიღებული საფუძვლები, რომლებიც დედის ან მამის გენეტიკური სტრუქტურებიდან მომდინარეობს, ასევე თვისობრივად ახალი თავისებურებებიც, რომლებიც პირველად ჩნდება ორი გენეტიკური სტრუქტურის შეხვედრის ღრძოს.<sup>1</sup>

მართლაც ფაქტიური მასალა, რომელიც ბავშვების ფსიქიკური განვითარების პროცესზე დაკვირვებით და სხვა ცოცხალ არსებათა განვითარების პროცესთან მისი შედარების გზითაა მოპოვებული,<sup>2</sup> თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ მექანიდრეობითი (საერთოდ თანმობილი) მონაცემებიც და გარემოს (განსაკუთრებით სოციალური გარემოს) ზეგავლენაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ის, თუ კონკრეტულად როგორ ხერხდება ამ ორი ურთიერთისათვის უცხო ფაქტორის გამოლიანება, თანამედროვე მეციერებაშიც ბოლომდე ნათლად გააზრებული არაა. ამიტომ ორფაქტორიანი თეორიები ისევე ვერ ხსნიან ბავშვის ფსიქიკური განვითარების პროცესს, როგორც ის ერთფაქტორიანი თეორიები, რომელთა ეკლექტიკურ გაერთიანებასაც ისინი წარმოადგენენ.<sup>3</sup> ამით აიხსნება ის უცნაური შინაგანი წინაღმდეგობა, რომელსაც საბჭოთა პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას შორის ჰქონდა აღვილი და რაც, ინერციის ძალით, თავისებურად დღესაც გრძელდება.

1 ამ საყითხთან დაკავშირებით იხ. ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი — ფსიქოლოგია, 1963, თავი ნიჭიერების შესახებ.

2 ვრცლად ასეთი ფაქტების შესახებ იხ. Н. Ладыгина-Котс. Дитя шимпанзе и дитя человека в их инстинктах, эмоциях, играх, привычках и выразительных движениях. М., 1935.

3 ასეთი თეორიების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ვ. შტერნის კონვერგენციის თეორია, რომლის მიხედვითაც განვითარებას იწვევს მექანიდრეობაში მოცემული მიღრეკილებების და მათი შესატყვისი გარემობირებების ურთიერთშესვებრი ანუ კონვერგენცია, მაგრამ გაუჩვეველია როგორ აგნებენ ერთმანეთს და მოდიან კონვერგენციაში ეს ერთმეორისათვის უცხო მოვლენები (იხ. დ. უზაძე, პედოლოგია, 1935, გვ. 46-49; შტერნის თეორიის, აგრეთვე ნატივისტური და ემპირისტული თეორიების შესახებ იხ. აგრეთვე შ. ჩხარტიშვილი, აღმოჩნდა 1974, გვ. 5-9).

დება: თეორიულად აღიარებულია ბავშვის ფსიქიური განვითარებული  
ბის ორფაქტორანი განსაზღვრულობა, პრაქტიკულად კი გადამწყვე  
ტი როლი ეკისრება აღზრდას (ამ ცნების ფართო მნიშვნელობით),  
რომელიც გაგებულია არა როგორც ბავშვის ფსიქიური განვითარე-  
ბის პროცესის მართვა მისი ბუნების შესაბამისად, არამედ ბუნებრივ  
მონაცემთა ნებისმიერად შეცვლის საშუალება. ასეთი აღზრდა შეიძ-  
ლება შევადაროთ ძერწვას, როდესაც მასალას ისეთ ფორმას აძლე-  
ვენ, როგორიც მოესურვებათ.

3. ბავშვის ფსიქიური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორთა  
გამოლიანების მექანიზმი, ვფიქრობთ, შეიძლება გასაგები გახადოს  
დ. უზნაძის მიერ დამუშავებულმა „ასაკობრივი გარემოს“ ცნებამ,  
რომლის ცვალებადობა, ავტორის აზრით, გვიჩვენებს ასაკობრივი  
პერიოდების ცვალებადობას.<sup>1</sup> დ. უზნაძის თანახმად გარემო არაა  
თავისთვალი და უცვლელი მოცემულობა. ობიექტური სინამდვი-  
ლე გარემოდ ყალიბდება აქტიურ სუბიექტთან მიმართებაში, რომე-  
ლიც ამა თუ იმ მოთხოვნილების დაქმაყოფილებას ესწრაფვის. ბავ-  
შვიც მოთხოვნილებათა გამო აღიძგრის აქტივობისათვის და ობიექ-  
ტური სინამდვილიდან ის კომპონენტები შემოდის მისი აქტივობის  
გარემოში, რომლებთან ურთიერთობის შესაძლებლობაც მას გააჩნია,  
მოთხოვნილებებისა და აქტივობისათვის საჭირო ძალების განვითა-  
რების დონის შესაბამისად. ასეთნაირად ორგანიზებულ გარემოს ეწ-  
ოდება ასაკობრივი გარემო, რადგან იგი ყველა ასაკში თავისებურია  
და შეესაბამება ბავშვის ძალების განვითარების დონეს. რეალურად  
არსებული ესა თუ ის მოვლენა ბავშვის გარემოში მხოლოდ მას შე-  
მდეგ შემოვა, როდესაც ბავშვი მომწიფდება მასთან ურთიერთობი-  
სათვის. მაგალითად, უმცროსესლასელები და ჭაბუკები სრულიად  
სწავლასხვა შინაარსის წიგნებს კითხულობენ, თუმცა რეალურად  
ყოველგვარი წიგნი ორივესათვის ერთნაირად არსებობს.

როგორც ვხედავთ, ასაკობრივი გარემო არის გარეგანი და შინა-  
განი ფაქტორების ურთიერთშეხვედრის ასპარეზი, აღამიანური გენე-  
ტიკური სტრუქტურის წყალობით, რომელიც მოიცავს ზოგად და  
ინდივიდუალურ მემკვიდრეობით მონაცემებს, ბავშვს გარკვეული  
ობიექტების დაუფლების პოტენციური შესაძლებლობა და სათანადო  
მისწრაფება უჩნდება და ამ ობიექტთა რეალური მოცემულობის შე-  
მთხვევაში, ისინი შემოდიან მის ასაკობრივ გარემოში, რაც იწვევს

1 დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 21-28.

ბავშვის შემდგომ განვითარებას.<sup>1</sup> მაგალითად, სამეტყველო პრაღატის  
 ანატომიური აგებულება და ტვინის სტრუქტურა, რომელიც ბავშვს  
 ბუნებისაგან (მემკვიდრეობიდან) ეძლევა, შეიცავს ამეტყველების  
 პოტენციას, მაგრამ იმის მიხედვით გარედან როგორ ობიექტს შეხ-  
 ვდება, სხვადასხვა ბავშვი სხვადასხვაგარად ამეტყველდება (ქართ-  
 ულ ლექსიკურ გარემოში ქართულად, ინგლისურში ინგლისურად  
 და ა. შ.). ამასთანავე, ენობრივი სინამდვილე მხოლოდ მაშინ დაიჭ-  
 ერს თავის ადგილს ბავშვის ასაკობრივ გარემოში, როდესაც ბავშვის  
 შესატყვისი ძალები საამისოდ მომწიფდება ვფიქრობთ, განვითარე-  
 ბის ასეთი კონცეფცია გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ ვერავი-  
 თარი ფსიქიური თავისებურება ვერ განვითარდება ვერც მაშინ, თუ  
 სათანადო მონაცემები თანშობილი სახით პოტენციურად არაა ჭარ-  
 ბოდგენილი თავიდანვე და ვერც მაშინ, თუ ობიექტური სინამდვილე  
 მათი შესატყვისი ასაკობრივი გარემოს ფორმირების საშუალებას არ  
 იძლევა. ვინ იცის მემკვიდრეობით მიღებულ (და საერთოდ თანშო-  
 ბილ) რამდენ პოტენციურ შესაძლებლობას კარგავს მრავალი ადა-  
 მიანი მხოლოდ იმის გამო, რომ სათანადო ასაკში შესატყვისი პირო-  
 ბებით არაა უზრუნველყოფილი. პედაგოგიური სისტემაც. სადაც  
 აქცენტი კეთდება ზოგადზე, ინდივიდუალური კი უგულვებელყო-  
 ფილია, დიდად აფერხებს თითოეული ინდივიდის განვითარებისათ-  
 ვის შესაფერისი სრულყოფილი ასაკობრივი გარემოს ფორმირებას.

ბუნებრივი მონაცემებისა და გარემოს ერთ სტრუქტურაში გამ-  
 თლიანების (ამ სტრუქტურად, როგორც ვთქვით, ასაკობრივი გარე-  
 მო მიგვაჩნია) მექანიზმთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი  
 დგება: რანაირად ხერხდება, რომ ობიექტურ სინამდვილეში, ბავშვს,  
 მართალია არა ყოველთვის, მაგრამ ძირითადად მაინც ისეთი ობიე-  
 ქტები ხვდება, რომლებიც მისი განვითარების პოტენციურ მოცემუ-  
 ლობებს შეესაბამება და ბუნებრივად შემოღიან მის ასაკობრივ გა-  
 რემოში, მაგალითად, ბავშვს სიარულისა და მეტყველების დაუყოლე-

1. გარემოსთან ბავშვის დამოკიდებულების ცვალებადობა განვითარების  
 მაჩვენებელ ფაქტორად მიაჩნია ლ. ვაგოტსიაც (იხ. მისი პროблема  
 возрастающей периодизации детского развития, жур. „Вопросы  
 психологии“. 1972, № 2). მაგრამ, მისი გაგებით, „გარემო იმთავითოვა  
 მზამზარეული სახით არის მოცემული: იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს  
 ოვათონ ბავშვს. ასეთი გარემო კი შეუძლებელია ბავშვის განვითარების  
 ფაქტორად ჩატვალოთ“. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947,  
 გვ. 24.

ბის ბუნებრივი (მემკვიდრეობითი) მონაცემები აქვს, გარემო (მემკვიდრეობის ტრადიციული გაგებით) კი სათანადო ნიმუშებს იძლევა. ზოგ ვე ითქმის ფსიქიკური განვითარების ყველა სხვა მხარეებთან დაკავშირებით.

ამ საკითხზე ყველაზე საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა შ. ჩხარტიშვილმა,<sup>1</sup> რომლის აზრითაც მემკვიდრეობა და გარემო სრულიადაც არ არიან ერთიმეორისათვის ისე უცხო მოვლენები, როგორც ეს ტრადიციულად იყო წარმოლგენილი. მემკვიდრეობა, რომლითაც ბავშვი იბადება, მისი წინაპრების ადამიანური ცხოვრების პირობებშია ჩამოყალიბებული და ადამიანური გარემოს სახით მას სწორედ მისი შესაფერი პირობები ხვდება. კულტურული გარემო (ანუ სოციალური გარემოცვა), რომელშიც ბავშვი დაბადების შემდეგ აღმოჩნდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც მემკვიდრეობის თავისებური ფორმა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა სოციალური ურთიერთობათა გზით. ამ მემკვიდრეობის სახით, ინდივიდუალურად მიღებული ბიოლოგიური მემკვიდრეობა სწორედ თავისი ბუნების შესატყვის გარემოს ნახულობს. მაგალითად, უამრავ წინა თაობას მეტყველების უნარი რომ არ ჰქონოდა, არც ბავშვი დაიბადებოდა ამეტყველების პოტენციით და არც ლექსიკური გარემოცვა დახვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ანუ სოციალური გარემოს სახით. მართალია ბავშვის ასაკობრივი გარემო საბოლოოდ მაინც ბუნებრივად ფორმდება, რადგან ბავშვის შინაგან მდგრამარეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ბავშვი სამყაროსთან უშუალო ურთიერთობაში კი არ იმყოფება, არამედ მისი აღმზრდელი სოციალური წრე განსაზღვრავს, როდის რასთან ჯობს მოვიდეს იგი ურთიერთობაში.

4. როგორც ეხედავთ, განვითარების პოტენციური მონაცემები და მათი შესატყვისი მიეკეთური ფაქტორები მხოლოდ აქტივობის პროცესში მთლიანდებიან ერთიან სტრუქტურაში და განაპირობებენ განვითარების მიმართულებასა და შინაარსს. ამრიგად, განვითარების უშუალო მიზეზი ბავშვის მიერ განხორციელებული აქტივობაა. ბავშვი რომ აქტიური სუბიექტი არ იყოს, არც მისი განვითარება მოხდებოდა.. ყოველ სუბიექტს აქტივობისათვის ესა თუ ის მოთ-

1 შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1974, გვ. 11-17; იგ. აგრეთვე ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, 1963, გვ. 347-382.

ხოვნილება აღძრავს. აღამიანური მოთხოვნილებები მეტად რთული და მრავალფეროვანია. ისმის კითხვა: აღამიანისათვის განვითარებული ბეჭ მოთხოვნილებებს შორის, რომელია ისეთი, რომელსაც ბავშვის ფსიქო-ფიზიკური აპარატი ისეთ მოძრაობაში მოჰყავს, რომ ბავშვი გამუდმებით იცვლება და წინ მიიწევს. რა მისწრაფება (მოთხოვნილება) აიძულებს მაგალითადდ, ჩვილ ბავშვს, რომელიც სოციალური გარემოს შეურვეობაშია მოქცეული და არაფერი არ ყლია, და ტოვოს თავისი მდგომარეობა და ფეხზე გავლა, ლაპარაკი და უფროსთა სხვა ქცევებისადმი წაბაძვა სცადოს.

**განვითარების მამოძრავებელი „პირველადი და ძირითადი“ (შ. ჩხარტიშვილი):** მოთხოვნილება შეიძლება მხოლოდ იმ პირველად მისწრაფებებს შორის ვეძიოთ, რომლებიც დაბადებიდანვე იჩენენ თავს და ბავშვს პირველი მარტივი აქტივობების განსახორციელებლად აღძრავენ. საგნობრივად გარკვეულ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბება და დიფერენციაცია თავად სათანადო აქტივობათა შედეგია და თავიდან მაინც, განვითარების აღმძრებელი ძალის როლს ისინი ვერ შეასრულებენ. უფრო მეტიც, ბავშვი გარკვეულ აქტივობას დაბადებამდე რამოდენიმე ხნით ადრე, უკვე დედის მუცელში ამჟღავნებს, გარტივ მოძრაობათა სახით (რასაც მუცლის ძვრას უწოდებენ), როდესაც ჯერ გარედან არაფრის მიღება არ ესაჭიროება.

ყველა, ვისაც კი ახალშობილ ბავშვთან საქმე ჰქონია, ადვილად ხედავს, რომ თავიდან ბავშვს გარემოდან ძირითად სომატურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მეტი არაფერი სჭირდება. დედის საშოღან მას მოაქვს მოთხოვნილება ზოგადად საკვებზე, სითხეზე და სხვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განვითარების პირველადი მამოძრავებელი მოთხოვნილება სომატურ სფეროში უნდა ვეძიოთ. საკითხის ასეთ გადაწყვეტის ემხრობიან კ. ბიულერი და ჟ. პიაუე; რომელთა აზრითაც, თავიდან განვითარება შიმშილის დაკმაყოფილებისათვის აღძრულ აქტივობაში ხდება, მის ბაზაზე კი, ასოციაციებისა და პირობით რეფლექსური კავშირების მეშვეობით, სხვა უფრო მაღალი მოთხოვნილებები და რთული ფსიქოლგიური სტრუქტურის მქონე ქცევები (აქტივობა) ვითარება.<sup>2</sup>

1 შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 27.

2 ჟ. ფროიდიც სომატურ სფეროში ექებს განვითარების მამოძრავებელ მოთხოვნილებას და ასეთად სქესობრივ ლტოლვას მიიჩნევს, მაგრამ თავად ის დაშვებაა, რომ ახალშობილი ბავშვი უკვე სუქსუალურ სწრაფვას განიცდის საჭიროებს საგანგებო დასაბუთებას.



საბჭოთა ფსიქოლოგებს, თავიანთი დოგმატური მეთოდლოგიური კონცეპციის მიუხედავად, მაინც სწორად აქვთ დანხული, რომ ცოში ტური მოთხოვნილებებით აღძრული აქტივობა, მართალია გარკვეულ როლს ასრულებს განვითარებაში; მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას მას ვერ მივანიჭებთ. ასეთ აქტივობას ცხოველებიც განახორციელებენ, ასოციაციები და პირობით რეფლექსური კავშირები მათთანაც მუშავდება, მაგრამ ცხოველი ამით განვითარების ახალ-ახალ საფეხურებზე არ ადის. ამიტომ, ადამიანური ფსიქიკის განვითარება მხოლოდ ისეთ აქტივობაში შეიძლება ხდებოდეს, როგორიც ადამიანისათვისაა სპეციფიკური.

**ლ. ვიგორტსკის** აზრით ბავშვს ადამიანური ფსიქიკა უნვითარდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ამრიგად განვითარების გამოძრავებელ მოთხოვნილებადაც სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სოციალური მოთხოვნილება უნდა მივიჩნიოთ. ეს მოთხოვნილება კი ბავშვს უჩნდება იმის გამო, რომ გამუდმებით სხვათა მზრუნველობითა გარემოსილი და ყოველგვარი სიამოვნება, რასაც იგი განიცდის, სხვა ადამიანებისაგან მომდინარეობს.<sup>1</sup>

მართებულადაც რომ მივიჩნიოთ **ლ. ვიგორტსკის** შეხედულება ბავშვთან სოციალურ მოთხოვნილებათა განვითარების შესახებ, განვითარების გამოძრავებელ პირველიდ წყაროდ მათი აღიარება მაინც შეუძლებელია, რადგან ისინი ავტორისავე აღიარებით, სხვა მოთხოვნილებათა ბაზაზე წარმომდგარი, ე. ი. უკვე განვითარების პროცესში გაჩენილი ფენომენები არიან.

**ლ. ბოკოვიჩმა** წამოაყენა მოსაზრება, რომ განვითარების პარველადი მამოძრავებელი მოთხოვნილებაა ახალი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილება, რომელიც, როგორც ბავშვზე დაკვირვება გვიჩვენებს, თავისთავად აღიძვრის დაბადებიდან 4—5 კვირის შემდეგ და ბავშვის ზრდის კვალობაზე ძლიერდება, მრავალფეროვნდება და გადაიზრდება უმაღლეს სულიერ მოთხოვნილებებში.<sup>2</sup>

ამ შეხედულების მიმართ უნდა ითქვას, რომ ბავშვს შთაბეჭდილებათა მიღებაზე მოთხოვნილება უჩნდება არა თავისთავად, არამედ საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში და ამდენად

1 Л. С. Выготский, Избранные психологические исследования, М., 1956.

2 Л. И. Божович, Личность и ее формирование в детском возрасте, М., 1968.

იგი პირველადი განმავითარებელი აქტივობის აღმძვრელუფლეზე ჩაითვლება. ასეთი როლი მან მხოლოდ 4—5 კვირის ასაკიშინ შექმნაშება იყიდებოს, მაგრამ, როგორც შ. ჩხარტიშვილი შენიშნავს, მაშინ გაუგებარი რჩება თუ აქტივური რას მიჰყავს განვითარების პროცესი. ამასთანავე, ცნობილია, რომ ბავშვს მოთხოვნილება აქვს არა მაინც დამაინც ახალ და უცხო შთაბეჭრილებებზე, არამედ საერთოდ ყოველგვარ გრძნობად შინაარსებზე, რასაც, ჩვეულებრივ, პერცეპტულ ინტერესს (კლაპარაზი) უწოდებენ.

5. შ. ჩხარტიშვილის აზრით, განვითარების მამოძრავებელ პირველად მოთხოვნილებას შეუძლებელია რომელიმე ისეთი მოთხოვნილება წარმოადგენდეს, რომელსაც სინამდვილის გარკვეული ობიექტები აქმაყოფილებს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, აქტივობა შესაბამისი ობიექტებითაა ჩაკეტილი და მათი დაუფლებისთანავე აღკვეთება.<sup>2</sup> შიმშილი საკვების მიღებით აღიკვეთება, წყურვილი სითხის მიღებით, პერცეპტული (საერთოდ შემეცნებითი) ინტერესი შთაბეჭრილებათა მიღებით და ა. შ. ასეთ მოთხოვნილებათა დაკამაყოფილების პროცესი განვითარებაში წამყვან როლს მაშინაც კი ვერ შეასრულებს, როდესაც რთული მოქმედებებისა და ოპერაციების განხორციელებას მოითხოვს (ცნობილია, მაგალითად, რა რთული აქტივობების განხორციელება უხდება მტაცებელ ცხოველს შიმშილის მოთხოვნილების დაკამაყოფილებისათვის). მით უმეტეს ვერ განვითარებს იგი ბავშვს (ე. ი. ვერ გამოიწვევს მასთან ახალი, უფრო რთული, მოთხოვნილებებისა და შესაბამისი ქცევების წარმოქმნას), რომელსაც საკვებიც, შთაბეჭრილებებიც და საერთოდ ყველაფერი, რაც გარედან ესაჭიროება, მზამზარეულად ეძლევა.

ამიტომ, როგორც ავტორი ფიქრობს, „განვითარების პირველი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა აქტივობის მოთხოვნლება, რომელიც თვითონ სიცოცხლის ბუნებას გამოხატავს...“<sup>3</sup> ეს მოთხოვნილება არაა ჩაკეტილი ერთმნიშვნელოვნად რომელიმე კონკრეტული სახის აქტივობით და იგი ყოველგვარ აქტივობაში შეიძლება და ფერენცირდეს. იგი კმაყოფილდება კუნთების მოძრაობაშიც, შეგრძნების ორგანოთა მუშაობაშიც, გონიერივ აქტივობათა სხვადასხვა ფორმებშიც და ა. შ., იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში სუბი-

1 შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 31

2 შ. ჩხარტიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 30

3 იქვე, გვ. 33



ექტის რომელი ფუნქციაა აქტივობისათვის მზა მდგომარეობაში. აქტივობისათვის ეს მოთხოვნილება აბსოლუტურად ღია ყველა სახის აქტივობისათვის.

მართლაც სიცოცხლე მოძრაობას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომელიც აერთიანებს ფსიქიკურ და ფიზიკურ მოქმედებათ ყველა ნაირსახეობას) ნიშნავს. ცოცხალი ორგანიზმი აქტიურია თავისთვად და არა მხოლოდ იმის გამო, რომ გარედან რაღაც ობიექტების მიღება ესაჭიროება. როცა ფხიზელი ვართ თვალი ყოველთვის ლია გვაქვს, მიუხედავად იმისა, ამ წუთში რაიმეს დანახვა გვესაჭიროება თუ არა. ხშირად დავდივართ ისე, რომ „არსად არ მივდივართ“. აქტივობის სრული აღკვეთა ძილშიც კი არ ხდება, სხვა დროს კი სრულიად შეუძლებელია აბსოლუტურად უმოქმედოდ ვამყოფებოდეთ. ეს ფაქტიურად სიცოცხლის აღკვეთა იქნებოდა.

ეს მოსაზრება განსაკუთრებული სიცხადით ჩამოაყალიბა და თანმიმდევრულად დაასაბუთა დ. უზნაძემ, რომელმაც დამაჯირებლად უჩვენა, რომ ადამიანის (იგივე ითქმის საერთოდ ყველა ცოცხალ არსებაზე) აქტივობას მარტო საგნობრივი ანუ სუბტანციონალური მოთხოვნილებები კი არ იწვევს, არამედ თვითონ აქტივობის შინაგანი ტენდენციებიც, ანუ ფუნქციონალური მოთხოვნილებები. „ამა თუ იმ ფუნქციის, ამა თუ იმ ძალის არსებობა ბუნებრივად მის მოქმედებას, მის აქტივობას ნიშნავს“.! წერს ავტორი.

ბავშვს, ფსიქო-ფიზიკური განვითარების პროცესში, მძრვალი ორგანო და ფუნქცია უჩნდება, რომელთა ამოქმედების მოთხოვნილებაც იწვევს მის პირველ აქტივობებს. ამით აიხსნება, რომ ბავშვი უკვე დედის მუცელში იწყებს მოძრაობას, რაც აქმაყოფილებს მისი კუნთების ამოქმედების მოთხოვნალებას,. იწვევს მათ შემდგომ განვითარებას და უზრუნველყოფს დაბადებას. დედის საშოდან ბავშვს მარტო სომატური მოთხოვნილებები არ მოჰყვება. მას იქვე გააჩნია კუნთების ამოძრავებისა და ანალიზატორთა ამოქმედების შინაგანი ტენდენციაც. პირველის საფუძველზე აღძრული აქტივობა ბავშვს ფიზიკურად ანვითარებს, მეორე კი შეგრძნების ორგანოთა გავარჯიშებას უზრუნველყოფს და სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში თანდათანობით ღებულობს საგნობრივ გარკვეულობას, გადაიზრდება რა პერცეპტულ ინტერესში ანუ შთაბეჭდილებათა მიღების

1 დ. უზნაძე, შრომები, ტ. V, 1967, გვ. 157



მოთხოვნილებაში. ფუნქციონალური ტენდენციით აღძრულ აქტივიზმი გობათა შედეგად ბავშვი ვითარდება, მას ახალ-ახალი ძალები და ფუნქციები უჩნდება, რომლებიც თავის მხრივ ახალი (თავის შესატყვისი) შინაარსის აქტივობებს უკეთებენ ორგანიზაციას და ასე გრძელდება განვითარების დამთავრებამდე.

ამრიგად, განვითარების მამოძრავებელ პირველად და მირითად ძალად ზოგადად აქტივობის მოთხოვნილება, ანუ ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციონალური ტენდენციები უნდა ვალიაროთ. სწორედ ეს ტენდენცია წარმოადგენს ბავშვის თამაშის და საერთოდ ყველა იმ ქცევის მამოძრავებელ წყაროს, რომლებსაც შინაგანი ანუ ინტროგენური წარმომავლობა აქვთ და შეუძლიათ განვითარებაში წამყვანი როლის შესრულება.<sup>1</sup>

6. აქამდე საუბარი გვქონდა აქტივობაზე საერთოდ, როგორც განვითარების უშუალო მიზეზზე. ყოველგვარ აქტივობას ჰყავს თავისი სუბიექტი, რომელიც მას გარკვეული მოთხოვნილების დასაკმარისი სუბიექტი, რომელიც მას განახორციელებს, არსებული ობიექტური პირობების ყოფილებლად განახორციელებს, არსებული პირობების შესატყვისად. ამრიგად, აქტივობა ყოველთვის ამა თუ იმ მიზნისაკენ არის მიმართული. მას აქვს თავისი საფუძველი ანუ მოტივი, რომლის გამოც მიზანია დასახული და მამოძრავებელი ძალა, საიდანაც სუბიექტი მიზნისაკენ მოძრაობის იმპულსს ღებულობს. ასეთ ძალას, უპირველესად, მოთხოვნილება წარმოადგენს. როცა ცოცხალი არსება მოცემულ მომენტში რომელიმე მოთხოვნილებას განიცდის, იგი აღიძერის ისეთი მიზნისაკენ, რომლის მიღწევაც აღნიშნულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. მაგალითად, მოწყურებული ცხოველი იქეთ მიეშურება საითაც წყალი ეგულება და მისი ეს მოძრაობა წყურების იმპულსითაა აღძრული.<sup>2</sup> ასეთივე

1 დ. უზნაძემ შექმნა ბავშვის თამაშის ორგანიზაციური თეორია, სადაც უჩვენა, რომ თამაშის მიზეზია განვითარების პროცესში მყოფი ძალების ამოქმედების მოთხოვნილება. იხ. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947, გვ. 123-127, აგრეთვე დ. უზნაძე, შრომები, ტ. III-IV, 1964, გვ. 609-616.

2 აქტივობის მიზანშეწონილება, ანუ ის ვითარება, რომ აქტივობა ავტომატურად მოდის შესაბამისობაში სუბიექტის მისწრაფებასთვალიც და ობიექტურად პირობებთანაც, იმით მიღწევა, რომ მოთხოვნილება და სიტუაცია მთლიანდებიან აქტივობისათვის სუბიექტის განწყობაში, რომელშიც მოძავალი მოქმედების პროგრამა წინასწარაა მოცემული არაცნობიერად. იხ. დ. უზნაძე, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.

მდგომარეობაშია მოწყურებული ადამიანიც, მხოლოდ იმ გაციცვალების კვებით, რომ მას მეტი ცოდნა (ცნობიერება) აქვს თავისი მოთხოვნისათვე ულებისა და მისი დაკმაყოფილების საშუალებათა შესახებ, ამასთანავე. ცხოველისაგან აღამიანი იმითაც განსხვავდება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მას გარკვეული მიზნის დასახვა და სათანადო აქტივობის განხორციელება მაშანაც შეუძლია, როდესაც უშუალოდ შესაბამის მოთხოვნილებას არ განიცდის. მას მოთხოვნილებათა შეკვების და მათ საპირისპიროდ მოქმედების ძალაც შესწევს. ასეთ ძალას ნებისყოფა წარმოადგენს, რომელიც ადამიანური აქტივობის მამორავებული წყაროა, მოთხოვნილებებთან ერთად.<sup>1</sup>

მიზნობრივად გარკვეულ აქტივობას, რომელსაც სათანადო მოტივი და მამოძრავებელი ძალა გააჩნია, ქცევა ეწოდება. ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციებით აღძრული აქტივობები თანდათანიბით ადამიანურ ქცევათა სტრუქტურაში ერთვებიან და განვითარებაც აქტივობათა შემთხვევით კომპლექსებში კი არ ხდება, არამედ ამ აქტივობებით აგებულ ქცევებში ხორცავლდება სრულიად გარკვეული კანონზომიერებებით. ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე კიდევ ერთი საკითხი იბარება: ადამიანურ ქცევათა მრავალფეროვანი პალიტრიდან რომელია? ასეთი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისათვის? გამორიცხული არაა, რომ ასეთი მნიშვნელობა ერთდროულად რამოდენიმე ქცევასაც ჰქონდეს, ან კიდევ, სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ქცევა ასრულებდეს ასეთ გადამწყვეტ როლს.

7. მოსაზრება, რომ ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში ყოველთვის რომელიმე ქცევას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, წამოაყენა ლ. ვიგორტსკიმ.<sup>2</sup> ქცევას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ასაკში ფსიქიკის სხვადასხვა მხარეების ჩამოყალიბებისათვის,

1. შ. ჩხარტიშვილმა არგუმენტირებულად უჩვენა, რომ ნებისყოფა სწორედ მოთხოვნილებათა მიუხედავად აქტივობის უნარში გამოიხატება. აქტივობას, რომელიც მოთხოვნილებით წარიმართება, როგორი მაღალიც არ უნდა იყოს ეს მოთხოვნილება (მორალური, ესთეტიკური...) და ცნობიერების რა ღონებზეც არ უნდა ხორციელდებოდეს აქტივობა, ნებისყოფა არ ესაჭროება. იხ. ჩხარტიშვალი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.

2. Л. С. Выготский, Избранные психологические исследования, М., 1956.

რაც ბავშვს მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად აშშიადებს და გადასასვლელად  
ტორი წამყვან ქცევას უწოდებს.

ლ. ვიგორტსკის მოძღვრება წამყვანი ქცევის შესახებ, ა. ლეონ-  
ტიევმა ბავშვის ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის საფუ-  
ძლად გამოიყენა, ამასთანავე, სცადა დაეზუსტებია ამ ცნების არსი,  
შემდეგი ძირითადი ნიშნების გათვალისწინებით: 1) წამყვანია ქცე-  
ვა, რომლის შიგნითაც მიმღინარეობს ქცევის ახალი ფორმების წარ-  
მოშობა, მოცემულ ასაკში; 2) ყველა ფსიქიური ფუნქცია, ამ ასაკ-  
ში, ყალიბდება წამყვან ქცევასთან დამოკიდებულებაში; 3) წამყვან  
ქცევაზეა დამოკიდებული, მოცემულ ასაკში, ბავშვის პიროვნულ  
განვითარებაში მიმღინარე ყველა ცვლილება!

წამყვანი ქცევის ცნება, თავისი სახელწოდებითაც და შინაარსი-  
თაც, ძირითადად სწორად გამოხატავს ფაქტიურ ვითარებას, რადგან,  
როგორც ქვემოთაც დავიჩახავთ, ყოველ ასაკში სრულიად გარკვეულ  
ქცევებს მიჰყავს განვითარების პროცესი. ამასთან დაკავშირებით,  
ქცევები საკითხი ასეთ სახეს ღებულობს: ბავშვის ფსიქო-ფიზიკური გა-  
ნვითარებას პროცესში, რომელი ქცევა ასრულებს ამ პროცესის წა-  
მყვანის როლს, ასაკობრივი პერიოდების შესაბამისად?

რაკი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად აქტივობის  
მოთხოვნილება, ანუ ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციები ვალი-  
არეთ, ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ განვითარების წამყვანი  
ქცევაც მნიშვნელოვ იმ ქცევებს შორის შეიძლება ვეძიოთ. რომლებიც  
ან მთლიანად ასეთი მოთხოვნილებებით არიან აღძრული, ან მათი  
ორგანიზაციის საქმეში ამ მოთხოვნილებებს გადამწყვეტი მნიშვნე-  
ლობა გააჩნიათ. მხოლოდ საგნობრივი საჭიროებით, ანუ სუბსტან-  
ციონალური მოთხოვნილებებით აღძრული ქცევები, განვითარება-  
ში გარკვეულ როლს კი ასრულებენ (პრინციპულად შეუძლებელია  
მოზარდი სუბიექტი რაიმე აქტივობას განახორციელებდეს და ეს აქ-  
ტივობა მას არ ანვითარებდეს), მაგრამ, როგორც ზემოთ დავინა-  
ხეთ, განვითარების პროცესს ასეთი ქცევები ვერ წაიყვანენ, ვინა-  
დან არ ჩანს თუ დაკმაყოფილების შემდეგ, რა მისწრაფების გამო

შეიძლება გადაიზარდონ აქტივობის (ქცევის) ახალ ფორმებში<sup>1</sup> უცვის  
იგივე ითქმის მხოლოდ ნებისყოფით ორგანიზებული ქცევების შემთხვევა  
სახებაც, რადგან ასეთი ქცევები, როგორც შ. ჩხარტიშვილმა ნათელ-  
ყო, <sup>2</sup> ობიექტური ლირებულებით, ე. ი. სუბიექტის მიერ მათი ობიე-  
ქტური აუცილებლობისა და საჭიროების შევნებით არიან მოტივი-  
რებული და მიზნის მიღწევა (საჭირო საჭმის დასრულება) მათ ისევე  
კეტავს თავის თავში, როგორც საგნობრივი მოთხოვნილებებით აღ-  
ძრულ ქცევებს.

ფუნქციონალური მოთხოვნილებებით აღძრულ ქცევებს დ. უზნა-  
ძე ინტროგენურ ქცევებს უწოდებს, სუბსტანციონალური მოთხო-  
ვნილებით აღძრულ ქცევებს კი ექსტროგენურ ქცევებს.<sup>3</sup> ავტორის  
თანახმად, ასევებობს მათ შორის გარდამავალი ქცევებიც. რომ  
ლებიც საგნობრივ საჭიროებასაც აკმაყოფილებენ და აქტივობაზე  
მოთხოვნილებასაც. იქედან გამომდინარე, განვითარების წამყვანი  
ქცევა, ბავშვის ონტროგენეზისის ნებისმიერ საფეხურზე, შეიძლება  
იყოს ან რომელიმე წმინდა ინტროგენური ქცევა, ან ინტროგენურსა  
და ექსტროგენურს შორის გარდამავალი ქცევა, რომელიც ფუნქ-  
ციონალური მოთხოვნილების მონაწილეობის გარეშე ექსტროგენ-  
ურ ქცევად გადაიქცევა და ასეთი ქცევების ზემოთდახასიათებული  
ძუნების (თავის თავში ჩაკეტილობის) გამო, განმავითარებელ ფუნ-  
ქციას ველარ შეასრულებს.

#### 8. ინტროგენური ქცევების ყველაზე ტიპიურ ფორმას თამაში

1 შეიძლება მივვითოთონ, რომ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ცნობილი  
ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელსაც ზოგი მოტივის ფუნქციონალურ  
აქტონომია (იხ. Allport — Personality. A psychological interpretation.  
New York, 1937 s. p. 191), ზოგი კი მოტივის გადანაცვლებას (A. H.  
Лентьев, Деятельность, Сознание, личность, М., 1975; ст. 88)  
უწოდებს: თუ სუბიექტი იძულებულია ხშირად განახორციელოს ესა თუ  
ის მოქმედება, მას უჩნდება ამ მოქმედების შინაგანი მოთხოვნილება და  
მაშასადამე იძულებითი ქცევიან წარმოსლებება სრულიად ახალი ქცევა.  
კონკრეტთ, აქ ყურადღება უნდა მივაჰყოჩოთ იმ გარემოებას, რომ ოვი-  
თონ მოქმედებაზე მოთხოვნილება. რომელიც გარეგან საჭიროებას აღია  
უწევს ანგარიშს, უკვე ფუნქციონალური მოთხოვნილებაა. მოქმედების  
ხშირად განმეორებამ გარევალი ძალები მოყვანა მოძრაობაში, მათ კი  
უმოქმედოდ დარჩენა აღარ ძალუძ, თუნდაც ამის საჭიროება აღარ  
იყოს.

2 შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958

3 დ. უზნაძე, ადამიანის ქცევის ფორმები, შრომები, ტ. V, თბ., 1967

წარმოადგენს. დ. უზნაძე, თამაშის სხვადასხვა თეორიების კტრუფული შეფასების საფუძველზე, მივიღა დასკვნამდე, რომ ურთისესობის საგან უნდა განვასხვაოთ თამაშის ობიექტური მნიშვნელობა და მისი გამომწვევი სუბიექტურა ფაქტორი. თამაშის იმიტური მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ, როგორც ეს ჯერ კიდევ კ. გროსმა უჩეენა, იგი ბავშვს მომავლისათვის ამზადებს, უზრუნველყოფს რა მის გავარჯიშებას სხვადასხვა აღმიანურ ქცევათა შესრულებაში. ამასთანავე, თამაშის შედეგად, ბავშვი განიცდის მრავალმხრივ განვითარებას. მაგრამ გასარკვევია სუბიექტურად ბავშვს რა აღძრავს თამაშისათვის. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბავშვი განვითარებისათვის თამაშობს (ასეთ შეცდომას უშვებენ კ. გროსი და კ. ბიულერი).<sup>1</sup>

დ. უზნაძემ თამაშის სუბიექტურ ფაქტორად, რომელიც ბავშვს ამ ქცევისათვის აღძრავს, ფუნქციონალური ტენდენციები (მოთხოვნილებები) აღიარა. ფუნქციები და ძალები, რომლებიც ბავშვს მემკვიდრეობით უჩნდება. როგორც ზემოთ დავინახეთ, მოთხოვნები თავის შესატყვისად ამოქმედებას და რაკი ჯერ სერიოზულად თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდეს, ბადებენ თამაშს, რომელიც აქმაყოფილებს მათ ამოქმედებაზე მოთხოვნილებას. განვითარების პროცესში, რომელი ფუნქციაც კი ასამოქმედებლად მომწიფდება, ყველა ბადებს თავის შესატყვის თამაშს, რის ობიექტურ შედეგსაც მოიწყოლი ფუნქციის განვითარება და სრულყოფა წარმოადგენს. ბავშვის ასაკობრივი გარემოს ცვლილება (და შესაბამისად განვითარების პერიოდების ურთიერთმონაცვლეობა) სწორედ იმას უკავშირდება, თუ როდის რა სახის ფუნქციონალური ტენდენციებია ყველაზე მეტად გააქტიურებული. მაგალითად, ჩვილ ბავშვს ყველაზე აქტიულურად პერცეპტული და მოტორული ფუნქციების ამოქმედების ტენდენცია აქვს, რაც ჭვრეტის, ტაცების და საგნებით მანიპულირების აქტებში კმაყოფილდება (ამავე ასაკში, მეტყველების აპარატის ფუნქციონალური ტენდენცია „ტიტინს“ ბადებს და ა. შ.), აღრეულ ბავშვობაში საგნობრივ მოქმედებათა დაუფლების ტენდენცია ბავშვის გარემოცველი სინამდვილის საკვლევად აღძრავს (ყოველივეს ხელით მოშინვეისაკენ სწრაფვა, ქვიშაზე თამაში, ჩაქუჩით და სხვა იარაღებით თამაში და ა. შ.), სკოლამდელ ასაკში კი გონებრივი აქტი-

1 თამაშის ოეორიები დაწვრილებით გვაქვს განხილული სხვა ნაშრომში (მ. მალრაძე, თამაშის ფსიქოლოგია, ქუთაისი, 1995).

კონდენცია ხატოვან წარმოდგენებში რეალიზდება (იუნიტებული გამოცემის თამაში, ზღაპრებისადმი ინტერესი და სხვ.)

როგორც ვხედავთ, განვითარების დასაწყისში, საკმაოდ დიდიანს, ბავშვის ფსიქიკური განვითარება ძირითადად თამაშის ქცევაში ხორციელდება. მართლაც, ეს ქცევა, რომელიც ფუნქციონალური ტენდენციების თავისუფალი თვითგამოვლენის ფორმაა, ღიაა ყველა სახის ადამიანური აქტივობისათვის. ამ თვალსაზრისით თამაში ქცევის გენერალური ფორმაა, რადგან პრინციპულად ყოველგვარი ადამიანური საქმიანობის ეთმაშება შეიძლება. სწორედ ამითაა შესაძლებელი, რომ თამაში უზრუნველყოფს ბავშვთან ქცევის ახალ-ახალი ფორმების (იქნება ეს ხატვის, ძერწვის, კონსტრუირების, წერა-კითხვის თუ სხვა აქტივობათა შესწავლა, ადამიანთა პროფესიული შრომის სხვადასხვა ფორმების იმიტირება და ა. შ.) ჩასახვას და განვითარებას.

ბავშვებს შორის სოციალური ურთიერთობებიც (ისევე როგორც ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთობები) პირველად ისახება და ვითარდება თამაშში, სადაც ბავშვები ერთმანეთთან ამყარებენ როგორც რეალურ ასევე სათამაშო (აღებული როლის შესატყვისად) ურთიერთობებს. ამრიგად, ქცევის ახალი ფორმების წარმოქმნაც და პიროვნების განვითარებაში მოხდარი ცვლილებებიც, სკოლამდელ პერიოდებში, ძირითადად სწორედ თამაშს (მის სხვადასხვა ფორმებს და განსაკუთრებულ კი ილუზის თამაშს) უკავშირდება. ამ თვალსაზრისით თამაში საცემით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც აღიარებულია წამყვანი ქცევის არსებით ნიშნებად (იხ. ზევით ა. ლეონტიევის თვალსაზრისი ამ საკითხზე).

წამყვანი ქცევისადმი წაყენებული მესამე მოთხოვნა, როგორც ითქვა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველყოფს ფსიქიკური ფუნქციების და შესაძლებლობების განვითარებას. სკოლამდელ პერიოდებში, თამაში ამ როლსაც რომ უეჭველად ასრულებს, ეს ბავშვის ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. ამასთან დაკავშირებით, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკას კატეგორიული რეკომენდაციაც კი ეძლევა, რომ უზრუნველყოს ბავშვისათვის ისეთი ობიექტური პირობები, სადაც მის ფუნქციონალურ ტენდენციებს თავისუფალი გამოვლენისა და შესატყვისი ასაკობრივი გარემოს ფორმირების საშუალება ექნება. იქ სადაც ობიექტური პირობები მრავალფეროვანი ასაკობრივი გარემოს ფორმირების საშუა-

ლებას არ იძლევა, ბავშვის ფიქტურ შესაძლებლობათ განვითარება. რებაც მნიშვნელოვნად ფერხდება. მაგრამ, ამ ფაქტს და თვალსაზრისით პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ მაინც მაინც თამაშს მიჰყავს ფსიქტურ შესაძლებლობათა განვითარების პროცესი და არა სხვა ქცევებს, რომლებსაც ბავშვი ამ ასაკში განახორციელებს და რომლებშიც ონიშნული ფუნქციები და ძალები ასევე მონაწილეობენ? ეს კათხვა მართებულია პირველ რიგში იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც ხშირად მიუთითებენ, ბავშვი თამაშზე უფრო მეტ ღროს მაინც სხვა ქცევებზე ხარჯავს,<sup>1</sup> მისი განვითარება კი თამაშს მიჰყავს და არა ამ სხვა ქცევებს. თუ ახალი ქცევების განვითარებასთან დაკავშირებით საკითხი გარკვეულია, რადგან ეს, როგორც ვნახეთ, მხოლოდ აქტივობის მოხვენილებით აღძრულ (ე. ი. ლია) ქცევებში შეიძლება მოხდეს, ფსიქტურ ფუნქციათა საქმე ასე არაა: მათი განვითარების პირობა შესატყვისი აქტივობაა და გასარკვევია, რატომ აქვს მნიშვნელობა რომელი ქცევის სტრუქტურაში განხორციელდება ეს აქტივობა. რატომ ვითარდება, მაგალითად, სკოლამდელი ბავშვის აზროვნება ძირითადად თამაშში და არა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო მოქმედებებში, საღაც იგი ასევე აწყდება პრობლემებს? ონიშნული საქონა დაისმის ყველა ქცევის მიმართ, რომელსაც, რომელიმე ასაკში, განვითარების წამყვან ქცევად ვაღიარებთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ბავშვის ფიქტური განვითარების ერთ საინტერესო თავისებურებაზე, რომელზეც ჯერ კიდევ ოციანი წლების დასარულს და უზნაძემ გაამახვილა ყურადღება. ხოლო ცოტა მოგვიანებით, და ვიგორულებით განიხილა, ცნობილი უზავლებისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის კონტექსტში.

უკვლევდა რა სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ცნების შემუშავების შესაძლებლობებს,<sup>2</sup> და უზნაძემ, აღმოაჩინა. რომ გარკვეულ

1 იხ. მაგ. **В. С. Мухина.** Психология дошкольника, 1975, ст. 114; სხვათშორის, ამ მოსაზრებაზე უნდა ითქვას. რომ იგი ითვალისწინებს საგანგბოდ ორგანიზებულ თამაშს და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ბავშვი საერთოდ ყველაფერს თამაშით აკეთებს (მისი ჭამაც თამაშია, დამინებაც და ა. შ.).  
 2 დ. უზნაძემ. ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში. დ. უზნაძემ, შრომები ტ. 1, აბ., 1956.



პირობებში ბავშვს ცნების უფრო მაღალ დონეზე დაუფლება შეუძლებელია, ვიდრე ამას სპონტანურად ამჟღავნებს. კერძოდ, თუ სათხმლები დახმარებას გავუწივთ, ბავშვი გაცილებით მეტს შესძლებს, ვიდრე ამას თავისთავად მოახერხებდა. ე. ი. გარკვეული შესაძლებლობა მას პოტენციურად უკვე მოცემული ჰქონია, მაგრამ სათანადო პირობები იყო საჭირო მისი გამოვლენისათვის. ამასთანავე, დახმარებას მხოლოდ გარკვეულ დონემდე შეუძლია გამოიღოს შედეგი. ისეთ ამოცანას, რომლის გადაჭრის პოტენციური მონაცემები ბავშვს არ გააჩნია, იგი ვერც ხელსაყრელ (მაგ. დახმარების) პირობებში გადაჭრის. ბავშვის შინაგან შესაძლებლობათა მდგომარეობაზე უნდა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ თავისთავად რის გაეთებას შესძლებს ბავშვი, არამედ მის პოტენციურ მონაცემთა გათვალისწინებით, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში გამოვლინდება.

ბავშვის პოტენციური მონაცემები მხოლოდ დახმარების პირობებში არ ვლინდება. ბავშვი ყოველდღიურად ხან ფსიქიკურ შესაძლებლობათა ისეთ დონეს ამჟღავნებს, რომელიც უკვე მიღწეული და განვლილი ეტაპია მის განვითარებაში, ხან კი წინ უსწრებს საკუთარი განვითარების არსებულ მდგომარეობას და ისეთ უნარს ამჟღავნებს, რაც მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ გახდება მისთვის ჩვეულებრივი. მაგალითად, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, როდესაც უფროსის მიერ მიცემულ დავალებას ასრულებს, ბავშვი შეიძლება ვერ მოხვდეს. რომ მაღალ თაროზე დადებული ნივთის ჩამოსალებად სკამი ან ყუთი გამოიყენოს, მაგრამ თამაშის პროცესში ანალოგიურ პრობლემას ადვილად გადაჭრის. როგორც ჩანს, თამაში იმით ასრულებს განვითარების წამყვანი ქცევის როლს, რომ მისი კანხორრიელებისას ბავშვი საკუთარ შესაძლებლობათა უმაღლეს საზღვარზე მოქმედებს. ეს მოსახრება კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ ოღნიშნულ საკითხზე **ლ. ვიგორტსკის** შეხედულებასაც გავითვალისწინებთ.

**ლ. ვიგორტსკი** ბავშვის მიერ ჩვეულებრივ ვითარებაში გამოვლენილ შესაძლებლობებს განვითარების „აქტუალურ ღონეს“ უწოდებს და მისგან განასხვავებს იმ პოტენციურ მონაცემებს, რომელთა შესატყვისი მოქმედება ბავშვს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში შეუძლია, განვითარების ამ შესაძლებლობებს **ლ. ვიგორტსკი** „უახლოესი განვითარების ზონას“ უწოდებს და ოღნიშნავს, რომ

პედაგოგიური ხელმძღვანელობა (მაგ. სწავლება) მხოლოდ შექმნის განვითარებას, თუ ორიენტირებულ აქტიურობა არ განვითარებს უკვე დასრულებულ ციკლებზე, არამედ ჩამოყალიბების მდგომარეობაში მყოფ პოტენციურ შესაძლებლობებზე! საკულტო ასაკში ეს სწავლების ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს სკოლამდელ ასაკში კი თამაშისათვის პედაგოგიურმა ხელმძღვანელობამ.

**ლ. ვიგორტსკი** საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სკოლამდელ ასაკში სწორედ თამაში (და მხოლოდ თამაში) არის ის აქტივობა, რომელ შეიც ბავშვი წინ უსწრებს თავის ასაკს, ახერხებს იმის გაკეთებას რასაც სხვა ქცევებსა და სხვა პირობებში ვერ შესძლებდა. თამაშში როგორც გამადიდებელ უშაში ისე მოჩანს ჯერ მხოლოდ ჩანასახო ვან მდგომარეობაში მყოფი შესაძლებლობები და ტენდენციები ფსიქიკური აქტივობის დონე, რომელსაც ბავშვი თამაშში ამჟღავნებს მხოლოდ შემდგომში გადაიქცევა მისთვის ნორმად. ამრიგად ავტორის თანახმად, სკოლამდელ ასაკში სწორედ თამაში ქმნის უხლოები განვითარების ზონას.<sup>2</sup>

მოსაზრება, რომ თამაშში ბავშვი წინ უსწრებს თავის განვითარებაში უკვე მიღწეულ დონეს და განვითარების უახლოეს შესაძლებლობათა ზღურბლზე მოქმედებს, მრავალ ექსპერიმენტატორს აქვთ დადასტურებული. მაგალითად, **ზ. ისტომინას** მიერ ჩატარებულ ეჭსპერიმენტებში, რომელიც სკოლამდელთა მეხსიერების განვითარებას ეხება. ნაჩვენებია, რომ ბავშვები სათანადო მასალის წინასწარ განზრახულ დამახსოვრებაში უკეთეს შედეგებს აღწევენ მაშინ, როდესაც ეს აქტივობა ჩართულია თამაშის ქცევის სტრუქტურაში (მოტივირებულია თამაში), ვიდრე მაშინ, როდესაც იგი სხვა ქცევის სტრუქტურაში ერთვება.<sup>3</sup> ეს კანონზომიერება, ექვსწლიან ბავშვებზე, ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებშიც დადასტურდა:<sup>4</sup> მთელ რიგ გამოკვლევებში ნაჩვენებია აღქმის, აზროვნების, წარმო

1 **Л. С. Выготский**, Избранные психологические исследования М., 1956, стр. 438—452.

2 **Л. С. Выготский**. Игра и ее роль в психическом развитии ребенка. Жур. «Вопросы психологи», 1966, № 6, стр. 74.

3 **З. М. Истомина**, Развитие памяти. М., 1978.

4 მ. გ. მაღრაძე, თამაშისა და სწავლის მოტივების გავლენა ექვსწლიან ბავშვთა მნემოზ აქტივობაზე. ქურნ. „მაცნე“, ფილოსოფიის და ფილოლოგიის სერია, 1997 წ. № 2.

სახვის, ყურადღების და სწვა ფსიქიკურ პროცესთა მაქსიმალური ფუნქციები ეფექტურობა თამაშის ამოცანებთან მიმართებაში.<sup>1</sup> ამრიგად, მოსახურებული ზრება, რომ სკოლამდელ ასაქში თამაში უზრუნველყოფს უახლოესი განვითარების ზონის გამოვლენასა და ნორმად, ანუ ქმნილური განვითარების დონედ, მის გადაქცევას, ექსპრერიმენტულად დადგენილ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

აღმანის ფსიქიკური განვითარება ძირითადად პედაგოგიური ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციების თავისუფალი თვით-გამოვლენის ფორმაა, ისიც პედაგოგიურ ხელმძღვანელობას ექვემდებარება: სააღმზრდელო გარემო (ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა...) ითვალისწინებს რა თამაშის ბუნებას, მის ისეთ ორგანიზაციას აკეთებს, რომ ბავშვმა ამ დროს რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გამოცდილებაც დააგრძოს და ფსიქიკურ შესაძლებლობათა განვითარებაშიც მეტად წაიწიოს წინ. პედაგოგიური გარემოს მიერ ასეთნაირად ორგანიზებულ თამაშს ღიღდაქტიკური თამაში ეწოდება. მისი უშუალო მიზეზი, ისე როგორც ყოველგვარი თამაშის მიზეზი, ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციებია, მაგრამ სააღმზრდელო გარემო ამ ტენდენციებს ისეთ მიმართულებას აძლევს, როგორიც უმჯობესად მიაჩნია საკუთარი ამოცანების გადასაწყვეტად.

9. თამაშის ობიექტური შედეგი, როგორც ითქვა, არის ბავშვის მრავალმხრივი განვითარება. პედაგოგიურ გარემოს ბავშვი გარკვეული ასაკიდან სასწავლო ქცევაზე გადაჰყავს, რაც იმ მოსაზრებით კეთდება, რომ პრინციპულად შეუძლებელია ბავშვმა მთელი საჭარბრიო გამოცდილება მხოლოდ თამაშის გზით აითვისოს. როგორი მდიდარი ფანტაზიაც არ უნდა პქონდეს ბავშვს და როგორი დახვეწილი პედაგოგიური ხელმძღვანელობის ქვეშაც არ უნდა მიმდინარეობდეს მისი თამაში, იგი ამ პროცესში საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილების ფარგლებს მაანც ვერ გასცდება. იგი უნდა დაეუფლოს საკაცობრიო კულტურის (ცივილიზაციის) იმ ელემენტებს, ურომლისოდაც თავისი ეპოქის დონეზე ვერ დადგება და რომლე-

1 ამ გამოკლევათა კრცელი მძმობილვა იხ. ჩვენს ნიშანში: Влияние мотивационных факторов на мнематическую активность детей младшего школьного возраста. Диссертация на соискание ученой степени кандидата психологических наук. Тбилиси, 1983

ბიც მხოლოდ სწავლების ფორმაში შეიძლება მიეწოდოს, და სასტუდიოს  
ლო აქტივობის მეშვეობით შეიძლება მიიღოს.

სასკოლო პერიოდიდან (დაახლოებით 7 წლიდან) ბავშვს სისტე-  
მატიურად უხდება სასწავლო ქცევის განხორციელება. ამ პროცესში  
მოსწავლე იძენს ახალ ცოდნას, ეუფლება სხვადასხვა ჩვევებს. მისი  
ფსიქო-ფიზიკური ძალებიც სწავლისთვის დაკავშირებით მნიშვნე-  
ლოვნად ვითარდება. ამრიგად, სწავლის ობიექტური შედეგები ისე-  
თივეა, როგორიც სათანადო ასაკში არის თამაშის ობიექტური შე-  
დეგები. ამდენად მიჩნეულია, რომ მოზარდის განვითარების გარკ-  
ვაულ საფეხურზე წამყვანი ქცევის როლში თამაშს სწავლა ენაცვ-  
ლება. ეს ვითარებაც სათანადო თეორიულ გააზრებას საჭიროებს.  
კერძოდ პასუხი უნდა გაეცეს კითხვის, ნამდვილად არის თუ არა  
სწავლა ისეთი ბუნების ქცევა, რომელსაც **შეუძლია განვითარების**  
**პროცესის წაყვანა.** საჭმე იმაშია, რომ განვითარება მეტ-ნაკლებად  
ყველა იმ ქცევაში ხდება, რაც კი სუბიექტმა შეიძლება განახორცი-  
ელოს, მაგრამ წამყვანი მხოლოდ ის ქცევა შეიძლება იყოს, რომელ-  
შიც ბავშვი (მოზარდი) წინ უსწრებს აქტუალურ (უკვე განვითა-  
რებულ) შესაძლებლობებს და პოტენციურად მოცემულ საჭუთარ  
შესაძლებლობათა ზღურბლზე მოქმედებს.

მკვლევარები, რომლებიც აღამიანის განვითარებაში სწავლის  
ქცევას წამყვან როლს ანიჭებენ, სწორედ იმ გარემოებას უსვამენ  
ხაზს, რომ ამ ქცევის, ოპტიმალურ პირობებში, მოსწავლე თავისი  
ძალების განვითარების უახლოეს შესაძლებლობათა დონეზე განა-  
ხორციელებს. ეს პირობები კი სწავლების ორგანიზაციაში უნდა უზ-  
რუნველყოს. ბავშვს, ყოველ ასაკში, ისეთი რამ და ისე უნდა ვას-  
წავლოთ, რომ მხოლოდ მისი უკვე განვითარებული ძალების აქტი-  
ვიზაცია კი არ მოხდეს (ასეთ შემთხვევაში მოსწავლე. ცოდნას კი  
შეიძენს, მაგრამ მისი ძალების განვითარება არ შედგება), არამედ  
მოქმედებაში უნდა მოვიდეს მისი ჩანასახოვანი პოტენციური შესა-  
ძლებლობებიც, რათა ასეთი მოქმედება ღრითა განმავლობაში ნორ-  
მად იქცეს, რაც ნიშნავს წინსვლას განვითარებაში. ამასთანავე, ან-  
გარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ არ გავცილდეთ პოტენციურად  
მოცემულ შესაძლებლობებს, რადგან ამ შემთხვევაში. არა მარტო



განვითარება არ შედგება, არამედ სასწავლო მასალაც აუთვისებული რეაცია დარჩება! განვითარება

გამოდის, რომ განვითარება ყოველგვარ სასწავლო აქტივობას არ მიჰყავს. ამ როლს მხოლოდ ისეთი სწავლა ასრულებს, რომელშიც ჯერ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ფუნქციებისა და შესაძლებლობის ამოქმედება ხდება. ეს კი მხოლოდ ამ ძალების ამოქმედების ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით შეიძლება განხორციელდეს. მაშასადამე სწავლას განვითარების წაყვანა (და არა უბრალოდ განვითარებისათვის ხელის შეწყობა) შეუძლია იმ პირობით, თუ ისევე აქნება აღძრული ფუნქციონალური მოთხოვნილებებით, როგორც თამაში. მეორეს მხრივ, იგი უნდა შეიცავდეს ისეთ თავისებურებებსაც, რომლებიც მას თამაშისაგან განასხვავებს და სუბიექტის განცდაში (ე. ი. ფენომენოლოგიურად) მაინც თამაშზე სერიოზულ საქმედ წარმოაჩენს, თორემ გაუგებარი დარჩება ის მიზეზი, რომლის გამოც, გარკვეული ასაკიდან. წამყვანი ქცევის როლში თამაშს სწავლა ენაცვლება. ისმის კითხვა: ნამდვილად ასეთი ბუნებისაა თუ არა სწავლის ქცევა.

ქცევის ფორმათა უზნაძისეული კლასიფიკაციის თანახმად, სწავლას განეკუთვნება გარდამავალი ადგილი ქცევის ინტროგენურ და ექსტროგენურ ფორმებს, კერძოდ კი თამაშსა და შრომას შორის. ერთის მხრივ, სწავლა ემყარება განვითარების პროცესში მყოფი ძალების ამოქმედების ტენდენციას, იწვევს (ოპტიმალურ პირობებში) პოტენციურად მოცემული შესაძლებლობების გამოვლენას და უზრუნველყოფს მათ შემდგომ განვითარებას, რითაც იგი თამაშს ემსაგვება. მეორეს მხრივ, სწავლა ორიენტირებულია შედეგზე და მისი სუბიექტი მარტო მოქმედების განხორციელებით კი არ კმაყოფილდება; არამედ დაუფლებული ცოდნის, შეძენილი ჩვევის თუ განვითარებული უნარის სახით, სრულიად გარკვეული პროდუქტიული მიზნის მიღწევას ესწრაფვის. ამ თავისებურებით სწავლა ზოგადად ექსტროგენურ ქცევებს, კერძოდ კი შრომას ემსგავსება.

**დ. უზნაძის შეხედულებებზე დაყრდნობით, შ. ჩხარტიშვილი**  
სწავლას ახასიათებს როგორც ორმაგად მოტივირებულ ქცევას, რო-

1 დაწერილებით იხ. **Л. С. Выготский.** Избранные психологические исследования, М., 1956, стр. 438—452



მელსაც ადამიანური აქტივობის ორივე წყარო (მოტხოვნილებები და ნებისყოფა) ამოძრავებს. უპირველესად სწავლის მოტივაციაში მონაცილეობს. შინაგანი ძალების ამოქმედების ტენდენციასთან დაკავშირებული ემოციური განცდები, რაც ამ ქცევას სუბიექტურ ღირებულებას ანიჭებს. მაგრამ სწავლის მოტივაციური სტრუქტურა ამით არ ამოიწურება (მაშინ იგი თამაში იქნებოდა). სწავლის სუბიექტი მისი შედეგების ობიექტურ ღირებულებასაც უწევს ანგარიშს, რის გამოც ამ ქცევის ორგანიზაცია იმდენადვეა დამოკიდებული ნებისყოფაზე. რამდენადც აღნიშნულ ფუნქციონალურ ტენდენციებზე.<sup>1</sup> ქცევებს, რომლებსაც ორმაგი მოტივაცია და შესაბამისად ორნაირი მამოძრავებელი წყარო გააჩნიათ, ავტორი ორმაგი ბუნების ქცევებს უწოდებს.

სწორედ სწავლის ასეთი ორმაგა ბუნების წყალობით ხერხდება, რომ სწავლა უზრუნველყოფს სინამდვილის გარკვეული ობიექტების, კერძოდ კაცობრიობის მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილების დაუფლებას, მაგრამ ამ ობიექტებით ერთმნიშვნელოვნად ჩაეტილი არაა. იგი, როგორც ფუნქციონალური მოთხოვნილებებით აღძრული ქცევა, ლია ყოველგვარი აქტივობისათვის, რომლის განხორციელებაზე მოთხოვნილებამაც კი შეიძლება თავი იჩინოს. სწავლა ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორც თამაში რადგან ყოველგვარი ადამიანური აქტივობა შეიძლება იქცეს სწავლის ობიექტად. სწორედ ამით უზრუნველყოფს სწავლა ქცევი ახალ-ახალი ფორმების დაუფლებას სუბიექტის მიერ (ისევე, როგორც თავის დროზე ამას თამაში აკეთებს).

საჭიროა შენიშნოთ, რომ არიან მკვლევარები, რომელთა აზრი თაც სწავლა არაა დამოუკიდებელი ქცევა და იგი გონებრივი შრომის გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენს. ქართული ფსიქოლოგის გარეთ მყოფი მკვლევარისაგან სწავლის ასეთი დახასიათებ (ისევე როგორც სხვა შესაძლეო დახასიათება) არ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, ვინაიდან ფსიქიკური განვითარების ბუნება საერთოდ და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალების საკითხი, როგორც დავინახეთ, ყველას თავისებურად აქვს გაგებული. ქართულ

1 ვ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, უზრნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12

ფსიქოლოგიაში კი, ასეთი შეხედულების დამცველმა,<sup>1</sup> ჯერ უნდაიყოფოდა დასაბუთოს, რომ მცდარია კონცეფცია, რომლის თანახმადაც ბავშვის განვითარების ძირითად მამოძრავებელ პირველად ძალას აქტივობაზე მოთხოვნილება წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ შრომა წმინდა ექსტრეროგენური სახის ქცევაა და ასეთ (ე. ი. ფუნქციონალურ) მოთხოვნილებებს ანგარიშს არ უწევს. ამიტომ, ის ვინაც სწავლას გონიეროვი შრომასთან აიგივებს, ბუნებრივია უშევებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ფსიქიური განვითარება შეიძლება წაიყვანოს სინამდვილის გარკვეული ობიექტებით ერთმნიშვნელოვნად ჩაეტიმოდა, მხოლოდ სუბსტაციონალური მოთხოვნილებებით ან ნებისყოფით (ან ორივეთი ერთდროულად) ორგანიზებულმა ქცევამაც. ამ შემთხვევაში კი გასარკვევი რჩება, რაღა მაინც და მაინც სწავლა ენაცვლება თამაშს წამყვანი ქცევის როლში და არა სხვაგვარი შრომა (რაკი სწავლაც შრომაა). სხვა თუ არაფერი, გონიერივი შრომა, ყველა სხვა აღამიანურ საქმიანობასთან შედარებით, ყველაზე ძნელად დასაუფლებელი და შესასრულებელია. ბევრი აღამიანი ისე ამთავრებს განვითარებას (შემდეგ კი ცხოვრებასაც), რომ გონიერივი შრომის სუბიექტის დონეზე გერთოდ გერ მაღლდება.

გონიერივ შრომასთან სწავლის გაიგივების შემთხვევაში, რჩება განვითარების საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი გზა: მივიჩნიოთ, რომ სწავლა სრულიადაც არაა მოსწავლის განვითარების წამყვანი ქცევა და განვითარება მასთან ისევე შემთხვევითაა დაკავშირებული, როგორც ნებისმიერ სხვა აქტივობასთან. ვფიქრობთ, ასეთ მოსაზრებას სერიოზულად არავინ გაიზიარებს, თუმცაც თვალი დავნუჭოთ მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე, რომელიც სწავლის განმავითარებელ როლზე მეტყველებს.

სწავლების ისე ორგანიზება, რომ მოსწავლეს ყოველთვის ოპტიმალური პირობები გააჩნდეს საკუთარი ასაკობრივი და ინდივი-

1 ბოლო ხანებში ასეთ მოსაზრებებს განსაკუთრებით აქტიურად იცავს  
 6. ბარაზიძე (იხ. მისი შრომები: ზოგიერთი მოსაზრება სწავლის ადგილის შესახებ აღამიანურ ქცევათა სისტემაში უურ. „მაცნე“, 1977, № 4; სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1986; შორეული მოძიებაციური ქცევა და სწავლა, ბათუმი, 1995), რომელიც პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს (სწავლის მოტივის და მოტივაციის თავისებურებებს) ეხება და შეუმჩნეველი რჩება ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ასეთი შეხედულება აწყდება სწავლის განმავითარებელი როლის გარკვევასთან დაკავშირებით.

დუალური თავისებურებების შესატყვისი ასაკობრივი უნიფრმულფრთხოების მიზანისათვის, მეტად რთულია. ობიექტები, რომელსაც ბავშვი სწავლით უნდა დაეფულოს, მას გარედან ეძლევა და ისინი ყოველთვის არ შეესატყვისებიან მისი ძალების განვითარების უახლოეს პერსპექტივებს და ამ ძალების ფუნქციონირების მოთხოვნილებებს. ამიტომ ნამდვილ სწავლას, რომელიც ყოველი მოსწავლის განვითარების უახლოესი პერსპექტივების დონეზე მიმდინარეობს და რომლის ორგანიზაციაშიც ფუნქციონალური მოთხოვნილებები და ნებისყოფა თანაბარი ძალით მონაწილეობს, ადგილი აქვს მხოლოდ დრო და დრო. ეს თანამედროვე პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა (ფსიქოლოგია იძლევა რეკომენდაციას, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია პედაგოგიკაში ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო).<sup>1</sup> რეალურად, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი ნებისყოფის ძალით ახერხებს იმის შესწავლას, რაც ან ამსოდებულურად ჩამორჩება, ან სრულიად აღმატება მის განვითარების პროცესში მყოფ შესაძლებლობებს. ეს მართლაც სასწავლო აქტივობის ფორმაში მიმდინარე შრომაა, მაგრამ სწავლის, როგორც განვითარების წამყვანი ქცევის ბუნებას მასზე დაკვირვებით ვერ შევისწავლით.

განვითარების გარეული ეფექტი ასეთ სწავლასაც მოსდევს, ისევე როგორც თავისებური განვითარება ხდება ყოველგვარ შრომაში, მაგრამ აქ განვითარება მხოლოდ თანმხელები მოვლენაა და არა თავად აქტივობისაგან წარმართული პროცესი. გონიერივ შრომასთან სწავლის გაიგივების დროს, როგორც სჩანს მხოლოდ ასეთი შემთხვევები აქვთ მხედველობაში. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეალურად ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე ნამდვილი სწავლის შემთხვევები.

- 1 80-იანი წლების დასაწყისში, კ. როჭერსის ხელმძღვანელობით, ამერიკის სკოლებში შეისწავლეს მასწავლებელთა პიროვნული დამოკიდებულება (განწყობა) მოსწავლის შინაგან მისწრაფების დამყარებული, თავისუფალი სწავლის ფასილატაციასთან (დაახლოებით შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „წახალისება“) დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ გააზრებულ და თავისუფალ სწავლას წაახალისებს მასწავლებელთა მხოლოდ 10%; იხ.
2. მართაძე, სწავლების პუმანიზაციის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ქუთაისის ა. კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალური სწავლის III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 1994

ამრიგად, მოსწავლის ფსიქიკური განვითარების წამყვანი ქუცულების სწავლა, რომელიც ერთდღოულად მოტივირებულია პროცესთან დაკაშირებული სუბიექტური განცდებითაც და მიზანში გათვალისწინებული შედეგების ობიექტური ლირებულების შეგნებითაც. ასეთ სწავლაში მოზარდის ფუნქციონალური მოთხოვნილებები და ნებისყოფა ერთიმეორის გვერდით მოქმედებენ და ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის მაქსიმალურ სიმტკიცესა და ღინამიზმს უზრუნველყოფენ.

10. ბავშვისა და მოზარდის განვითარება, რომელიც ფუნქციონალური მოთხოვნილებებით აღძრულ ქცევებში ხორციელდება, იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტი პროგრესულად მიიწევს წინ და ახალ-ახალ საფეხურებზე აღის. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი განვითარების საფეხურების ერთიმეორისაგან გამოყოფის ანუ ფსიქიკური განვითარების პერიოდიზაციის შესახებ.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ძირითადად აღიარებულია, რომ აღამიანის ფსიქიკური განვითარება ძვრებითა და ნახტომებით მიმდინარე პროცესია, სადაც ბავშვის ფსიქიკა ახალ-ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადადის და ყოველი ასეთი მდგომარეობა წარმოადგენს განვითარების გარკვეულ საფეხურს. საჭიროა გაირკვეს რა პრინციპით გამოყოთ ერთიმეორისაგან განვითარების ცალკეული საფეხურები ანუ პერიოდები.

რაკი განვითარების მამოძრავებელ ძალად ფუნქციონალური მოთხოვნილებები ვალიარეთ, პერიოდების მონაცელეობაზეც შეგვიძლია იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ როდის რომელი ფუნქციების ქმედების ტენდენცია იჩენს თავს. გარკვეულ ფუნქციათა ამოამოქმედების ტენდენციით აღძრული ბავშვი სინამდვილესთან ამყარებს შეციფიკურ ურთიერთობას და იქმნის საკუთარი განვითარების სპეციფიკურ ურთიერთობას და იქმნის საკუთარი გარემოს. დ. უზნაძის თანახმად, სწორედ ასაკობრივი გარემოს შესწავლა, ე. ი. იმის გარკვევა, თუ ობიექტური სინამდვილიდან რასთან როგორ ურთიერთობაში მოდის ბავშვი, გვაძლევს საშუალებას ერთმანეთისაგან განვასხვაოთ განვითარების სხვადასხვა საფეხურები. მართლაც, როგორც ზევითაც დავინხეთ, ასაკობრივი გარემო არა განსაზღვრულა არც მხოლოდ შინაგანი და არც მხოლოდ გარეგანი ფაქტორებით. იგი მათი კანონზომიერი შეხვედრის შედეგია: „...ერთის მხრივ, ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამკიდებული.



ლა, ხოლო, მეორეს მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი განვითარებას შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების ღონით განვითარებას შესახებ ასაკობრივი ფსიქოლოგიის თანამედროვე მონაცემების გათვალისწინებით და ასაკობრივი გარემოს პრინციპის გამოყენებით, მომდევნო თავში, ფსიქიკის ონტოგენეტური განვითარების პერიოდებს დაგახსასიათებთ ასეთა თანმიმდევრობით:<sup>2</sup>

- 1) დედის მუცლის პერიოდი (ჩასახვიდან დაბადებამდე)
- 2) ახალშობილის პერიოდი (0—1 თვე)
- 3) ძუძუს ანუ ჩვილი ბავშვობა (1 თვე — 1 წელი)
- 4) აღრეული ბავშვობა (1 წელი — 3 წელი)
- 5) სკოლამდელი ასაკი (3 წელი — 7 წელი)
- ა) უმცროსი სკოლამდელი (3 წელი — 5 წელი)
- ბ) უფროსი სკოლამდელი (5 წელი — 7 წელი)
- 6) უმცროსი სასკოლო ასაკი (7 წელი — 11; 12 წელი)
- ა) საშუალო ბავშვობა (7 წელი — 9 წელი)
- ბ) გვიანი ბავშვობა ანუ ბავშვობის დასასრული (9 წელი — 11; 12 წელი)
- 7) გარდამავალი ასაკი (გოგონებთან 11-დან 15 წლამდე, ვაჟებთან 12-დან 16 წლამდე)
- ა) მომწიფებისწინაარე (წინაპუბერტეტი) პერიოდი (11; 12 წელი — 13; 14 წელი)
- ბ) მომწიფების (პუბერტეტი) პერიოდი (13; 14 წელი — 15; 16 წელი)
- 8) ჭაბუკობის ასაკი (15; 16 წელი — 20; 21 წელი).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საპასპორტო ასაკები, რომლებიც მითითებულია, როგორც ცალკეული პერიოდების საზღვრება, აღმულია საშუალო მონაცემების მიხედვით და ყოველი ინდივიდი-სათვის მას მხოლოდ მიახლოებათი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ კი, ბავშვებისა და მოზარდების განვითარების ტემპი ინდივიდუალურია. ამიტომ, სხვადასხვა ბავშვთან, ცალკეული პერიოდები,

1 დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947, გვ. 26.

2 ფსიქოლოგიის ისტორიიდან ცნობილია ბავშვის ფსიქიური განვითარების პერიოდიზაციის მრავალი ცდა. მათ შესახებ დაწვრილებით იხ. ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი), რედ. ვლ. ნორაკიძე, თბ., 1964.

ასაკის ნორმასთან შედარებით, ან ცოტა ადრე და ან ცოტვშოგვანული ანებით იწყება და მთავრდება.

აქვე უნდა შევჩერდეთ ე. წ. აქსელერაციის პრობლემაზე. მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვლევარებმა ყურადღება შიაქციეს იმ ფაქტს, რომ შეინიშნება თაობებს შორის განსხვავება განვითარების ტემპის მიხედვით. შეინიშნება, რომ, ჩვეულებრივ შვილები უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე მშობლები. პირველად ამან ყურადღება მიიპყრო სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით, რადგან აქ განვითარების დაჩქარება აშკარადაა გამოკვეთილი, შემდეგ ჩატარდა გამოკვლევები ფსიქიკურ განვითარებასთან, სოციალურ მომწიფებასთან და განვითარების სხვა ასპექტებთან დაკავშირებითაც და უმეტესწილად ყველგან დადასტურდა განვითარების ტემპის ერთგვარი დაჩქარება, რასაც აქსელერაცია ეწოდება!.

აქსელერაციის მოვლენას სხვადასხვაგვარად ხსნიან. შიაწერენ მას ხან შეცვლილ კლიმატურ პარობებს, ხან უკეთეს კვებას, ხან ინფორმაციის სიჭარებს და ზოგჯერ კი ყველა ამ ფაქტორების ერთობლივ მოქმედებას. ბოლო ხანებში წამოყენებულია ჰიპოთეზა განვითარების ტემპების დაჩქარება-შენელების პერიოდების ციკლურობის შესახებაც (ე. ი. ზოგჯერ განვითარება დაჩქარებულია, ზოგჯერ კი შენელებულია და ამჯერად დაემთხვა დაჩქარების ციკლი). როგორც არ უნდა იყოს, აქსელერაცია ფაქტია და მას გათვალისწინება ესაჭიროება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ აქსელერაციის გავლენით ცალკეული პერიოდების ზემოთმითითებული საზღვრები ზოგ ბავშვთან აშკარად ირღვევა. ამიტომ ბავშვის ასაკი უნდა განვსაზღვროთ არა მექანიკურად, მხოლოდ მეტრიკული მონაცემებით, არამედ განვითარების ფაქტიური მდგომარეობით, რაც თითოეულის ასაკობრივი გარემოს კონკრეტული შანაარსის შესწავლით გახდება შესაძლებელი.

ასაკობრივი პერიოდების ცვალებადობას, როგორც ვხედავთ, ასაკობრივი გარემოს ცვალებადობა გვიჩვენებს, ამ უკანასკნელში კი ბავშვის ამა თუ იმ უნართა განვითარების უახლოესი პოტენციები ვლინდება. ეს გასაგებს ხდის მრავალი მკვლევარის მიერ შემ-

1 აქსელერაციის პრობლემასთან დაკავშირებით იხ. მ. ზარანდია, ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, თბ., 1985.

ჩეულ ფაქტს, რომ ყოველ ასაკში ბავშვი გარემოს სრულიაზე განვითარდების მიმართ ამეღავნებს განსაკუთრებულ მგრძნობიარობას, რასაც **სენზიტივობა** ეწოდება. შესაბამისად, ყოველ ასაკში, ბავშვის საერთო განვითარების ფონზე, მისი ფსიქიკის ის მხარე განიცდის განსაკუთრებულ წინსვლის, რომლის შესატკიცისი ობიექტების მიმართაც არის ბავშვი სენზიტიური ამ პერიოდში. მაგალითად, ერთიდან სამ წლამდე პერიოდში (აღრეული ბავშვობა) ბავშვი განსაკუთრებულად მგრძნობიარება ლექსიური მოვლენების პიმართ, რაღაც მასი განვითარების უახლოესი პერსპექტივები ამეტყველების პოტენციურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ამ პერიოდში, ყველაზე ინტენსიურად ბავშვის მეტყველება ვითარდება და მისი დასასრულისათვის ამეტყველების უახლოესი პოტენცია უკვე ნორმად (აქტუალურ დონედ) გადაიქცევა.

სენზიტივობა ასაკობრივი გარემოს არსებითი კომპონენტია, რასაც ქართულ ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ არ მიქცევია ჯეროვანი ყურადღება. არადა ბავშვის ასაკობრივი გარემოს შინაარსს ძირითადად სწორედ ის მოვლენები განსაზღვრავს, რისადმიც იგი სენზიტიურია. ამიტომ, თანამედროვე ფსიქოლოგიაში გავრცელებული თავისებური წესი, ბავშვის განვითარებაში სხვადასხვა სენზიტიური პერიოდების გამოყოფის შესახებ,<sup>1</sup> სრულ თანხველრაშია ასაკობრივი გარემოს ცნებაზე დამყარებული პერიოდიზაციას პრინციპთან. სწავლების (იგულისხმება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობა) ორგანზარის აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომელი ასაკი, ფსი-

1 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. **Л. С. Выготский** Обучение и развитие в дошкольном возрасте, Избранные психологические исследования. М., 1956. ბავშვისა და ასაკობრივი ფსიქოლოგის რუსულ სახელმძღვანელოებში სენზიტიურა პერიოდების ცნების შემოტანა დასახელებულია ლ. ვიგორტსკისა და შემდეგ ა. ლეონტიევის დამსახურებად. სინამდებილეში, როგორც თვალ ვიგორტსკი აღნიშნავს, ბავშვის ფსიქიური განვითარებისა და სწავლების დასახასიათებლად, ეს ცნება პირველად იხმარა **პონტესორით**. საერთოდ კი, მეცნიერებაში ეს ცნება შემოვიდა ბიოლოგიიდნ და დაკავშირებულია დე-ფრაზის სახელთნ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, თავისი ინტერგანეტური განვითარების პროცესში, ყოველ პერიოდში, გარემოს სრულიად განსაკუთრებულ ზეგავლენაზე იჩნენ განსაკუთრებულ მგრძნობიარობას. (იხ. ვიგორტსკის დასახელებული შრომა. გვ. 22-23).

ქიუს რომელი მხარის განვითარებისათვის არის სენზიტიური. რაჭი  
ვიცით, მაგალითად, რომ ერთიდან სამ წლამდე პერიოდი სენზიტიუ-  
რია მეტყველების განვითარების თვალსაზრისით (ისევე როგორც  
უმცროსი სასკოლო ასაკი გონებრივი უნარებას განვითარებისა და  
მოძრაობითი ჩვევების დაუფლებისათვის, გარდამავალი ასაკი აბ-  
სტრაქტული აზროვნების განვითარებისათვის და ა. შ.), უნდა ვი-  
ღია რომ ბავშვს სწორედ ამ პერიოდში შევუქმნათ რაც შეიძ-  
ლება მდიდარი ლექსიკური გარემო.

### თ ა ვ ი III

## ფილიქ განვითარების პრიორების ზოგადი დანადგარება

### 1. დედის მუცლის პერიოდი

ეს პერიოდი იწყება ბავშვის ჩასახვიდან და გრძელდება მის დაბადებამდე. იგი დაახლოებით ცხრა (იშვიათად შვიდ) თვეს მოიცავს. ამ პერიოდში განვითარება წარმოადგენს ადამიანური მემკვიდრეობით განსაზღვრული გენეტიკური სტრუქტურის სპონტანური რეალიზაციის პროცესს. დედის მუცლის მოთავსებული ნაყოფი, რომელიც, თავიდან ერთუჯრედოვან არსებას წარმოადგენს, ამ პერიოდის განმავლობაში ურთულეს ადამიანურ ორგანიზმად იქცევა, რომელსაც სიცოცხლისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ყველა ორგანოები ფუნქციონირება. მზა მდგომარეობაში აქვს ჩამოყალიბებული.

ჩანასახი თავის განვითარებაში ორ ეტაპს გადის: ემბრიონალურს და პლაცენტურს. პირველში ხდება მისი ორგანოების თანდათანობითი დიფერენციაცია, რის შედეგადაც იგი ბოლოსდაბოლოს ადამიანის ჩანასახის სახეს ღებულობს, ხოლო მეორეში ამ ორგანოების ზრდა და ფუნქციონირებისათვის საჭირო კონდიციამდე მიყვანა.

აღსანიშნავია, რომ ჩანასახას მომწიფება, მომდევნო პერიოდში გადასასვლელად (დაბადებისათვის) ხდება მომწიფების შინაგანი ტენდენციების შესაბამისად, ხოლო დედის მუცლის გარემო ამისათვის შხელოდ ხელშემწყობ პირობებს ქმნის (ზავში ჩართულა დედის სისხლის მიმოქცევის სისტემაში და უზრუნველყოფილია ყველაფრით, რაც მომწიფებისათვის ესაჭიროება). არახელშემწყობა პარობებმა (ნაყოფზე ალკოჰოლის, ნარკოტიკების და სხვა მომწამვლელების ზემოქმედებამ და ა. შ.) შეიძლება ნაყოფი დააზიანოს (გაჩნდეს რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანება), მაგ-

რამ მომწიფების მიმართულების შინაარსი ამით არ აცვლება. ამიტომ, გარემო ამ პერიოდში არ წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომ ულიც განვითარების მსვლელობას განსაზღრავს. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის ფუნქცია, როგორც და უზნაძე შენიშნავს, იმაში მდგომარეობს, „რომ იგი ადამიანის ჩანასახის მხოლოდ შინაგანი ფაქტორის ზეგავლენით განვითარებისა და, ამრიგად, ადამიანის ტიპიური ორგანიზმის სწორი ფორმაციის შესაძლებლობას იძლევა“.<sup>1</sup>

ამ პერიოდის დასასრულისათვის ორგანიზმი უკვე იმდენად მომწიფებულია, რომ შესაძლებელი ხდება მისი ავტონომიური არსებობა. თავის მხრივ მასში თანდათანობით თავს იჩენს მომწიფების პროცესში მყოფი ორგანოების ამოქმედების ფუნქციონალური ტენდენცია. ხოლო დედის მუცლის გარემო მისი დაკმაყოფილებას და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა. ბავშვის თვალს ხედვა სწყურია, ყურს სმენა, კიდურებს მოძრაობა და ა. შ. დედის მუცელში კი ბავშვს არც დასანახვი აქვს რაიმე და არც მოსასმენი, ხოლო მოძრაობის შესაძლებლობება უალრესად შეზღუდულია. ახალი მომწიფებული ძალების შეუსაბამობა ძველებურ გარემოსთან, ამ უკანასკნელის შეცვლის აუცილებლობას განაპირობებს. სწორედ ამას ემსახურება დაბადების აქტი. ამ აქტის მეშვეობით ბავშვი ისეთ გარემოში გადადის, რომელიც დედას მუცელშე უფრო შეესაბამება მის ამჟამინდელ მდგომარეობას.

## 2. ახალდაბადებულობის პერიოდი

დაბადება ბავშვის ფუნქციონალურ ტენდენციებს რეალიზაციის ფართო ასპარეზს უქმნის, რადგან იგი შეზღუდულა და გამლიზანებლებს თითქმის სრულიად მოკლებული გარემოდან თავისუფალ და მრავალფეროვან გარემოში გადაჰყავს. ამ ცვლილების გარეშე ბავშვის შემდგომი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს გარემო იმაზე მეტად მრავალფეროვანია, ვიდრე ბავშვის ძალებია მომწიფებული მასთან უშუალო ურთიერთობისათვის. სამაგიეროდ, სოციალური წრე, რომელსაც ბავშვის მოვლა და აღზრდა ეკისჩება, მისი გარემოს ისეთ ორგანიზაციას ახდენს, რომელშიც არსებული ფუნქციონალური ტენდენციების თავისუ-

1 დ. უზნაძე — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947 წ., ვე. 33.

ფალი გამოვლენაც ხერხდება და ბავშვისათვის ისეთი გამლიზიანებლების მორიდებაც, რომლებთან ურთიერთობისათვის მისი მარტივი ჯერ მომწიფებული არაა. ასეთნაირად ორგანაზებულ გარემოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასაკობრივ გარემოს უწოდებენ.

ახალდაბადებულის ასაკობრივი გარემოს განსაზღვრაში სოციალური წრე პირველ რიგში ბავშვის ასაკობრივ თვისებურებებს ითვალისწინებს, რას გამოც ამ ასაკის ბავშვებისათვის შექმნილი პირობები, სხვადასხვა ხალხებთან, მეტ-ნაკლებად ერთნაირია, მაგრამ თვალსაჩინოა განსხვავებებიც, რომლებიც კულტურისა და ტრადიციების სხვადასხვაობით არის განპირობებული. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსახვავებენ ფეტოფილურ და ფეტოფობურ გარემოს. პირველ შემთხვევაში ახალდაბადებულ ბავშვს უქმნიან ისეთ გარემოს, რომელშიც იგი აქამდე იმყოფებოდა: თბილად ბანენ, თბილ და რბილ საწოლში აწვენენ, მკვეთრ სინათლეს და ხმაურს არიდებენ და ა. შ. მეორე შემთხვევაში პირიქით, ბავშვს ფეტუსისაგან (ჩანასახისაგან) მკვეთრად განსხვავებულ პირობებში აგდებენ: ცივი წყლით ბანენ, უხეში სახვევებით კრავენ, ცვალებად გამლიზიანებელთა პირობებში ამყოფებენ და ა. შ. უფრო გავრცელებულია ფეტოფილურთან მიახლოებული გარემო, რადგან იგი უფრო შეესაბამება ახალდაბადებული ბავშვის ნორმალური განვითარებას მოთხოვნებს.

სათანადო მოვლის პირობებში ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებას და მის ბიოლოგიურ განვითარებას უზრუნველყოფს თანმობილ (უპირობო) რეაქციათა (რეფლექსთა) სისტემა, რომელიც დაბადებისთანავე იწყებს მოქმედებას. ამ სისტემაში შედის სუნთქვა, წოვა, დაცვათი რეაქციები და საორიენტაციო-რეაქციები. ამ ინსტიქტური მოქმედებების (განსაკუთრებით სუნთქვისა და წოვის) გარეშე ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. მიუთითებენ აგრეთვე ატავისტურ რეფლექსებზე, როგორიცაა ჩაჭიდება (ხელისგულებზე შეხება იწვევს ხელის მტევნის შეკუმშვას და შემხებ საგანზე ძლიერ ჩაჭიდებას) და განმზიდი რეაქცია (ფეხისგულებზე შეხება იწვევს ფეხის კვრას). მიაჩნიათ, რომ ეს რეაქციები, რომლებიც მაღლ უკვალოდ ქრებიან და არცერთ ახალ წარმოქმნაში არ გადაიზრდებიან, ჩვენი ცხოველური წინაპრებისაგან შემორჩენილი ატავისტური გადმონაშთება. საკითხი იმის შესახებ ეს რეაქციები მართლაც ატავისტურია თუ მათაც აქვთ რაიმე ფუნ-



ქცია ახალდაბადებული ბავშვის ცხოვრებაში, ჯერ კიდევჟორნალი  
სრულყოფილად შესწავლილი.

ახალდაბადებულობის პერიოდში, განვათარება ძირითადად გა-  
მოიხატება აქტივობის მომატებაში და გარემოსთან თანდათანობით  
ადაპტირებაში. სიცოცხლის პირველ დღეებში ბავშვი ძირითადად  
ავრძელებს ძილის მაგვარ მდგომარეობას, რომელიც ფეტუსათვის  
არის დამახსიათებელი. ნამდვილი სიფხიზლე მეტად მცირე ხანს  
გრძელდება და ამოიწურება რომელიმე ბიოლოგიური მოთხოვნი-  
ლების დაკმაყოფილებით. მაგრამ, ამას პარალელურად, თანდათან  
ძლიერდება სენსორული აპარატის ფუნქციონალური ტენდენცია,  
რომლის შესატყვისი აქტივობის, ე. ი. შეგრძნების ორგანოთა (თვა-  
ლის, ყურის, შეხების და ა. შ.) ვარჯიშის შედეგად, სწრაფად მიღის  
წინ სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებების და მათი ანალიზატორე-  
ბის განვითარება. ამ პერიოდის (ერთი თვის) დასასრულს ბავშვის  
გააჩნია ყველა მოდალობის შეგრძნებას შესატყვისი რეაქცია. ამის  
შედეგად, ახალდაბადებულობის პერიოდის ბოლოსათვის, ძილისმა-  
გვარი მდგომარეობა უკვე დიფერენცირდება ნამდვილ ძილად და  
სიფხიზლედ.

აქტივობის მომატება ბავშვის ემოციური სფეროს განვითარება-  
შიც აისახება. ახალდაბადებულობის მანძილზე თანდათანობით  
ძლიერდება ემოციების გამოხატვა: ბავშვის არადიფერენცირებული  
კივილი, რასაც შემაწუხებელი ფაქტორების პირობებში აქვს ხოლმე  
ადგილი, თანდათან იცვლება ტირილით, ასევე სწავლობს ბავშვი  
ღიმილს. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით ხშირად აქვს ადგილი  
მხედველობისა და სმენის ორგანოთა ფუნქციონალური ტენდენცი-  
ის დაკმაყოფილებისას: ბავშვი უღიმის მისკენ დახრილ უფროსს,  
უღიმება აღამიანის ხმის გავონებისას და სხვა. ემოციების ასეთი  
გამოხატვა შერწყმულია სათანადო მოძრაობებთან, როგორიცაა კი-  
დურების მოძრაობა, თავის ტრიალი და სხვ. ამიტომ იგი განიხილე-  
ბა როგორც ერთიანი ემოციურ-მოძრაობითი კომპლექსი, რასაც  
გამოცოცხლების კომპლექსს უწოდებენ და ახალდაბადებულობასა  
და ჩვილობას შორის ფსიქოლოგიურ საზღვრად მიიჩნევენ.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ახალდაბადებულობის პერიოდიდან განვი-  
თარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება გარემოს  
ფაქტორის გავლენა ბავშვის მომწიფების პროცესში მყოფ ფუნ-

<sup>1</sup> იხ. მაგ. ვ. ხ. მუხინა — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1989 წ., გვ. 71.

ქცაებზე, მაგრამ ყოველივე რაც ამ პერიოდში ისახება და ოწყებს ჩამოყალიბებას, შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილი მომსახულის სისტემის პირობებში, რომლითაც ბავშვი უნდა დაიბადოს. შესაბამისად, ამ პერიოდის დანიშნულებას განვითარების ბიოლოგიური და სოციალური განვითარებების პირველადი ინტეგრაცია და განვითარების შესაძლებლობებისა და ძირითადა ტენდენციების თავისებური დაგეგმვა წარმოადგენს. მაგალითად, თუ ბავშვთან სათანადო ვერ განვითარდა სენსორული აპარატი და დროულად არ აღმოცენდა გამოცოცხლების კომპლექსი (განვითარების ტემპის ინდიკილუალურობის გამო ეს კომპლექსი ზოგ ბავშვთან ერთ თვეზე აღრეც შეიძლება აღმოცენდეს და დაგვიანებითაც, აյ ლაპარაკია საერთოდ მის განუვითარებლობაზე), უნდა ვივარაუდოთ ბავშვის ნერვული სისტემის თანმობილი შესაძლებლობების არასაკმარისობა მომავალში ბავშვის ნორმალური ფსიქიკური განვითარებისათვის.

ჩვეულებრივ სენსორული აპარატის ფუნქციონალური ტენდენცია და მასთან დაკავშირებული ემოციურ-მოძრაობითა რეაქცია (გამოცოცხლების კომპლექსი), დაახლოებით ერთი თვის ასაკში ღებულობს იმდენად გამოკვეთილ სახეს, რომ ბავშვის ასაკობრავი გარემოს არსებით ცვლილებასა და შესაბამისად განვითარების ახალი საფეხურის დადგომაზე ვილაბარაკოთ.

### 3. ძუძუს ანუ ჩვილი ბავშვობის პერიოდი

ეს პერიოდი მოიცავს ბავშვის განვითარების მონაკვეთს დაახლოებით ერთი თვიდან ერთ წლამდე. იგი, როგორც ვნახეთ გამოცოცხლების კომპლექსის აღმოცენებით იწყება. ეს კომპლექსი მიგვანიშნებს, რომ ბავშვი უკვე გაუჩნდა გრძნობად შთაბეჭდილებათა განცდის უნარი და მაშასადამე, მისი ასაკობრავი გარემო არსებითად შეიცვალა და გამდიდრდა. რაკი ბავშვი უკვე განიცდის სენსორულ შთაბეჭდილებებს, ცხადია, თავს იჩენს ამ შთაბეჭდილებების მიღებისა და შეგრძნების ორგანოთა ამოქმედების ფუნქციონალური ტენდენცია. ჩვილი ბავშვობის პერიოდში განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას სწორედ ეს ტენდენცია წარმოადგენს და განვითარებაც არსებითად სენსორული და პერცეპტული პროცესების ჩამოყალიბებაში გამოიხატება.

ფუნქციონალური ტენდენცია უპირველესად მხედველობითი



და სმენითი შთაბეჭდილებების მიღებასთან დაკავშირებით აჩენის გამოც ჩვილი ბავშვობის დასაწყისში ბავშვი მხოლოდ შთაბეჭდილებათა პასიური მიღებით კმაყოფილდება. მაგრამ შეგრძნებას ორგანოთა ფუნქციონალური ტენდენცია თანდათანობით ფართოვდება. მალე იგი მოიცავს მთელ სენსორულ აპარატს. ამასთანვე, ბავშვში ისახება და ძლიერდება აქტიური სუბიექტი, რომელიც აღარ კმაყოფილდება შთაბეჭდილებათა პასიური მიღებით და თავად აქტიურად ეძებს მათ, რათა საგნებთან მრავალმხრივი კონტაქტი დაამყაროს. მაგალითად, თუ აქამდე კმაყოფილდებოდა მხოლოდ ამა თუ იმ საგნის დანახვით, ახლა ცდილობს მას ხელიც წაატანოს. ამ თავისებურებაზე დაყრდნობით ჩვილი ბავშვობის პერიოდში ორ ეტაპს ანუ ხანას გამოჰყოფენ: 1) ჰერეტის ხანა, როდესაც ბავშვი მხოლოდ საგანთა ხედვითა და სმენით კმაყოფილდება და რომელიც დაახლოებით მეხუთე თვემდე გრძელდება და 2) ტაცების ხანა, როდესაც ბავშვი ცდილობს დანახული საგნები ხელში ჩაიგდოს, შესაძლოა პირშიც ჩაიდოს და ა. შ.<sup>1</sup>

ჰერეტიდან ტაცებაზე გადასვლა უზრუნველყოფს ბავშვთან პერიეპტული აქტივობის (ალქმის) განვითარებას და მეტ-ნაკლებად დეტალიზაციას, რადგან აღამიანის მიერ საგანთა აღქმა მრავალი მოღალობის შეგრძნებას ერთდროული აქტუალიზაციის შედეგია, ამიტომ, თუ თავიდან ბავშვი საგნებს უფორმო, ბრტყელი (ორგანზომილებიანი) ფიგურების სახით ხედავს და ხშირად ფიგურას ფონისაგან ვერც ანცალკევებს, ჩვილი ბავშვობის II ეტაპიდან უკვიშებინიშნება საგანთა სავრცითი და სხვა თვისებების ალქმის უნარიც ცორედ საგანთა ხელით მოშინევა და მათზე (ან მათი მეშვეობით) ხევადასხვა მანიპულაციების განხორციელება უზრუნველყოფს ალქმის თანდათანობით დეტალიზაციას. მაგრამ საგანთა სრულყოფილად დეტალურად ალქმის უნარი არა თუ ჩვილ ბავშვთან, არამედ სკოლამდელ ასაქშიც არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული. ალქმის გეშტალტიზაცია საკმაოდ რთული პროცესია და იგი თითქმის მთელი ბავშვობის განმავლობაში (დაახლოებით 10-11 წლამდე) გრძელდება. ამიტომ ჩვილი ბავშვი მაინც უშუალო სენსორულ შთაბეჭდილებათა ტყვეობაშია და საგნებს აღიქვამს ერთგვაროვნად, სტრუქტურული დეტალიზაციის გარეშე. მაგალითად, თუ ჩვილ ბავშვს მოვარიან ლამეში გარეთ გამოვიყვანთ, იგი შეეცდება მთვა-

1 იხ. მაგ. დ. უზნაძე — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947.



რეს, რომელიც მას თავისი სინათლით იზიდავს, ხელისურ წარტოვნის. ბავშვი კერ ხედავს უზარმაზარ მანძილს, რომელიც შაშ-შტვალისგან აშორებს.

ჩვილი ბავშვობის დასასრულისათვის საგნებთან აქტიური ურ-თერთობა აღწევს ისეთ დონეს, რომ ბავშვი იწყებს ე. წ. ექსპერი-მეტალურ თამაშს: საგნებს ისვრის, ერთიმეორებულ აჯახებს და ა. შ. ეს პროცესი, რომელიც საგანთა ფიზიკური თვასებების მრავალ-მხრივ შესწავლას ემსახურება, აქტიურად გრძელდება მომდევნო პერიოდშიც. უკვე ჩვილი ბავშვობიდანვე აუცილებელია, რომ ბავშვს შევუქმნათ შთაბეჭდილებებით მდიდარი გარემო. არაა საკ-მარისი ვაზრუნოთ მხოლოდ მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსის ურთაერთობას ბავშვთან: თუ უფროსი სისტემატურად ართობს, ათამაშებს და „ესაუბრება“ ბავშვს, ბავშვიც სრულყოფი-ლად ვითარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგა შეიძლება ინტე-ლეტუალურად პასიური გახდეს.

ჩვილი ბავშვობის პერიოდი არის აგრეთვე მეტყველების მოსა-მზადებელი პერიოდი. მეტყველების აპარატის ფუნქციონალურ, ტენდენცია უკვე ჩვილობის დასაწყისში იჩენს თავს, როდესაც ბავ-შვი გამოსცემს არაღიფერენცირებულ ბგერებს (ამას ტიტინს უწო-დებენ). ამით მეტყველების აპარატი ვარჯიშდება. უფროსთა მეტ-ყველების მოსმენით ვარჯიშდება სმენის აპარატი, რომელიც ჩვილი ბავშვობის პერიოდის დასასრულისათვის დანაწევრებული მეტყვე-ლების აღქმის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამასად სამეტყველო აპარატის გავარჯიშების მეშვეობით ბავშვი ნელ-ნელა იწყებს უფ-როსთა მეტყველების წაბაძვას და ამ პერიოდის ბოლოსათვის მისა არაღიფერენცირებული ბგერები თანდათან დიფერენცირდება ცალ-კალ ერთსიტყვიან წინადადებებად.

გამოდის, რომ ამ პერიოდის ბავშვის ნორმალური განვითარები-სათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელთა მიერ. ბავ-შვის ასაკობრივად განსაზღვრული ფუნქციონალური ტენდენციე-ბის მაქსიმალურ გათვალისწინებას და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო პირობების შექმნას, სრულფასოვანი ასაკობრივი გარემოს უზრუნველსაყოფად. რაც უფრო აქტიურია უფროსისა და ბავშვის ურთიერთობა, რაც უფრო მრავალფეროვანა ბავშვის მიერ მიღ-ბული შთაბეჭდილებები, რაც მეტად ეძლევა ბავშვს თავისუფალი

კოორდინირებული მოძრაობებისა და ტაცების შესაძლებლობების შემთხვევა  
და ა. შ., მით უფრო სწრაფად და პარმონიულად მიმდინარეობს მი-  
სი ყოველმხრივი განვითარება.

დაახლოებით ერთი წლის ასაკში, ცალკე საგნობრივ მოქმედება-  
თა გართულების და ცალკე მეტყველების ჩასახვის გავლენით, ბავ-  
შვის ასაკობრივი გარემო ისეთ ცვლილებებს განიცდის, რომ მის  
განვითარებაში სრულიად ახალი პერიოდი იწყება.

#### 4. აღრეული ბავშვობა

ერთიდან სამ წლამდე მონაკვეთში ბავშვის განვითარების ტემპი  
კიდევ უფრო დაჩქარებული ხდება და მოცემული პერიოდის და-  
სასრულისათვის იმდენად თვალსაჩინო შედეგებს იძლევა, რომ ბე-  
ვრი მკვლევარი სამი წლის ასაკს განვითარების შუა გზად მიიჩნევს.

განვითარების ასეთი სწრაფი ტემპი პირველ რიგში ბავშვის  
საკობრივ გარემოში მომხდარ თვისობრივ გარდაქმნებთანაა დაკავ-  
შირებული, რომელთაგან აღსანიშნავია ძუძუს გაშვება, ფეხს ად-  
გმა, საგნობრივ მოქმედებათა სისტემის განვითარება და მეტყველე-  
ბის დაწყება. ეს ფაქტორები, რომლებიც ერთი წლის ასაკში ისახე-  
ბიან და დიდი გაჭირვებათ იყიდებენ ფეხს, აღრეული ბავშვობის  
პერიოდის დასასრულისათვის სრულიად ჩამოყალიბებული არიან  
და ქმნიან საფუძველს განვითარების მომდევნო საფეხურზე ბავ-  
შვის გადასვლისათვის. თვითიდან ბავშვს ფსაქოლოგიურადაც და ფი-  
ზიკურადაც ძალზე უჭირს დედის რძისაგან განსხვავებული საკვე-  
ბის შეგუება, გამართული გავლა და მეტყველება, საგნების მოხმა-  
რება მათი თვისებებისა და დანიშნულების შესაბამისად, მაგრამ,  
ერთი მხრავ სოციალური გარემოს დახმარება-წახალისების და მე-  
ორეს მხრივ განვითარების პროცესში მყოფი ფუნქციების შესაბა-  
მისი ტენდენციის წყალობით, მალე ხერხდება ყველა წინააღმდე-  
გობის დაძლევა.

ძუძუს გადახვევა და ფეხის სწავლა ბავშვს აძლევს შედარებით  
დამოუკიდებელი მოქმედებასა და არსებობის საშუალებას და მნი-  
შვნელოვნად ამრავალფეროვნებს მის ასაკობრივ გარემოს. მედი-  
კოსები მოითხოვენ, რომ ერთ წლამდე ბავშვს არ უნდა დავაძალოთ  
ფეხზე დაღვომა, რადგან ჩინჩხი უმთავრესად ხრტილოვანია და  
ნადრევმა დატვირთვამ შეიძლება მისი დეფორმაცია (მაგალითად  
ბრტყელტერფიანობა) გამოიწვიოს. ასევე მაუთითებენ, რომ ერთ

წლამდე ბავშვისათვის დედის რჩე შეუცვლელი საკვებია და თუ  
ობიექტური აუცილებლობა არ მოითხოვს, იგი მთლიიანაულ ხელოფ-  
ნურ კვებაზე არ უნდა გადავიყვანოთ (მხოლოდ სიცოცხლის პარვე-  
ლი წლის მეორე ნახევრიდან შეიძლება დედის რჩეს სხვა საკვებიც  
დაემატოს). მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ფიზიოლოგიური ასპექ-  
ტია. აღნიშნული მოთხოვნების დაცვა აუცალებელია ფსიქოლოგი-  
ური თვალსაზრისითაც: ჩვილის ნორმალური განვითარებისათვის  
აუცილებელია მშობელთან ისეთი უმჭიდროესი, ემოციურად შე-  
ფერილი კონტაქტი, როგორიც მხოლოდ ძუძუთი კვების მეშვე-  
ობით მიიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ემოციური გან-  
ვითარების ბუნებრივი მსვლელობა და თუ მომავალში მისი კომ-  
პენსირება არ მოხდა (რაც ძალზე ძნელი და სათუოა), ბავშვი შეიძ-  
ლება განუვითარდეს ნეგატიური ხასიათის ისეთი ემოციები, რო-  
გორიცაა შიში, მორცევობა, უნდობლობა, აგრესიულობა, ხოლო  
ზოგიერთ შემთხვევაში მაზოხიზმი და სადიზმიც კი (ცხადია არავინ  
ამტკიცებს, რომ ყოველივე ამის მიზეზი მხოლოდ ძუძუს ნააღრე-  
ვად გაშვებაა და ამ ღროს ყოველთვის ასეთი ემოციების განვითა-  
რებაა გარდაუვალი).

სრულიად სააპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ერთი  
წლიდან. ჯერ — ერთი, დედის რჩე აღარაა სასარგებლო ბავშვისა-  
თვის და საჭიროა უფრო მრავალფეროვანი კვება და მეორე, დე-  
დასთან ადრინდელი კონტაქტის და სრული მიჯაჭვულობის შენარ-  
ჩუნებაზე შეიძლება გამოიწვიოს ბავშვური ინფანტილიზმის განვა-  
თარება და შეაფერხოს დამოუკიდებელი პიროვნების ჩასახვა. ამი-  
ტომ, ერთი წლის შემდეგ, როგორი მტკიცნეულიც არ უნდა იყოს,  
ბავშვი ძუძუსაც უნდა გადაეჩვაოს და ფეხის სწავლაც უნდა დაიწ-  
ყოს. ვიმეორებთ, რომ ამისათვის სოციალური გარემოს განსაკუთ-  
რებული ზრუნვაა საჭირო.

მეტყველების დაწყებაც დიდი გარდატეხაა ბავშვის ცხოვრება-  
ში. ამიერიდან ბავშვს უკვე შესაძლებლობა აქვს სოციალურ გარე-  
მოსთან ურთიერთობაში კომუნიკაციას ადამიანური იარაღი გამო-  
იყენოს, რაც სოციალურ კონტაქტებს სრულიად ახალ თვისობრი-  
ობას ანიჭებს. ამიერიდან ბავშვისათვის აღარაა ისე ძნელი გააგვ-  
ბინოს უფროსს თავისი სურვილება და მისგანაც მიიღოს უფრო  
სრული ინფორმაცია.

საერთოდ, ერთიდან სამ წლამდე პერიოდი მეტყველების განვი-

თარების ხენზიტიური პერიოდია და ამ საკითხზე საგანგმოდ უნდა წევჩერდეთ.

მეტყველება ფსიქიკურ პროცესთა განხორციელების და შესაბამისად, მათი განვითარების აუცილებელი პირობაა. ფსიქიკური განცდა ცნობიერებაში სწორედ მეტყველების მეშვეობითაა წარმოდგენილი, როგორც ასეთი. **დ. უზნაძის** თანახმად, მეტყველება არის ობიექტივირებული ასახვის იარაღი. „ალბათ, სიტყვა რომ არ გვქონებოდა, ჩვენთვის ობიექტური სინამდვილე გაცილებით ნაკლებ იქნებოდა ჩამოყალიბებული, ვიდრე ეხლა“<sup>1</sup>.

მეტყველება ენის გამოყენებით ხორციელდება. ენა, როგორც სინამდვილის ასახვის ობიექტურად არსებული სასტემა, ბავშვს ეძლევა სოციალური გარემოსაგან, მზამზარეული სახით და იგი მხოლოდ უნდა დაეუფლოს მის გამოყენებას. ამისათვის კი საჭიროა ორი პირობა იქნეს შესრულებულა: პირველი, რომ ბავშვი დაეუფლოს სიტყვის მნიშვნელობას, შესძლოს მისი გაგება და მეორე, რომ საკუთარი სამეტყველო აპარატი მომართოს თვისი ფუნქციის შესარულებლად. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში სწორედ ამ პარობების მომზადება ხდება, რის გამოც ძუძუს ბავშვობის პერიოდი მეტყველების მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენს. ახალდაბადებული ბავშვის არადიფერენცირებული კივილი, მეორე-მესამე თვიდან თანდათანობით დანაწევრებული ბერების სახეს ღებულობს, რომელთა წარმოთქმაც გაგრძელებული ხასიათისაა (მაგ. ა-ა-ა...) და სიცოცხლას პირველი წლის მეორე ნახევრიდან უკვე მარცვლებადაც დიფერენცირდება და გარეგნულად (მაგრამ არა შინაარსობრივად და ფუნქციონალურად) უკვე აღამიანურ მეტყველებას უახლოვდება, რასაც ბავშვის „ტიტინს“ უწოდებენ. „ტიტინი“ მეტყველების აპარატის ფუნქციონალური ტენდენციის გამოვლენაა და სამეტყველოდ მის მომზადებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება მომზადებას მეორე ასპექტს, სიტყვის გაგებას, ამ მიმართულებით, ყველაზე ადრე (დაახლოებით მესამე თვიდან) ვლინდება უფროსთა მეტყველების ინტონაციის გავლენა ბავშვის ქცევაზე, ხოლო ჩვილი ბავშვობის დასასრულისათვის ბავშვი უკვე ამყარებს გარკვეულ კაშირს სიტყვას, როგორც ბერებათა კომპლექსსა და ამ სიტყვით აღნიშნულ საგანს შორის. გაბატონებული შეხეღულების

1 დ. უზნაძე, შრომები, ტ. V, 1967, წ., გვ. 194.

თანახმად ეს კავშირი მხოლოდ პირობით-რეფლექსურია და სიტყვის  
ნამდვილი მნიშვნელობა ბავშვისათვის მიუწვდომელია

დაახლოებით ერთი წლის ასაკში (ზოგი ცოტა ადრე და ზოგი  
ცოტა მოგვიანებით) ბავშვი იწყებს ცალკეული სიტყვების წარმოთ-  
ქმას. ამით იგი ახერხებს კომუნიკაციის ის საშუალებები, რომლე-  
ბიც აქამდე გააჩნდა (ტირილი, კივილი, უესტიკულაცია და სხვა) შე-  
ცვალოს უფრო მოქნილი იარაღით, — სიტყვით და უკეთ გააგები-  
ნოს უფროსებს თავისი სურვილები. მაგრამ სიტყვის (მეტყველების)  
დაუფლებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია, ვანიდან ბავშვის  
პირველი სიტყვები ობიექტურ სინამდვილეს კი არ ასახვენ, არა-  
მედ ბავშვის სუბიექტურ სიტუაციურ მდგომარეობას. ფაქტიურად  
ეს სიტყვები კი არა მთელი წინადადებებია, რომლებიც სხვადასხვა  
სიტუაციაში სრულიად სხვადასხვა შინაარსის იქნებოდა, ბავშვს რომ  
მეტყველება შეეძლოს.., მაგალითად სიტყვა „დედა“ ერთ შემთხვევაში  
ვამოხატავს ბავშვის სურვილს, რომ დედამ ხელშე აიყვანოს, მეორე  
შემთხვევაში იგივე სიტყვა გამოხატავს სურვალს, რომ დედამ აჭა-  
მოს, მესამე შემთხვევაში — დედამ სასეირნოდ წაიყვანოს და  
ა. შ.<sup>1</sup> მეტყველების განვითარების ამ სტადიას, რომელიც დაახ-  
ლოებით წლინახევრამდე გრძელდება და რომელშიც მეტყველება  
ძირითადად კომუნიკაციას ფუნქციას (ისიც შეზღუდულად) ემსა. ტურება, ერთსიტყვიანი წინადადების სტადია ეწოდება.<sup>2</sup>

დაახლოებით წლინახევრის ასაკში ბავშვის მიერ მოსმენილი  
ოუ წარმოთქმული სატყვები თანდათანობით იძენენ სახელის ფუნ-  
ქციას. ბავშვი ხვდება, რომ სიტყვა საგნის სახელია (უფრო გვიან  
მყარდება კავშირი სიტყვასა და მოქმედებას შორის), ე. ი. გარკვე  
ული შინაარსის მატარებელია. ამ პროცესს, როგორც ვიცით  
აზრდება ეწოდება. ამის შემდეგ სატყვა ხდება აზრიანი, ხოლო თა-  
ვის მხრივ აზროვნება, რომელსაც აქამდე მხოლოდ აღქმული სი-  
ნამდვილე გააჩნდა და საყრდენად, იძენს ახალ საყრდენს ენის სა-  
ხით. ნამდვილ მეტყველებაზე, რომელიც კომუნიკაციასთან ერთად

1 რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1989, გვ. 341.

2 ბავშვის პირველი სიტყვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით აზრთა და-  
ლი სხვადასხვაობა, რასაც აქ ვერ განვიხილავთ. დაინტერესებულ მკით-  
ხველს შეუძლია მიმართოს ამ საკითხზე ნ. ჭრელაშვილის სტატიას. იხ.  
ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი), რედ. ვლ. ნორაკიძე, თბ.,  
თბ., 1964 წ.

აღნიშვნის (სიგნიფიკაციის) ფუნქციასაც ემსახურება, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ. ნამდვილი მეტყველებრივი კომუნიკაციაც მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი, რადგან სანამ სიტყვაში აზრი არ იდო, იგი ვერც მისი გადამტანის ფუნქციას შეასრულებდა.

აზრდება არა მყისიერი პროცესი (ასეთი რამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს, როგორც მაგალითად უცხო ენის ახალი სიტყვის მნიშვნელობის გაებისას, როდესაც აქამდე უაზრო ბგერათა კომპლექსი ერთბაშად გარკვეულა მნიშვნელობის მატარებელი ხდება).<sup>1</sup> ბავშვთან იგი თანდათანობით, თითქმის შეუმჩნევლად, მყარდება, უკვე ერთსიტყვიანი წინადადების სტადიაზე ობიექტი, გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც უგულისხმება ბავშვის მეტყველებაში. მაგალითად, როგორც ზემოთ დავინახეთ, სიტყვა „დედას“ იმდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რამდენი სურვილიც ბავშვს მოუვლის, მაგრამ ამ სატყვით ბავშვი ყოველთვის დედას მიმართავს და არა სხვა ვინმეს, რის გამოც საბოლოოდ ამ სიტყვას მხოლოდ ეს კონკრეტული მნიშვნელობა შემორჩება. აზრდების პერიოდის შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს ბავშვის ლექსიკის გამდიდრება. სულ რაღაც რამდენიმე კვირაში ბავშვი ეუფლება ყველა საგნის სახელს, რაც კი მის გარემოში არსებობს. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ბავშვის სიტყვათა ამ მარაგის აბსოლუტური უმრავლესობა არსებითი სახელებია, რადგან ყველაზე ადვილა კავშირის დამყარება სიტყვასა და აღქმადად მოცემულ სინამდვილეს შორის. თუმცა ძალიან მალე ბავშვის ლექსიკაში ჩნდება მეტყველების ყველა ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები და უკვე ორი წლის ბავშვა ფლობს ყველა იმ სიტყვას, რაც კი მის ლექსიკურ გარემოში იხმარება. ფსიქიკურად ჯანსაღი ბავშვის ლექსიკური მარაგის სიმღადრე მხოლოდ ლექსიკური გარემოს სიმღიდრეზეა დამოკიდებული. ამიტომა, რომ, როგორც შენიშნულია, სხვადასხვა სოციალური გარემოს პირობებში ბავშვების ლექსიკა სხვადასხვაგვარია არა მარტო შინაარსობრივად, არამედ სიმღიდრე-სიღარიბის თვალსაზრისითაც.

აზრდების შემდეგ გადადის ბავშვი აქტიურ მეტყველებაზეც.

1 აზრდების განსაკუთრებით მყაფიო მაგალითს წარმოადგენს ბრმა და ყრუ-მუნჯი ჰელენ კელერის მიერ ენის დაუფლება შეხების მგრძნობელობით. იხ. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947 წ., გვ. 155.



თავიდან, როდესაც ჯერ სიტყვათა შარაგის დაგროვება ხდება, მაგრა შეი შედარებით პასურია და ზოგჯერ კომუნიკაციის უფრო პირ-მიტიულ საშუალებებსაც უბრუნდება. მაგალითად, უფროსის ხელს აიღებს და დაადებს საგანზე, რომლითაც რაიმე მანიპულაცია უნდა ჩატარდეს, მაგრამ ეს შეფერხებაც მალე დაიძლევა და ბავშვი თანდათანობით ალაპარაკდება. აზრდებაა იმის საფუძველიც, რომ ბავშვი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ცალკეული სიტყვების წარ-მოთქმით და იწყებს ორ და მრავალსიტყვიან წინადაღებებზე გადა-სკლას. საქმე იმაშია, რომ რაკი სიტყვას უკვე მიეცა თავისი კონ-კრეტული შინაარსი, ბავშვი ვეღარ კმაყოფილდება სათქმელის მხო-ლოდ ერთი სიტყვით გადმოცემით და ცდილობს სიტყვების გამ-თლიანებას ნამდვილ წინადაღებებში. თავიდან სიტყვების ურთი-ერთდაკავშარება მექანიკურია, მაგრამ უფროსთა მეტყველება მა-ლე გადმოდის ბავშვის შესაბამის აქტივობაში და იწყება გრამა-ტიკული მიმოხვერების გამოყენებაც. საყურადღებოა, რომ ყველა ეს ცვლილება ხდება ძალიან სწრაფად, თითქმის ნახევარი წლის მან-ძილზე, ისე, რომ, თუ ბავშვი ნორმალურად ვითარდება, ორი წლის ასაკისათვის მისი მეტყველება საკმაოდ მიახლოებულია უფროსთა მეტყველებას და საკმაოდ კარგად ასრულებს ყველა თავის ფუნ-ქციას.

ამის შემდეგ მეტყველების განვითარება ძირითადად როგორ წინადაღებების დაუფლების, კავშირების გამოყენების და სინტაქ-სური გართულება-გამრავალფეროვნების მიმართულებით მიდის წინ. უკვე ორი წლიდან ბავშვი იწყებს რთული წინადაღებების წა-რმოთქმას, რომლებსაც რიგ შემთხვევებში იყლიათ დამაკავშირებე-ლი ნაწილები (რომ, რათა და ა. შ.). მალე ეს ხარვეზიც დაიძლევა და სამი წლის ასაკში ბავშვი ფაქტიურად ამთავრებს მშობლიური ენის ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურის პრაქტიკულ ათვი-სებას.

ეს არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ბავშვი სრულყოფილადაა ენას დაუფლებული. მეტყველების სრულყოფის პროცესი გრძელდება არა მარტო სკოლამდელ ასაკში, არამედ მთელი ბავშვობის მანძილ-ზე. სკოლამდელი პერიოდიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მეტყველების ფუნქციათა (კომუნიკაციის, სიგნიფიკაციის, ექსპრესიის) თვისობრივი განვითარება. სამი წლიდან ფართოვდება საკომუნიკაციო არე. ბავშვი ურთიერთობაში ერთვება თანატოლებ-

თან, რაც ახალ სტიმულს აძლევს კომუნიკაციურ აქტივობას. კომუნიკაცია თანავე, აზროვნების განვითარების კვალობაზე, თვისობრივად და სიმაღლეზე აღის სიტყვის სიგნიფიკაციური ფუნქცია. უფროსი ასაკის სკოლამდელება, სინამდვილის შემეცნების პროცესში სწორედ სიტყვის მეშვეობით არეგულირებენ თავის გონებრივ აქტივობას.

მეტყველების პრაქტიკული დაუფლება და ობიექტივაციის იარა-ლად მისი გამოყენება, სკოლის წინა პერიოდებში, ისევე ბუნებრი-ვად და სტიქიურად ხორციელდება, როგორც ფსიქიკის დანარჩენი მხარეების ჩამოყალიბება. ენის მიზანდასახული სწავლა ამ პერიოდში შეუძლებელია. ეს უნდა გათვალისწინონ იმ აღმზრდელებმა, რომლებიც მიჩვეული არიან ბავშვისათვის ენობრივი შეცდომების წამ და უწეულ გასწორებას. ბავშვი ამ შემთხვევაში ვერც ხვდება რას მოითხოვენ მისგან, რადგან თავად მეტყველების, როგორც გა-რკვეული მოქმედების ობიექტივაცია, მას, როგორც საგანგებო გა-მოკვლევებმა უჩვენა, სკოლამდელი ასაკის ბოლო პერიოდამდე (6-7 წლამდე) არ უშეუძლია. ამიტომ, მოთხოვნა, რომ ილაპარაკოს ასე და არა სხვაგვარად, პირიქით აფერხებს ენის ბუნებრივი დაუფლე-ბის პროცესს. ყოველგვარი სწავლების გარეშე, ბავშვის მეტყველე-ბა თანდათანობით გახდება ისეთი, როგორადაც მეტყველებენ მისი გარემომცველი ადამიანები (ბავშვი ამეტყველდება იმ ენაზე, დია-ლექტზე და კუთხურ ნიუანსზე, რომლის გარემოცვაშიც იზრდება).

არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ბავშვის მეტყველების გან-ვითარებაში თავს იჩენს ე. წ. ავტონომიზმი. პატარა ბავშვი თავი-სებურ სახელებს არქმევს სხვადასხვა საგნებს. ნორმალურ პირო-ბებში ავტონომიზმი მაღლ დაიძლევა (3 წლიდან იგი დიდ იშვია-თობას წარმოადგენს), მაგრამ როდესაც ბავშვი შედარებით იზო-ლირებულია თანატოლებისაგან, ან სხვაგვარადაა შეზღუდული მისი სოციალური გარემო, ეს პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს. მაგა-ლითად, ცნობილია შემთხვევა, როდესაც ტყუპმა ბიჭებმა, უფრო-სების მხრიდან უყურადღებობის და არასრულყოფილი სოციალური კონტაქტის გამო, ჩამოყალიბებს თითქმის მხოლოდ მათვის გასა-გები, არადიდორენცირებული ბგერებისაგან შედგენილი ენა, რაც გაგრძელდა 5 წლამდე, სანამ ბავშვები ერთმანეთს არ დააცილეს!

მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა უნდა გამოიხატებოდეს

1 დაწვრილებით იხ. ვ. ს. მუხინა, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1989 წ.,  
გვ. 114.



აგრეთვე ბავშვისათვის მშვიდი, უმოციურად კომფორტულობა მარტინ და მარტინის შექმნაში. ფსიქოლოგიური ტრამვების მიმყენებელი სიტუაციების სიმრავლე (არაჯანსაღი ატმოსფერო ოჯახში, ხშირი დასჭა და ბავშვის ტერორიზირება...) იწვევს მეტყველებით პასიურობას, ხოლო ზოგჯერ ენაბრგვილობასაც კი.

მკვლევართა ყურადღებას იცყრობს ის გაჩერმოება, რომ ბავშვი ხშირად ლაპარაკობს თავისთვის, ყოველგვარი სოციალური კონტაქტის მოთხოვნილების გარეშე. მაგალითად, პატარა ბიჭი (3 წ. 2 თვ.) ფანჯრიდან ეზოში იყურება და ლაპარაკობს: „აჲ, მანქანა ძოვიდა.... რატომ მობრუნდა.... ეგ წლის მანქანაა, შლანგიც აქვს, კაცი გამოდის, შოთერი შიგნით დარჩა, აქედან მიეხმარება.... კაცმა შლანგი გამოიღო, ყვავილები უნდა მორწყას, ჭერ მერხს რეცხავს, იმასაც გაეხარდება, ეს ტროლეიბუსი რაღას გაჩერდა.... უკარგი წვიმაა...“ ამგვარ მეტყველებას ჟ. პიაუეტ ეგოცენტრული უწოდა. მანვე დაადგინა, რომ სკოლამდელ ასაკში მისი ხევლრათი წილი ძალიან დიდია და მხოლოდ 7 წლიდან იწყებს შემცირებას. პიაუეს აზრით მეტყველების ეგოცენტრიზმი იმით აისხება, რომ ბავშვის აუტისტური სამყარო ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებს ობიექტურს და სუბიექტურს. მას თავისი სუბიექტური მდგომარეობა, აზრები თუ სურვილები სხვებისათვის უთქმელადაც გასაგები ჰგონია. ამიტომ ბავშვი ვერ ხვდება, რომ ენა კომუნიკაციისათვის არის საჭირო, რის გამოც მეტყველებაში ეგოცენტრიზმი უფრო ხშირია, ვიდრე სხვებთან ურთიერთობის საშუალებად მისი გამოყენება.

როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. უზნაძე, ბავშვის აზროვნების აუტისტურ ბუნებაზე მითითება გასაგებს ხდის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვს ეჩვენება, რომ მისი სუბიექტური განცდა ჩვენთვასაც ისევე არსებობს, როგორც მისთვის, „მაგრამ საკითხი იმას კი არ ეხება, თუ რატომ არ ლაპარაკობს ბავშვი, არა მედ იმას, თუ რატომაა, რომ იგი სწორედ „ეგოცენტრულად“ ლაპარაკობს!“!

**დ. უზნაძეს** აზრით ბავშვის მეტყველების ეგოცენტრიზმი და კავშირებულია იმასთან, რომ მეტყველება წარმოადგენს ობიექტი-ვაციის იარაღს. აღმასთან გვექნება საქმე, გაგებასთან, თუ გახსენებასთან, განცდის ობიექტი საჭიროა გამოიყოს სხვა მოვლენებიდან და უშუალო პრაქტიკული საქმიანობიდან და სათანადო გონი-

1 დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947 წ., გვ. 169.



ბრივი ოპერაციის საგნად იქცეს, რაც მეტყველების დახმარებულების დახმარებულების გარეშე სრულიად შეუძლებელია. ხოლო რაკი ბავშვს 6-7 წლამდე თითქმის არ გააჩნია. შინაგანი მეტყველების უნარი, ყველა საჭირო შემთხვევაში იგი მიმართავს გარეგან „ეგოცენტრულ“ მეტყველებას. ზემომოყვანილ მაგალითში ბავშვი აღიქვამს მისთვის საინტერესო მოვლენას (წყლის მანქანის მოსვლა), მსჯელობს მის შესახებ, რისთვისაც იყენებს მეტყველებას. ყველაფერი რომ სიტყვებში არ გაეფორმებია, მოვლენის აღქმა სრულყოფილი ვერ იქნებოდა და ბავშვის ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდა. ანალოგიურ სიტუაციაში ასევე იქცევა მოზრდილი ადამიანიც, მხოლოდ ამ შემთხვევაში იგი შინაგან მეტყველებას იყენებს. რაც ითქვა აღქმაზე, იგივე ითქმის ყველა სხვა ფსიქიკურ პროცესზე, მათ შორის განსაკუთრებით აზროვნებაზე, რადგან სიტყვა და აზრი, მას შემდეგ, რაც აზრდების დონე იქნება მიღწეული, ერთიმეორისაგან განუყოფელია. ამიტომ მეტყველების განვითარებაში შეფერხება საერთო გონიერებაზე განვითარების შეფერხებას ნიშნავს.

ბავშვი, როგორც აღვნიშნეთ, მეტყველებას იწყებს გარკვეულ წაზე. ნორმალურ პირობებში ესაა მისი მშობლიური ენა. ენა, რომელიც მზამზარეული სტრუქტურის სახით ეძლევა ბავშვს, თავადაა სინამდვილის ასახვის თავისებური ფორმა. სიტყვა, როგორც კლასიფიკაციის და განზოგადების გონიეროვი ოპერაციათა პროდუქტი, გვეძლევა როგორც ამ ოპერაციათა მზა იარაღი. სიტყვა აძლევს ბავშვს შესაძლებლობას ერთ კატეგორიაში მოააქციოს ისეთი მოვლენები, რომელთა გერთიანებაც მას გარეგნული დაშორებულობის გამო გაუჭირდებოდა. მაგრამ ყოველი ენის ლექსიკა კლასიფიკაციასა და განზოგადებას თავისებურად ახდენს. რადგან ყოველი ეთნოსი, რომელიც ენას ქმნის, აზროვნების სხვადასხვავგვარი კულტურით და სტილით (აქ ლაპარაკი არაა უკეთესობა-უარესობაზე) ხასიათდება. შესაბამისად ენაში მოცემულია მსოფლმხედველობა და ბავშვიც ენის დაუფლებასთან ერთად სწორედ ამ მსოფლმხედველობას და აზროვნების სტილს ეუფლება. ამატომაც ენა ადამიანის ეროვნულობის განსაზღვრისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (მოცემული ეროვნებისადმი გენეტიკურ კუთვნილებასთან ერთად). აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ბავშვი ვერ სრულყოფილად დაეფლოს მშობლაურ ენას, როგორც აზროვნების სტილის განმსაზღვრელ მზა იარაღს და შემდეგ, ყოველგვარი სწავ-



ლის (მათ შორის სხვა ენების სწავლას) საფუძველიც მხოლოდ მშობლიური ენა გახდეს. მეტყველების და საერთოდ ინტელექტუალური განვითარება ფერხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი სკოლაში არამშობლიურ ენაზე იწყებს სწავლას, მაგრამ ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

აზრდების წყალბით, როგორც ითქვა, სიტყვა მნიშვნელობის მატარებელი ხდება. ამის შემდეგ სიტყვა, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი, თავისთვის თითქმის აღარც განიცდება. სიტყვა თითქოს გამჭვირვალეა, რომლის შემჩნევაც ძალზე ჭირს, რადგან პირველ რიგში თვალში მასში ნაგულისხმევი აზრი გვცვდება. მაგალითად, ვანმემ რომ გვკითხოს „წყალი“ რა არისო, ჩვენ უპირველესად იმის მტკიცებას დავიწყებთ, რომ ესაა გარკვეული ქიმიური შემადგენლობის ქვემენტი, სიტყვის ასრულებს სიცოცხლის პროცესების მიმღინარეობაში და თუ საგანგებოდ არ მაგვითოთეს, აზრად არ მოგვივა ვთქვათ, რომ „წყალი“ არის სიტყვა, კერძოდ ამა და ამ საგნის სახელი. მნიშვნელობის გარდა თავისთვის სიტყვის, როგორც ამ მნიშვნელობის მატარებლის, დანახვა, დაკვირვებისა და განსხის ობიექტად მისი ქცევა. არის ენის ობიექტივაცია, ხოლო ენის მეშვეობით მოქმედების დანახვა და დაკვირვების ობიექტად მისი გადაქცევა, მეტყველების ობიექტივაცია. ორივე შემთხვევაში საკმაოდ რთული ინტელექტუალური პროცესია განსახორციელებელი, რადგან მეტყველება, როგორც ვნახეთ, თავადაა ობიექტივაციის იარაღი.

მეტყველების ობიექტივაცია წერა-კითხვის დაუფლების აუცილებელი წინაპირობაა. ეს დონე, მეტყველების განვითარებაში, როგორც ქვემოთ დავინახეთ, მიიღწევა სკოლამდელი ასაკის დამამთავრებელ საფეხურზე, რაც, იგრეთვე სხვა ფსიქიკური პროცესების სათანადოდ განვითარებასთან ერთად, წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ამიერიდან ბავშვი სასკოლო სწავლებაზე იქნას გადაყვანილი.

მეტყველების განვითარებასთან ერთად ამ პერიოდის ბავშვის გონიერივი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ საქმიანობას, საგნობრივ სამყაროსთან უშუალო ფიზიკურ ურთიერთობას, რაც ბოლოსდაბოლოს საგნობრივი მოქვედებებისა და ოპერაციების საკმაოდ რთული სისტემის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს: ნორმალურ გარემოში აღზრდილი სამი-



წლის ბავშვი უკვე ახერხებს ყველა ნივთი ისე მოიხმაროს, რომ გერ-ერთი ანგარიში გაუწიოს მის ფიზიკურ თვასებებს (მაგალითურად, თხილის გასატეხად ქვას გამოიყენებს და არა ფოთოლს), რაც საკუთარი ფიზიკური გამოცდილების შედეგია და მეორე, ანგარიში გაუწიოს მის დანიშნულებას (წყალს ჭიქით სვამს, საჭმელს კოვზით ჭამს, ლურსმნებს ჩაქუჩით აჭედებს და ა. შ.), რაც სწავლებისა და სოციალური გამოცდილების ათვისების (წაბაძვის) შედეგია.

საგნობრივი სამყაროს უშუალო პრაქტიკული შესწავლის ტენდენცია, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯერ კიდევ ჩვალობის პერიოდის მეორე ნახევრიდან იწყება და ტაცების აქტივობაში პოულობს განხორციელებას, აღრეული ბავშვობის საფეხურზე უკვე ოპერაციულ-მანიპულიატორულ მოქმედებებში ვლინდება. ამ ასევის ბავშვს ჩვილზე არანაკლები (შეიძლება უფრო მეტიც) მისწრაფება აქვს დანახული საგნების ხელში ჩაგდებისაკენ, მაგრამ ეს აღარაა მხოლოდ ტაცება, როგორც ჩვილობისას იყო. ახლა ბავშვს საგნის უფრო მრავალმხრივი გამოკვლევა და ამისათვის ერთგვარი „ექსპერიმენტების“ ჩატარება ესაჭიროება. ამიტომ ხელში ჩაგდებული საგანი მარტო პირისაკენ კი არ მიაქვს, არამედ მისი მეშვეობით ყველა იმ მანიპულაციას განახორციელებს, რაც კი შესაძლებელია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მეტყველების მსგავსად საგნობრივ მოქმედებებშიც ხდება აზრდება. ბავშვი ხედავს (ხვდება), რომ მისი მოქმედება სახეს უცვლის გარემოს (საგანს) და შესაბამისად, ყველა მოქმედებას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ამიტომ იზიდავს ბავშვს სწორედ ისეთი მოქმედებები, რომლებიც საგნის ცვლილებასთან არის ზაკავშირებული. მაგალითად, წყლის დაღვრა, ქაღალდების დახევა, თეთშების დამტვრევა, ჩაქუჩით ლურსმნების ფიცარში ჩაჭედება და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის ბავშვის ყველაზე საყვარელი საქმიანობა ქვიშაზე თამაშია, რადგან ქვიშა ერთის მხრივ, ძალიან დამყოლი მასალაა სახეცვლილებისათვის და მეორეს მხრივ, იგი ამით არ იყარება, ისევ რჩება მზა მასალად ახალი მანაპულაციებისათვის განსხვავებით გადაღვრილი წყლის ან დახეული ქაღალდისაგან).

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პრაქტიკული მოქმედებების წყალობით ბავშვი იძენს ინდივიდუალურ გამოცდალებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყოველგვარი ცოდნის მიღების საფუძველს, რაღაც არის ძირითადი მასალა იმ გონიერივი ოპერაციების განხორცი-

ელებისათვის, რაც ცოდნის შეძენისათვისაა აუცილებელი. მიტომ, მის გარეშე ახლის გაგება შეუძლებელია. აქედან გამომდინარებული რეული ზავშობის პირობში (და არა მარტო აյ) შექმნილი უნდა იყოს პირობები ბავშვის თავისუფალი საგნობრივა საქმიანობისათვის. არაა გამართლებული, როდესაც ბავშვს წამდაუწუმ აჩერებენ იმ მიზეზით, რომ ეშინიათ არ დაისვაროს, ტანსაცმელი არ დაიხიოს, რაიმე არ იტკანოს, არ იხმაუროს და არავინ შეაწუხოს. ავეჯი არ გააფუჭოს და ა. შ. ასეთ პირობებში ბავშვის ნერვული სისტემის მდგომარეობას და ფსიქიურ ჯანმრთელობასაც (რასაც, სხვათაშორის ძალიან დიდი საფრთხე მოელის) თავი რომ დავანებოთ, მნიშვნელოვანწილად ვაფერხებთ მას გონებრივ განვითარებასაც. ნურც ფიზიკური განვითარების ასპექტს დავივიწყებთ, რაც ასევე მოითხოვს მოძრაობას და სათამაშოებით (მაგალითად ბურთით) თავისუფალ მანიპულირებას. აკრძალვების სიმრავლე აღარიბებს ბავშვის ასაკობრავ გარემოს და ახშობს ასაკობრივად განპირობებულ ფუნქციონალურ ტენდენციებს. ამიტომ, სააღმზრდელო წრემ უნდა იზრუნოს ბავშვისათვის ისეთი პირობების შექმნაზე, სადაც არც რაიმე გაფუჭდება (ბავშვი არ გაცივდება, არაფერს რტყენს, რაიმეს არ დაამსხვრევს და ა. შ.) და მისი ფუნქციონალური ტენდენციების თავისუფალი გამოვლენაც არ შეფერხდება.

ზემოდასახელებული პროცესების წყალობით, დაახლოებით ორი წლის ასაკიდან, ბავშვის ცნობიერებაში თანდათანობით იღვიძებს „მე“-ს შეგნება, რაც პიროვნების პირველ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. ამის შემდეგ ბავშვა უდინ აცნობიერებს საკუთარ თავს, როგორც გარკვეული მოქმედებების სუბიექტს და მასთან მიმართებაში მყოფი სამყაროს თავისებურ ცენტრს. ყველაფერი განიხილება მე-სთან კავშირში და მე-ს მოთხოვნილება-სურვილების თვალით. სინამდვილესთან და განსაკუთრებათ სოციალურ გარემოსთან ბავშვის დამოკიდებულების ძირითადი მომენტია „მე მინდა“, რომელიც შერწყმულია ყველაფრის შესაძლებლობის გულუბრყვილო რწმენასთან. ეს პროცესიც თანდათანობით ვითარდება და ამ პერიოდის დასასრულს ერთგვარ კრიზისშიც გადაიზრდება. სამი წლის ბავშვი ამჟღავნებს ჯიუტობის, კაპრიზობის და ჭირვეულობის ნეგატიურ რეაქციებს და თავისებურად ეწინააღმდეგება აღმზრდელის მოთხოვნებს. ეს მოვლენა ცნობილია „სამი წლის კრიზისის“

სახელწოდებით და ითვლება აღრეული ბავშვობის დასასრულყოფისად. დასასრულყოფისად და სკოლამდელი ასაკის დასაწყისად.

მართლაც, ერთის მხრივ ამ კრიზისის გავლენით და მეორეს მხრავ ბავშვის ფსიქიურ განვითარებაში ახალი ძალების გააქტიურების (განსაკუთრებით ეს ეხება ხატოვან აზროვნებას და ფანტაზიას) წყალობით, ბავშვის ასაკობრივი გარემო ისეთ ცვლილებებს განიცდის, რომ ამიერიდან მართლაც განვითარების სრულად ახალ საფეხურთან გვაქვს საქმე.

### 5. სკოლამდელი ასაკი

დაახლოებით სამი წლის ასაკში ბავშვი ფსიქიური განვითარების ისეთ დონეს, რომ აღარაა დამოკადებული უშუალოდ მოცემულ აქტუალურ სიტუაციაზე და საგანთა წარმოდგენის, წარმოსახვის თუ მოაზრების შედეგად მნიშვნელოვნად აფართოებს საკუთარ მოქმედებათა არეალს. ამიერიდან მის ასაკობრივ გარემოში, ამ საგნების გარდა, რომლებიც უშუალოდ (ამ წუთში) მოქმედებენ მისი შეგრძნების ორგანოებზე, ისეთი საგნებიც იჭრება,

რომლებიც მხოლოდ წარმოდგენის ან ცნობიერების სხვაგვარი მუშაობის გზით მიიწვდომება. ასაკობრივი გარემოს ასეთი ცვლილება ამის მაჩვენებელია, რომ დაიწყო ბავშვის განვითარების ახალი პერიოდი, რომელსაც სკოლამდელი ასაკი ეწოდება და რომელიც დაახლოებით შვიდ წლამდე გრძელდება. მართალია დღეისათვის ხშირად ექვსი წლის ბავშვი შეპყავთ სკოლაში, მაგრამ ეს კეთდება გარჩვეული პედაგოგიური მოსაზრებებით (ასეთივე მოსაზრებებით ზოგიერთი რამ ბავშვს შეიძლება უფრო იდრეულ ასაქებშიც ვასწავლოთ), ხოლო თავისი ფსიქოლოგიური ბუნებათ 6 წლის ასაკი ძირითადად სკოლამდელის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს.

სკოლამდელი ასაკი იყოფა ორ ქვეპერიოდად: 1) უმცროსი სკოლამდელი, რომელიც სამიდან ხუთ წლამდე გრძელდება და 2) უფროსი სკოლამდელი, რომელიც ხუთადან შვიდ წლამდე გრძელდება. პირველის სპეციფიკას ზემოთდასახელებული (იხ. წინა პარაგრაფი) სამი წლის კრიზისი და მისი მიმდანარეობა ქმნის, მეორისას კი მომდევნო ასაკის მოახლოებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ცვლილებები. ამ თავისებურებების მიუხედავად ესაა განვითარების ერთიანი საფეხური, რომელიც გამოიჩინა ბავშვის მიერ სინამდვილის სრულად თავისებური განცდით, რაც წარმოსახვას

აქტუალიზაციასთანაა დაკავშირებული და აქედან გამომდინარე აქტუალიზაციონის სპეციფიკურობით, რომელიც ილუზის თამაშეს და ფორმდება და ამ ასაკის ქცევის წამყვან ფორმას წარმოადგენს.<sup>1</sup>

სკოლამდელი ასაკის დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ კრაზისის ანალიზს, რომელიც ამ პერიოდის დასაწყისში იჩენს თავს. იგი ვლინდება ბავშვის ჭიუტობის, კაპრიზობის და ჭირვეულობის რეაქციებში და სააღმზრდელო გარემოს ხშირად მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აყენებს. თავიდანვე უნდა აღცნაშნოთ, რომ მისი ნეგატიური გამოვლინების მიუხედავად კრიზისი, თუკი იგი კანონზომიერად განვითარდება და სწორად დაიძლება აღმზრდელობითი ზემოქმედების შედევრად, დადებით როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში, კერძოდ, მისა პიროვნული ჩამოყალიბების საქმეში. ამის ნათელსაყოფად დავახსიათოთ კრიზისის სამივე მიმართულება ცალ-ცალკე.

**ჭიუტობა** ზოგადად წარმოადგენს სუბიექტის ტენდენციას (პიროვნულ განწყობას) იმექმედოს სოციალურ მოთხოვნათა საპირისპიროდ. მოზრდილი ადამიანები მას მამართავენ ძირითადად სოციალური ოვითდამკვიდრების მოთხოვნილებასთან დაკავშირებით. ადამიანის მიერ საკუთარი თავის („მე“-ს) პიროვნებად განცდა მოითხოვს, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს თავის არჩევანში და მოქმედებდეს სხვებისაგან დამოუკიდებლად. როდესაც ადამიანი რაიმე ღირებული და მნიშვნელოვანი საქმიანობითაა დაკავებული და გარკვეული წარმატებებიც აქვს, აღნიშნული მოთხოვნილებებიც დაქმაყოფილებულია და მისი სოციალური პოზიციაც (სტატუსი) გარკვეულია. ხოლო აღნიშნულ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებარქვეულია. ხოლო აღამიანი აშკარად სხვების საპირისპირო ქიუტი ადამიანი აშკარად სხვების საპირისპირო ცდილობს გაუსვას ხაზი საკუთარ განსაკუთრებულობას, სხვათა წევასებისა და მითითებებისაგან დამოუკიდებლობას და ა. შ. ამატომაა, რომ ეს ოვისება უფრო მეტად საკუთარ თავში დაურწმუნებელი და რამდენადმე გონებაშეზღუდული ადამიანებისათვის არის დამახსიათებელი. ხდება ისეც, რომ ზოგჯერ ჭიუტობას საკმაოდ

1 სკოლამდელი ასაკის ბევრი თავისებურება, განსაკუთრებით კი თაშაში და საჭროოდ ქცევის ფორმათა განვითარება, დეტალურად გვაქვს განხილული ცალკე მონოგრაფიაში. იხ. მ. მაღრაძე — თამშის ფსიქოლოგია, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის გამოშეცემლობა, 1995.



ოსტატურად ნიღბავენ და ცდილობენ იგა პრინციპულობად წარმართები ადგინონ, მაშინ, როდესაც მათ შორის დიდი ფსიქოლოგიური გან-  
სხვავებაა. პრინციპულობა სრულიად გარკვეულ პიროვნულ პოზი-  
ციას ეყარება. პრინციპული ადამიანი იქცევა ასე თუ ისე, ამიტომ,  
რომ იცის ან სჭამს, რომ ასეთი მოქმედებაა ყველაზე მართებული.  
ჯიუტის ქცევა კი ფაქტურად სხვებზეა დამოკიდებული: ჯიუტი  
აკეთებს იმას საპირისპიროს, რასაც სხვები ურჩევენ.<sup>1</sup>

ბავშვის ჯიუტობაც მე-ს თვითდამკვიდრების მოთხოვნილებას  
უკავშირდება. მისი აღმოცენება მიგვანიშნებს, რომ ბავშვი უკვე  
პიროვნებაა, რომელიც ამის შემდეგ მნიშვნელოვან ცვლალებებს  
განიცდის, სანამ მოზარდობა დამთავრდება და მისი პიროვნული  
მრწამსი დასრულებულ ფორმას მიიღებს. მაშასადამე, თუ ჯიუტობა,  
როგორც ასაკობრივი მოვლენა, დროულად არ აღმოცენდა, უნდა  
ვივარაუდოთ, რომ ბავშვის პიროვნული განვათარება რატომძაც  
ფერხდება. სხვა საქმეა, რომ აღზრდამ იგი აუცილებლად უნდა დაძ-  
ლიოს, რათა ასაკობრივიდან ინდივიდუალურ თავისებურებაში არ  
გადაიზარდოს. ბავშვის ჯიუტობა ძირითადად გამოხატულებას პო-  
ულობს ასეთ მოქმედებებში, როგორიცაა მარტივ დავალებათა. შეს-  
რულებაზე უარის თქმა, თვითნებური მოქმედება, საბავშვო ბალში  
წასვლაზე უარი (თუმცა აქ ჯიუტობასთან ერთად სხვა ფაქტორე-  
ბიც მოქმედებს) და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ბავშვი ხშირად  
სრულიად გაუცნობიერებლად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი  
დამოუკიდებელი პიროვნებაა და როგორც უნდა ისე იმოქმედებს.  
ცწორა აღმზრდელობითი ზემოქმედებით, ჯიუტობა დაახლოებით  
მეხუთე წლიდან დაიძლევა, მაგრამ სანამ ამ ზემოქმედებათა ანა-  
ლიზს მოვახდენდეთ, მანამ საჭიროა კრიზისის სხვა მომენტებიც  
დავახასიათოთ.

**კაპიტობა** უმეტესწილად ჯიუტობასთან შერწყმულად ვლინ-  
დება. ხშირად მათ ერთმანეთშიც ურევენ და სამი-ოთხი წლის ბავ-  
შვის ერთიან თავისებურებად განიხილავენ. ამის გავლენით, სამი-  
ოთხი წლის ასაკს პირველი ჯიუტობის ასაკსაც უწოდებენ, რაც  
სრულიად მართებული იქნებოდა, სამი-ოთხი წლის ბავშვის ცხოვ-

1 თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში ჯიუტობა (ანტიონფორმიზმი)  
განიხილება, როგორც კონფორმული ქცევის ნაირსახეობა. ანტიონფორ-  
მიზრი ისევეა დამოიდებული სხვებზე, როგორც კონფორმისტი. იხ.  
შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975 წ.  
გვ. 167.



რებაში კაპრიზობას რომ უფრო მეტი ადგილი არ ეჭიროს, უცილეს ჯიუტობას. კაპრიზობა გარეგნულად ჯიუტობას ჰგავს, მაგრამ მასცემ საფუძველი შედარებით მარტივ მოთხოვნილებათა და კრისტიანულებისაკენ სწრაფვაა და მასში ისეთი ორმა პიროვნული მოთხოვნილება, როგორიცაა მე-ს თვითდამკვიდრება და დამოუკადებლობა. მონაწილეობას არ ღებულობს. ბავშვი კაპრიზობის რეაქციებით (როგორიცაა ტირილი, ყვირილი, იატაკზე გაგორება და ფხარკალი, გაბტვა და ა. შ.), ცდილობს როგორმე თავასი გაიტანოს და ისეთი რამ მიიღოს, რასაც უამისოდ არ დაუთმობენ. ბავშვი მიმართავს კაპრიზობას, როდესაც მას არ აძლევენ (ან არ შეუძენენ) სასურველ სათამაშოს არ რთავენ თამაშის ნებას, არ აძლევენ ტკბილეულს და სხვა. ბავშვს ამ შემთხვევაში ის კი არ აწუხებს, რომ სხვებზეა დამკიდებული (როცა ეს აწუხებს, როგორც ვნახეთ მაშინ ჯიუტობას მიმართავს), არამედ ის, რომ ვერ შეისრულა გარკვეულა სურვილი. რამდენადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის თამაშის ან ტკბილეულის მიღების თუ სხვა ამგვარი მოთხოვნილებები უფრო აქტუალურია, ვიდრე მე-ს თვითდამკვიდრება, ამდენად ბუნებრივა, რომ ამ ასაკის კრიზისი ძირითადად სწორედ კაპრიზობის ნიშნით მიმდინარეობს.<sup>1</sup>

კაპრიზობა მით უფრო ძლიერდება, რაც მეტ ყურადღებას უთმობენ მას აღმზრდელება. სამ-ოთხწლიანთა კაპრიზობას ისიც ამ-ძაფრებს, რომ ბავშვი ჯერ არ იცნობს ობიექტური სინამდვილის ულმობელ კანონებს. იგი, როგორც ჟ. პიავე უჩვენა, საკუთარი სურვილების სამყაროში ცხოვრობს და ყოველივე შესაძლებლად ეჩვენება. აღმზრდელები, რომლებიც ბავშვის ამ ფსიქიკურ თვა-სებურებას არ იცნობენ, ზოგჯერ გაანჩხლებამდე მიღიან ბავშვის მიერ წამოყენებული უცნაური (მათი აზრით) მოთხოვნების გამო. არადა, ბავშვისათვის სურვილი დაუკრიფონ ვარსკვლავება ისევე ბუნებრივია, როგორც ყვავილების დაკრეფა შეიძლება მოინდომოს.

1 როგორც ქვემოთ დავინახვთ (იხ. პარაგრაფი „გარდამავალი ასაკი“) გამოკვეთილი კრიზისი შეორდება გარდამავალი ასაკის დასაწყისში, რომელსაც მეორე ჯიუტობის ასაკსაც უწოდებენ და აქ სწორედ სოციალური თვითდამკვიდრებაა ყველაზე აქტუალური. ამიტომ გარდამავლობის კრიზისი სწორედ ჯიუტობის ნიშნით ხასიათდება.

2 **Жан Пиаже** — Избранные психологические труды. М., 1969.

ემ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ჟ. პიავეს თამაშის თეორია, ჩვენს ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში.



ასეთ დროს საჭიროა არა ყვირილი და გაანჩხლება, არამედ ბაჟშებული გონებრივი შესაძლებლობის გათვალისწანებით მისთვის ახსნა-გან- ბარტებების მიცემა.

**ჭირვეულობა** სურვილების და მასთან დაკავშირებული ემოცი- ური მდგომარეობების განუწყვეტელ ცვალებადობაში გამოიხატე- ბა. ჭირვეულ ადამიანს შესრულებული სურვილი არასდროს არ აქმაყოფილებს, მას ყოველთვის ახალი (ხშირად პირველის საპი- რისპირო) სურვილი აქვს გამზადებული. ამიტომ მასი ქცევა და განსაკუთრებით ემოციური რეაქციები არავითარ პროგნოზირებას არ ექვემდებარება. ვერავინ გამოიცნობს როდის რა გახსარდება, ან ეწყინება მას, როდის რა მოთხოვნებს წამოუყენებს თავის სო- ციალურ გარემოს და ა. შ. ჭირვეულობა განებივრებულად აღ- ზრდილი, აუტოტელისტური (უფრო მეტად ეგოისტური) ხასიათის დამიანების ინდივიდუალური თავისებურება და მძიმე ხვედრია. ასეთი ადამიანები მთელ ცხოვრებას მძიმე ფსიქოზებისა და ნევრო- ზების ტყვეობაში ატარებენ და საბოლოოდ მათი მსხვერპლი ხდე- ბიან.

სკოლამდელი ასაკის დასაწყისში ჭირვეულობა ასაკობრივი ტოვლენაა, მაგრამ თუ ჯიუტობასა და კაპრიზობაზე აღმზრდელთა რეაგირება პედაგოგიურად სწორი და ასაკისათვას აღექვატურია, მაშინ ჭირვეულობა ძალზე შერბილებულად იჩენს თავს და მალე აღიკვეთება. ჭირვეულობაში კაპრიზობა გადაიზრდება ხოლმე ძი- რითადად ბავშვის განებივრების შემთხვევაში, ამიტომ კაპრიზობის დაძლევა ფაქტიურად ჭირვეულობის მოხსნასაც ნიშნავს.

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ბავშვის აღზრდისათვის და კერ- ძოდ სამი წლის კრიზისის დაძლევისათვის საჭირო მეთოდური სის- ტემის ჩამოყალიბება (ეს პედაგოგიური მეცნიერების საქმეა), მაგ- რამ გვერდს ვერ ავუვლით კრიზისისადმი აღმზრდელთა მიღომის სხვადასხვა ვარაუნტების ფსიქოლოგიურ ანალიზს.

შ. ჩხარტიშვილი, ვინაც აღნიშნული კრიზისი (იგი ამ მოვლენას პირველ ჯიუტობას უწოდებს) ნებისყოფის აღზრდასთან მიმართე- ბაში დაახასიათა, აღნიშნავს, რომ შესაძლოა ამ დროს აღმზრდე- ლები ორ ურთაერთსაპირისპირო უკიდურესობაში გადავარდნენ!'

პირველი უკიდურესობაა ბავშვისათვის ყველაფრის აკრძალვა და მისი მოქცევა მკაცრი დიქტატორული რეჟიმის პირობებში.

ასეთ დროს ანგარიში არ ეწევა ბავშვის ასაკობრივად განსაზღვრულ განვითარების და აღსაზრდელი ფაქტიურად ტერორიზმის მიზანით აღმზრდელთა (ეს განსაკუთრებით მშობლებს ეხება) მიერ. ასეთ პირობებში ბავშვი მორჩილად მიპყვება აღმზრდელობით ზემოქმედებას, მაგრამ მისი ახლადჩასახულა „მე“ განვითარებას ვეღარ განიცდის. ამიტომ მნიშვნელოვნად ფერხდება ბავშვის პიროვნული განვითარება და იგი ძალზე დიდხანს (ზოგჯერ ზრდა-განვითარების დასრულების შემდეგაც) ჩეხება სხვების (მშობლების) მეურვეობაზე დამოკიდებული. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ უშუალოდაც ბავშვის ცხოვრება მიმდინარეობს უხალისოდ, ემოციურ დაძაბულობათა ფონზე განუწყვეტელი მკაცრი აკრძალვების პირობებში „მე-ს ფუნქციობის ბუნებრივი ტენდენცია შეკავებას განიცდის, პიროვნების ჩანასახის ნორმალური განვითარება ბრკოლდება და ბავშვში იქმნება ერთგვარი შინაგანი დაძაბულობა, რომელიც ხშარად ნევროზულ მდგომარეობაში გადადის“.<sup>1</sup>

აღმზრდელთა ნაწილი მეორე უკიდურესობაში ვარდება და ბავშვის ჭიუტობასა და კაპრიზობას ფართო ასპარეზს აძლევს. ბავშვის ყოველგვარი სურვილი მაქსიმალურად კმაყოფილდება, რათაც ბავშვს უძლიერდება ილუზია იმის შესახებ, რომ ყოველივე მხოლოდ მის სურვილებზეა დამოკიდებული. ასეთ პირობებში ბავშვისაგან „ვითარდება თვათნება ეგოისტი, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში ყოველთვის აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს გაჰყვება და საჭიროების შემთხვევაში თავისთავში ვერ იძოვის მათი შეკავებისათვის საჭირო ძალას“.<sup>2</sup> დაუშმატებდით, რომ ასეთნაირად განებივრებულ ბავშვებს სკოლამდელა ასაკის შემდეგ მეტისმეტად უძნელდებათ სკოლასთან და სწავლასთან ადაპტირება, რადგან აქ სწორედ იმპულსების შეკავება და საკუთარი თავის მართვაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში ჭიუტობა აშკარა ურჩობაში გადაიზრდება, სურვილების დაუბრკოლებელი შესრულებისაკენ სწრაფვა სწავლისადმი თავას არიდებაში და იქმნება საფუძვლები ბავშვის ძნელადასაზრდელ მოსწავლედ ჩამოყალიბებისათვის.

კრიზისის დასაძლევად გათვალისწინებული სააღმზრდელო ღონისძიებების შერჩევა მოფიქრებულად და ზომიერების დაცვით უნდა ხდებოდეს. ძირათად ობიექტად ამ პერიოდში კაპრიზობა უნ-

1 იქვე, გვ. 229

2 იქვე

და ავირჩიოთ (მისი დაძლევით კრიზისის დანარჩენ მომენტებსაც ეშველება) და კარგად განვსაზღვროთ ბავშვის რომელი სურვალები ბის დაკმაყოფილებაა მიზანშეწონილი, ან პირიქით, რომელ მოთხოვნებზე აუცალებლად კატეგორიული უარი უნდა ვუთხრათ. აკრძალვა უნდა გატარდეს უკომპრომისოდ (სრულიად დაუშვებელია, როდესაც ბავშვის ტირილის გამო ოღმზრდელები დათმობაზე მიღიან) და ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე (სურვილდაუკმაყოფილებელი ბავშვის ტირილი სრულად ბუნებრივია და ამის გამო მისი ცემა, ყვირილი და ა. შ. მხოლოდ ოღმზრდელის თავშეუკავებლობაზე მეტყველებს).

ყველაზე კარგი შედეგები კრიზისის დაძლევაში მიიღწევა მაშინ, როდესაც ოღმზრდელი ახერხებს ბავშვას რაიმე მისთვის საინტერესო საქმიანობაში (მაგ. თამაშში) ჩართვას, სადაც ბავშვის ასაკობრივად განსაზღვრულ ფუნქციონალურ ტენდენციებს თავისუფალი გამოვლენისა და განვითარების შესაძლებლობა ექმნება. იქ, სადაც ბავშვისათვის „სცალიათ“ და მას სისტემატურად უამბობენ ზღაპრებს, უკითხავენ წიგნებს, ეთამაშებიან და ა. შ. კრიზისი იოლ ფორმებში ვლინდება და შედარებით ადვილად დაიძლევა. დაახლოებით მეხუთე წლიდან ბავშვი ამდენად ვითარდება, რომ დასაწვებსა და დაუშვებელს (შესაძლებელსა და შეუძლებელს) აღვილად ანსხვავებს ერთიმეორისაგან და ოღმზრდელობით ზემოქმედებასაც შედარებით რჩილად ემორჩილება.

ბავშვის პიროვნული განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანატოლებთან მის ურთაერთობას, რაც აჩქარებს ბავშვის მიერ ისეთი სოციალური ურთიერთობების დაუფლებას, როგორიცაა პარტნიორობა და თანამშრომლობა, სამართლიანობა, ამხანაგობა და ა. შ. თანატოლები თანაბარუფლებიანი არიან და მათი ურთიერთობები გაცალებით ბუნებრივად რეგულირდება, ვიდრე ბავშვისა და ოღმზრდელის ურთიერთობები. ამიტომაა, რომ ბავშვის სწორად ოზრდისათვის მრავალშვილიანი ოჯახი საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს.

სკოლამდელი ასაკი, როგორც ვხედავთ, ძირითადად პაროვნული განვითარების ასაკია, მაგრამ ამ პერიოდში შემეცნებითი აქტივობაც მნიშვნელოვან წინსვლას განიცდის. კერძოდ, სწორედ ამ ასაკში ისახება და განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს ხატოვანი აზროვნება. ე. ი. თუ აქამდე ბავშვისათვის დასაძლევი იყო



შხოლოდ ისეთი პრობლემები, რომლებიც აქტუალურ სიტუაციაში  
არსებულ თვალსაჩინო მიმართებათა წვდომის მეტს არაფრთხოების  
ათხოვდა, ახლა თვალსაჩინო წარმოდგენებზე დაყრდნობით ბავშვი  
გაცილებით რთული იმოცანების გადაჭრასაც ახერხებს. სკოლამ-  
დელი ასაკის ბავშვებს, როგორც დ. უზნაძემ საგანგებო გამოკვლევით  
უჩვენა, შეუძლია თვალსაჩინო ნიშნებზე დაყრდნობით ცნების შე-  
მუშავება და მისი განხოგადება. ამასთანავე, თუ უმცროსი სკო-  
ლამდელები ძირითადად მხოლოდ ერთ ნაშანს იღებენ მხედველო-  
ბაში, უფროს სკოლამდელებს უკვე რამოდენიმე ნიშნის გათვა-  
ლისწინებაც შეუძლიათ.<sup>1</sup> თუმცა საერთოდ თვალსაჩინო წარმოდ-  
გენები, რომლებიც ამ პერიოდში ცნების ფუნქციას ასრულებს,  
უფრო მეტად ერთი რომელამე ნიშნით არის აქცენტირებული.

ხატოვანი აზროვნება, სინამდვილის მხატვრული ასახვა. უფრო  
ზუსტად, მისი ოღწერაა. იგი ჯერ კიდევ ვერ სწვდება საგნებსა და  
შოვლენებს შორის არსებით მიმართებებს. ამიტომ ყოველი მოვლე-  
ნის შემეცნება, ასეთი აზროვნებას პირობებში, მის ოღწერაზე და  
მასთან დაკავშირებული რაიმე ამბის თხრობაზე დაიყვანება. ამი-  
ტომაა, რომ, თუ ბავშვი რაიმეს შესახებ გვეკითხება ასე რატო-  
მააო, მას ნამდვილი მიზეზები სრულიადაც არ ინტერესებს. იგა  
კმაყოფილდება ამ მოვლენის გარეგნული ოღწერით და მის შესახებ  
რაიმეს მოყოლით. აქედან იღებს სათავეს ის მოვლენა, რომ სამი-  
დან შეიძ წლამდე პერიოდში ბავშვს განსაკუთრებით მომეტებული  
ინტერესი აქვს ზღაპრებისადმი, სადაც ყოველივე გულუბრყვილო  
ხატოვანი ფორმითაა გადმოცემული და ახსნილი. ილუზიის თამა-  
შიც, რომელიც ასე მნიშვნელოვანაა ამ ასაკში, სწორედ ბავშვის  
შემეცნებითი აქტივობის ამ თავისებურებასთანაა დაკავშირებული.

აზროვნებასთან ერთად ვითარდება მთელი შემეცნებითი აპარა-  
ტი. რამდენადაც შემეცნება არსებითად შესამეცნებელი მოვლენის  
გაგებას ნიშნავს, ამდენად ყოველი შემეცნებითი პროცესის განვი-  
თარება ამ პერიოდში (და საერთოდ ყველა ასაკში) აზროვნების  
განვითარებას მიჰყვება. კერძოდ, იღების განვითარება ძირითადად  
ძმაში გამოიხატება, რომ ერთი ნიშნით აქცენტირებული აღემა-  
ხატი თანადათანობით დეტალიზირებული ხდება და იძენს სტრუქ-  
ტურულ მთლიანობას, თუმცა ეს პროცესი ინტენსიურად გრძელ-

<sup>1</sup> დ. უზნაძე — ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1947 და მისივე. ცნების შემუ-  
შავება სკოლის წინარე ასაკში, შრომები ტ. I, 1956.

დება უმცროს სასკოლო ასაკშიაც. იგივე ითქმის მეხსიერების თვეუწევული საჩინო წარმოდგენების შესახებაც,<sup>1</sup> რომლებიც ერთის მხრივ დფიქოთება ტალიზაციასა და სტრუქტურიზაციას განიცდიან, როგორც მეხსიერების საყრდენი მასალა, ხოლო მეორეს მხრივ განიცდიან სქემატიზაციას, როგორც აზროვნების საყრდენი მასალა. ამიტომ სკოლამდელი ასაკის დასასრულს, ბავშვი აზროვნების დროს დეტალურად კი აღარ წარმოიდგენს საგნებს, არამედ კმაყოფილდება მხოლოდ მათი სქემით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ წარმოდგენები თანდათანობით იცვლება სიმბოლოებით და პარობითი ნიშნებითაც კი. ეს კი სათანადო პირობას ქმნის სასკოლო სწავლებაზე ბავშვის გადასასვლელად.

როგორც ვხედავთ, სამყაროს ბავშვისეული ხედვა, სრულიად თვალსაჩინო ნიშნებით აქცენტირებულია წარმოდგენები (და აღქმის ხატები) ბავშვის თვალში ისეთ საგნებს აერთიანებს, რომლებსაც ჩვენთვის ძალზე შორეული მსგავსება თუ ექნება, ხოლო არსებოთად ერთგვაროვანი საგნება, ხშირად ბავშვისათვის სრულიად სხვადასხვა სფეროში ქვეს. მაგალითად, ჯოხი არსებითად არაფრით ცხენს არ გავს, მაგრამ ბავშვი სრულიად უყოყმანოდ იყენებს ჯოხს ცხენად, სამაგიეროდ არაფრით არ დაგვიჯერებს თუ ვეტყვით, რომ ღამურა და ვეშაპა ცხოველთა ერთ კლასს (ძუძუმწოვრებს) განეკუთვნება.

ზღაპრებისადმი და ილუზიის თამაშისადმი ინტერესი მეტყველებს წარმოსახვის განსაკუთრებულ აქტუალიზაციაზე, რომელიც ასევე აზროვნებასთან კავშირში ვათარდება. აქაც ძირითად ადგილს გარეგანი თვალსაჩინო ნიშნებით აქცენტირებული წარმოდგენები ცჲრს. ბავშვი, საკუთარი წარმოსახვით, ხშირად სცვლის მოსმენილა ზღაპრების თუ რეალურად ნახული ამბების შინაარსს და მათ ბევრ რაიმე ახალს ამატებს. ზოგჯერ იგი თავადაც თხზავს სრულიად ფანტასტიკურ შინაარსებს (რომლებსაც ხშირად საკუთარი თავგადასავალის სახით წარმოადგენს) და მათ რიგ შემთხვევებში თამაშის სიუჟეტის და შინაარსას ასაგებად იყენებს. ამიტომ ბავშვის

1 ბავშვის აღქმის და წარმოდგენების თავისებურებებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის მიერ შესრულებული ნახატების შიხედვითაც, რაღაც ბავშვი საგნებს ისე ხატავს, როგორც. ხედავს. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. მ. მაღრაძე, თამაშის ფსიქოლოგია, ქუთაისი, 1995 (პარაგრაფი: „ქცევას პროდუქტიული ფორმების განვითარება სკოლამდელ ასაქში“).

თავისული რეპროდუქციული (მეხსიერების) და პროდუქციული (წარმოსახვის) ელემენტების სრულიად თავისებურ კომბინაციებში გაწყდებით.

შემეცნებითი აქტივობის განვითარება მარტო მისი შინაარსის გართულებაში არ გამოიხატება. აღქმა, აზროვნება, მეხსიერება და წარმოსახვა, ამ პერიოდში (ისევე როგორც სხვა საფეხურებზეც) განვითარებას განიცდის, როგორც მოქმედების გარკვეული ფორმები. აღქმითი მოქმედებების გართულება ვლინდება სენსორული აქტივობის გამრავალფეროვნებასა და გაშინაგნებაში. სკოლამდელი ასაკის დასასრულს აზროვნების ოპერაციებიც გარეგან პრაქტიკულ მოქმედებებთან ერთად შინაგანი ოპერაციების სახითაც ხორციელდება (ინტერიორიზაცია), ამავე პერიოდში იწყებს ბავშვი დამახსოვრებებისა და გახსენების საშუალებათა გამოყენებასც და ა. შ. ყველა ეს ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ სინამდვილისაღმი შემეცნებითი დამოკიდებულება თანდათანობით წამყვანი ხდება, რაც მალე არსებითად შეცვლის ასაკობრივი გარემოს სტრუქტურას. მართლაც, მომდევნო ასაკში, სწორედ შემეცნებით პროცესთა აქტივაციის ფუნქციონალური ტენდენცია ასრულებს განვითარების ძირითადი მამოძრავებელი წყაროს როლს.

სკოლამდელი ასაკის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა დახასიათება სრული არ იქნება ამ ასაკის ბავშვის ემოციური ცხოვრების და ემოციური განვითარებას აღწერის გარეშე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ბავშვი უპირველესად სწორედ ემოციურ არსებას წარმოადგენს.<sup>1</sup> ემოციების გამოხატვა, რომელიც, როგორც ვნახეთ, გამოცოცხლების კომპლექსით იწყება, თანდათან მიზანმიმართული და დიფერენცირებული ხდება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ახასიათებს თითქმის ყველა ის გრძნობა, რაც კი საერთოდ დამახასიათებელია ადამიანისათვის, მაგრამ მათი მიმღინარეობა აქ სრულიად თავისებურია.

სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი გრძნობებიდან ასახელებენ შიშს, სიბრაზეს, სირცხვილს.. სიყვარულს და თანაგრძნობას, ეჭვიანობას და სხვა.

1 დაწვრილებით იხ. ჩვენი ზემოთდასახელებული მონოგრაფია

2 სკოლამდელთა ემოციური განვითარების შესახებ დაწვრილებით იხ.

ნ. იმედაბის შესაბამისი სტატია წიგნში — ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი), რედაქტორი კლ. ნორაკოძე, თბ., 1969.

**შიშის** ზოგი მკვლევარი მიიჩნევს თანშობილ მოვლენად და ამის დასამტკიცებლად მიუთითებენ, რომ უკვე ჩვილა ბავშვი განეცდის შიშის მარტო დატოვებაზე, ძლიერ ყვირილზე, საყრდენის გამოცლაზე (გარდაზე) და სხვა. მკვლევართა ნაწილი კი მიუთითებს, რომ გარკვეულ ასაკამდე ბავშვს არ ეშინია სიბნელის, სხვადასხვა ცხოველების და ა. შ. და მაშასადამე, შიშა მას გადაეცემა სხვა ადამიანებისაგან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. საერთოდ, როგორი წარმოშობაც არ უნდა ჰქონდეს შიშის, უდავოა, რომ იგი ღიღადაა დამოკიდებული სოციალური გარემოს გავლენაზე. ამიტომ სრულიად დაუწვებელია ბავშვების დაშანება (გულიანი კაცით, მილიციელით, მტაცებელი ცხოველებით და ა. შ.) და მათი თანდასწრებით რაიმეზე განსაკუთრებული შიშის გამომჯდავნება.

შიშზე უფრო ხშირად, როგორც ირკვევა, სკოლამდელები სიბრაზის რეაქციებს გამოხატავენ, რაც იმის ბრალი უნდა იყოს, რომ საშიშ სიტუაციებს ბავშვს საგანგებოდ არიდებენ, ბრაზის გამომწვევი სიტუაციების მიმართ კი ეს ნაკლებად ხერხდება. სიბრაზეს ბავშვი გამოხატავს შეტევით, მუშტების ქნევით ან დარტყმით, ყვირილათ, გაბუტვით და ა. შ.

სირცხვილის გრძნობა შედარებით გვიან ვითარდება, თუმცა მის გენეტიკურ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვილის ტენდენცია დედის უბეში დაემალოს უცხო მზერას. „მე“-ს თვითცნობიერებას გაჩენის შემდეგ ბავშვი განიცდის თავისებურ მორცხვობას და გაუბედაობას სხვადასხვა ქცევებში. მას ეშანია არ გახდეს დაცინვის საგანი. უფრო გვიან (დაახლოებით მეოთხე-მეხუთე წლიდან) ვითარდება მორცხვობა სხეულებრივი სიშიშვლისადმი და იგი დაკავშირებულია ბავშვის სქესობრივი იდენტიფიკაციასთან (ბავშვი აცნობიერებს, რომ იგა გარკვეული სქესის წარმომადგენელია).

ბუნებრივად ვითარდება სიყვარულიც ახლობელთა მიმართ, უკვე ადრეული ასაკიდან ბავშვი გამოხატავს სიყვარულს კოცნით, ქესტიკულაციით, სიცილით, უფრო გვიან სიტყვერადაც. სკოლამდელ ასაკში იწყება საწინააღმდეგო სქესით დაინტერესება და ვხვდებით შეყვარებულობის შემთხვევებსაც, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბავშვი თამამად ამჟღავნებს ამას (არ განიცდის მორცხვობას, როგორც ამას გარდამავალ ასაკში აქვს ადგილი), იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქაც გარკვეულ ილუზიის თამაშთან უნდა გვქონდეს



საქმე. თანაგრძნობა და სიშრალულიც დიდ ადგილს იჭირს ბავშვის ემოციებს შორის. მაგალითად, უკვე ჩვილი ბავშვი ტირის სხვა ბავშვის ტირილის გაგონებაზე. სკოლამდელ ასაკში კი ბავშვი ახერხებს სხვისი მდგომარეობის ნაწილობრივ გაზიარებას, რაშიც დიდ ორლს ასრულებს აღზრდაც. თანაგრძნობა ხშირად ადამიანებს გარდა ცხოველებსა და უსულო საგნებზეც კა ვრცელდება.

**ეჭვიანობაც** საქმაოდ დამახასიათებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ოჯახში ახალი ბავშვი ჩნდება და ბავშვი განიცდის მშობელთა სითბოს განაწილებას.

ზემოთჩამოთვლილი და სხვა გრძნობები ბავშვებთან ძალან ადვილად გამოიწვევა და ინტენსიურად მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი განუწყვეტლივ ემოციათა ტყვეობაში იმყოფება. ამასთანავე, ბავშვი გაცილებით მეტად გამოხატავს თავის ემოციებს, კიდრე განიცდის. მცირე ტკივილზე ან წყენაზე შეუძლია ღიდხანს და გულამოსკვნით ატიროს. მისი ემოციები სრულიად უმართავია და ერთი ემოციური მდგომარეობა სწრაფად და შეუმჩნევლად იცვლება მისი საპირისპირო მდგომარეობით, ისე, რომ ბავშვს წელიწელი წყენისაგან გამოწვეული ცრემლი არ შეშრობა, რომ უკვე იცინის. საერთოდ ბავშვის ემოციები ზერელეა და მათ იშვიათად შეიძლება გააჩნდეთ ლრმა მნიშვნელობა.

სკოლამდელი ასაკის დასასრულს ემოციებიც თანდათან მოწესრიგებული ხდება. ბავშვი ახერხებს მინიმალურად მაინც მართოს მათი გამომეულავნება, რაც აგრეთვე იმის ნიშანია, რომ ბავშვი ამ თვალსაზრისითაც მზადა ისეთი რთული საქმისათვის, როგორიც სწავლაა.

საერთოდ, როგორც პიროვნული და ნებელობით-ემოციური სფეროს, ასევე ინტელექტუალური განვითარებაც 6-7 წლის ასაკში იმ დონეს აღწევს, რომ თამაში ველარ უზრუნველყოფს ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციების სრულად დაკმაყოფილებას: და კიდევ ერთხელ არსებითად იცვლება ბავშვის ასაკობრივი გარემო. იწყება განვითარების სრულად ახალი პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების ისეთ ეტაპობრივი მოვლენასთან, როგორიცაა სკოლაში შესვლა და სწავლის დაწყება.



## ጀ. უმცროსი სასკოლო ასაკი

ეროვნული  
მუსიკური

უმცროსი სასკოლო ასაკი დაახლოებით შვიდი წლიდან იწყება .  
და თერთმეტ-თორმეტ წლამდე გრძელდება **7** მასში ორ ეტაპს, ანუ  
ქვეპერიოდს გამოჰყოფენ. ა) საშუალო ბავშვობა (შვიდიდან ცხრა  
წლამდე) და ბ) გვიანი ბავშვობა (ცხრიდან თერთმეტ-თორმეტ  
წლამდე). პირველ ეტაპზე ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას  
არსებითად განსაზღვრავს სასკოლო გარემოსთან შეგუება და ინ-  
ტენსიურად მიმდინარეობს მოსწავლე სუბიექტის ფორმირება, მე-  
ორე ეტაპზე კი, დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორ სწავლობს.  
ბავშვი უკვე მოსწავლე სუბიექტის ტიპიური განსახიერებაა. ხოლო  
ორივე ეს ეტაპი განვითარების ერთიან საფეხურს წარმოადგენს  
ცსიქიურ უნართა ჩამოყალიბების ძირითადი ტენდენციებისა და  
ამით განპირობებული ასაკობრივი გარემოს თავისებურებათა მი-  
ხედვით.

უმცროსი სასკოლო ასაკის დასაწყისში კარდინალურად იცვლე-  
ბა ასაკობრივი გარემო. ამასთანავე, თუ სხვა ასაკებში აღნიშნული  
გარემოს შეცვლა ბუნებრივად ხდება და ბავშვის განვითარების  
ინდივიდუალურ ტემპზე დამოკიდებული. **8** ამ საქმეში მთელი რი-  
გი გარეგანი ფაქტორებიც ერევა: ყველა ბავშვი, ვისი საპასპორტო  
(მეტრიკული) ასაკიც კი ამის შესაძლებლობას იძლევა, ერთნაირად  
შეჰყოვთ სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში. ამიტომ, სკოლაში  
ახლადშემოსულ ბავშვებს შორის დიდი განსხვავებებია საპასპორ-  
ტო ასაკშიც თვეების მიხედვით. რასაც ამ პერიოდში ჯერ კიდევ  
დიდი მნიშვნელობა აქვს და რაც მთავარია, სასკოლო სწავლისათ-  
ვის საჭირო ძალთა მომწიფებაშიც, რაც მისი განვითარების უნდი-

**7** არიან მკელევარები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აქცეულერაციის გავლე-  
ნით დღეისათვის უმცროს სასკოლო ასაკად უნდა მივიჩნიოთ ექვსიდან  
ათ-თერთმეტ წლამდე პერიოდი, მაგრამ ეს მოსაზრება ანგარიშს ვერ  
უწევს იმ გარემოებს, რომ განვითარება მატობ ბიოლოგიური და კო-  
ნებრივი ზრდა არაა და მასში გადამწყვერი მნიშვნელობა პიროვნების  
მომწიფებას აქვს.

**8** როგორც ზემოთ აღნიშნეთ (**ი. თავი II**) ყოველი ბავშვი მომდევნო პე-  
რიოდში გადადის მაშინ, როდეაც მისი ფსიქო-ფიზიკური ძალები იმდე-  
ნად მომწიფდება, რომ მათი ფუნქციონიბის ტენდენცია ამ პერიოდისათვის  
დამახასიათებელ ასაკობრივ გარემოს ჩამოყალიბებს. ეს ზოგთან საშუ-  
ალო ნორმაზე ცოტა აღრე მოსდება, ზოგთან კი ცოტა მოვარებით.

ვიდუალურ ტემპზეა დამოკიდებული. <sup>9</sup> ბავშვის, როგორუცამაგრენ  
ლის შემდგომი ბედი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ლომდება  
მომწიფებული და ფსიქოლოგიურად მომზადებული შეხვდება ასა-  
კობრივი გარემოს ასე ერთხაშად შეცვლას. პირველი კლასის მას-  
წავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი ბავშვის სწავლისათვის მომ-  
წიფების ღონის განსაზღვრა და მათთან ინდივიდუალური მიღო-  
მით ყველასაგან ჩამოაყალიბოს სწავლის სუბიექტი.

სასკოლო სწავლისათვის ბავშვის მომწიფებაში გამოჰყოფენ  
სამ ასპექტს: 1) ფიზიკური მომწიფება; 2) იტელექტუალური, მომ-  
წიფება და 3) სოციალურ-პიროვნული მომწიფება. <sup>10</sup>

სწავლისათვის ფიზიკური მომწიფება გამოიხატება როგორც  
ძვალ-კუნთოვანი სისტემას იმდენად განვითარებაში, რომ ბავშვმა  
შესძლოს სწავლისათვის საჭირო მოძრაობათა განხორციელება (მა-  
გალითად, წერისა და კითხვის ჩვევათა შემუშავებისათვის წვრილ  
კუნთებს, რომლებიც ოვალების აკომოდაცია-კონვერგენციას და  
ხელას მტევნის კოორდინირებულ მოძრაობებს უზრუნველყოფენ  
გადამწყვეტი როლის შესრულება უწევთ), ასევე ნერვულ სისტემა-  
ში აგზნება-შეკავების პროცესთა ურთიერთშონსწორობის ისეთ  
დაბალნებაში, რომ ბავშვმა გარკვეული დროის განმავლობაში  
შესძლოს საკუთარ მოქმედებათა შინაგანი კონტროლი. თუ ბავშვი  
სწავლისათვის ფიზიკურად მომწიფებული არაა, სკოლაში ყოფნამ  
მის ჯანმრთელობას შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას.

სკოლაში ახლადშემოსული ბავშვის სწავლება ითვალისწინებს  
მასთან შემეცნებითი პროცესების და საერთო ინტელექტუალური  
განვითარებას გარკვეულ ღონეს: ბავშვს აქტივლიან იმას, რისი აღ-  
ქმა, ვაგება, დახსომება, წარმოდგენა, და წარმოსახვაც შეუძლია.  
ამიტომ, ასაკის შესაბამისად ინტელექტუალურად ჩამოყალიბებულ  
ბავშვს თვითონ მასალის ათვისებაში, სათანადო გარჩით, ყველა  
სიძნელის დაძლევა შეუძლია. მაგრამ, თუ ბავშვი ინტელექტუალუ-

<sup>9</sup> დაწვრილებით იხ. შ. ჩხარტიშვილი — ექსპლიანთა სასკოლო სწავლების  
საკითხები, თბ., 1980 წ.

<sup>10</sup> ასაკობრივი თვეისებურებების ზოგადი დახსიათების დროს ცხადია სა-  
შუალება არ გვაქვს სწავლისათვის მომწიფების პროცესებით  
განვიხილოთ, მაგრამ დინტერესებული მკითხველი ამ საკითხთან დაკავ-  
შირებით აუცილებლად უნდა გაეცნოს შ. ჩხარტიშვილის ნაშრომს „სას-  
კოლო ცხოვრების დასაწყისის ფსიქოლოგია“. წიგნში — პედაგოგიური  
ფსიქოლოგია, I ნაწილი, თბ., 1975 წ. რედ. შ. ჩხარტიშვილი.



რა განვითარების ტემპით საკუთარ ასაქს ჩამორჩება, იგი თავდაწყვეტილი ვერ დაძლევს მასალას, რამაც შესაძლოა განაპირობოს მის დამატებითი დემოური ჩამორჩენილობა არა მარტო პირველ კლასში, არამედ საერთოდ მთელი სასკოლო ცხოვრების განმავლობაში.

სწავლისათვის **სოციალურ-პიროვნული** მომწიფება გამოიხატება ბავშვის მზაობაში აიღოს თავის თავზე მოსწავლის სოციალური როლი და სერიოზულად იზრუნოს იმ მოთხოვნათა შესრულებაზე, რასაც მას საზოგადოება უყენებს, როგორც მოსწავლეს. ყველა ბავშვა, ვინაც სკოლაში სიხარულით შემოდის და ფიზიკური თუ გონებრივი თვალსაზრისით სრულად ნორმალურადაა განვითარებული, ვერ ახერხებს კარგად სწავლის, მხოლოდ იმის გამო, რომ არ შეუძლია აქტიუალურ მოთხოვნილებათა იმპულსი ჩახშოს და სოციალური მოთხოვნების მიხედვით ამოქმედოს. ასეთი ბავშვი მხოლოდ იმ შემთხვევაში ისწავლის, თუ სწავლა მისთვის სახალისო იქნება, სწავლების მთელი პროცესის ასეთი ორგანიზება კი პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებულ მოუმწიფებლობას ამ ასპექტით იმ ბავშვებთან ვაწყდებით, რომლებთანაც ვერ მოხერხდა ზემოთდასასიათებული კურიულის (სამი-ოთხი წლის) სრულყოფილად დაძლევა. 2. ბ. ქუჩავა ჯურისა (სახელი ქუჩავა) დადგინდა! 11

სწავლისათვის მომწიფების რომელიმე ასპექტით ბავშვის ჩამორჩენა გვიჩვენებს მის დისპარმონიულ განვითარებას. დისპარმონის ყველა შემთხვევას სჭირდება ინდივიდუალური მიღვმა, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაძლოა მიზანშეწონილად ჩაითვალოს ბავშვის სკოლაში შემოსვლის გადავადება მომდევნო სასწავლო წლისათვის.

ის ბავშვებიც, რომლებაც ყველა ასპექტით ჰარმონიულად არიან ჩამოყალიბებული სწავლისათვის, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებთან ახალ ობიექტურ ვითარებასთან შეგუების თვალსაზრისით. ბავშვმა სრულად ახლებური სოციალური ურთიერთობები უნდა დაამყაროს მასწავლებელთან, თანაკლასელებთან და მთლიანად სასკოლო გარემოსთან. ოჯახშიც მისი სოციალური სტატუსი არსებითად იცვლება. ამ სიძნელეთა უმრავლესობის დაძლევაში ბავშვს მასწავლებელი უნდა დაეხმაროს. კერძოდ, პირველი კლასის მასწავლებელმა პირველ დღესვე უნდა დაამყაროს ყველა მოსწავლესთან კონტაქტი და აგრძნობინოს თავისი ემოციური სითბო. როგორც 3. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, პირველ სასკოლო დღეს მი-

ღებულ შთაბეჭდილებებს ისეთი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, რომ მათა ხსოვნა თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობზე იმარტინის იყარება.<sup>12</sup>

საერთოდ სწავლების დაწყებით საფეხურებზე (საშუალო ბავშვობის პერიოდში) მყოფი ბავშვებისათვის დამახასიათებელია მასწავლებლის ავტორიტეტის უკველობაში აბსოლუტური დარწმუნებულობა და მასთან ახლო ემოციური კონტაქტისაკენ მასწავლება. ბავშვები არა მარტო ჰატივს სცემენ საკუთარ მასწავლებელს, არამედ ძლიერ სიმპათიასაც განიცდიან მის მიმართ და ეს ვითარება სრულიადაც არა დამოკიდებული თავად მასწავლებლის პერდაგოცურ ლირსებებსა თუ სხვა თვისებებზე.<sup>13</sup> მასწავლებლის ოფიციალური პოზიცია თავისითავად განაპირობებს მასთან ბავშვების ასეთ დამოკიდებულებას. ამით საშუალო ბავშვობის პერიოდი (განსაკუთრებით I-II კლასების მოსწავლეები) თვალსაჩინოდ განსხვავდება ყველა დანარჩენი სასკოლო პერიოდისაგან. თანატოლების შეფასებასაც ბავშვი მთლიანად მასწავლებლის მიხედვით ახდენს: ბავშვები, რომლებიც მასწავლებლის ქებასა და სისტემატურ ყურადღებას იმსახურებენ, ყველას მოსწონს, მასწავლებლისაგან დაწუნებული ბავშვები კი შედარებით ძნელად ახერხებენ დანარჩენებთან სოციალური ურთავერთობების დამყარებას. ამას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და ყველა მოსწავლესთან მოძებნოს საბაზი მისი შექებისათვის. ამ შემთხვევაში კლასის ერთიან სოციალურ ჯგუფად ჩამოყალიბება შედარებით დაჩქარდება.

სკოლაში ახლადმოსული ბავშვები ჯერ კადევ არ განიცდიან თავს კლასის სოციალური ჯგუფის წევრად. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კოლექტიურად მიცემულ დავალებებს ისინი საკუთარ თავზე არ ღებულობენ, საჭიროა თითოეულს ცალ-ცალკე განეგმაროს რისი გაკეთება მოეთხოვება. მხოლოდ II კლასიდან შეანიშება ისეთი გამაერთიანებელი თვისების ჩასახვა; როგორიცაა ამხანვობის გრძნობა, რომელიც, როგორც ვნახავთ, მომდევნო ასკებში მნიშვნელოვნად ვითარდება. ამ პერიოდში ამხანაგობა ჩვეულებრივ ატარებს არჩევით ხასახს და ძირითადად გარეგან ფაქტო-

<sup>12</sup> იხ. შ. ჩხარტიშვილის ზემოთდასახელებული ნაშრომი. (ეგ. ფ. 1. ტ 6, ნ 1)

<sup>13</sup> ამ თაღსაზრისით საინტერესო დაკვირვებები აქვს მოყვანილი ნ. ლეიტეს თავის წიგნში უმственныи способности и возраст. М., 1971 გ.

რებს (მერხზე ერთად ჭდომა, მეზობლად ცხოვრება და სხვა) ემყა-  
რება.

უმცროსი სასკოლო ასაკის პირველ საფეხურზე განსაკუთრებულ  
წინსვლას განიცდის ფსიქიკურ პროცესთა ჩამოყალიბება. ამ მხრივ  
პრიორიტეტი შემეცნებით პროცესებსა და საერთოდ ინტელექტუ-  
ალურ განვითარებას ეკუთვნის, რადგან უმცროსი სასკოლო ასაკი  
ძირითადად სწორედ გონებრივი უნარების განვითარებისადმის სენ-  
ზიტიური, მაგრამ ნებელობით-ემოციური სფეროც მნიშვნელოვან  
განვითარებას განიცდის. კერძოდ, ამ პერიოდის ბავშვი თანდათა-  
ნობით ეუფლება საკუთარი ქცევას ნებელობით მართვას და მისი  
ემოციებიც შედარებით მყარი და მოწესრიგებული ხდება.

მიუხედავად აღნიშნულისა, უმცროსი სასკოლო ასაკის განმავ-  
ლობაში და განსაკუთრებით მის პირველ საფეხურზე, ბავშვი მაინც  
ემოციურ არსებად რჩება. მას ისევე ესაჭიროება უფროსებისაგან  
ემოციური სითბო. როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვს. სკოლაში  
ბავშვი სისტემატურ ყურადღებასა და სიყვარულს უნდა განიც-  
დიდეს მასწავლებლისაგან და ოებულობდეს ინტელექტუალურ სა-  
ტრდოზე არანაკლები ოდენობის ემოციურ საზრდოს. ზრდა-განვი-  
თარების კვალობაზე ბავშვის ემოციები, კერძოდ მისი დამოკიდე-  
ბულებები სინამდვილის სხვადასხვა მოვლენებისადმი, იძენს შედა-  
რებით სიყარეს, ხოლო მათი გამომქლავნებაც თანდათან სიტუაცი-  
ისადმი აღევენატური ხდება. უმნიშვნელო წყენაზე ბავშვი ისე მძაფ-  
რად აღარ რეაგირებს, როგორც ამას სკოლამდელ ასაკში ჰქონდა  
ადგილი. უფრო მეტიც, უმნცროსი სასკოლო ასაკის მეორე საფე-  
ხურზე (გვიანი ბავშვობის პერიოდში) ბავშვი უკვე იმდენადაა და-  
უფლებული საკუთარი ემოციების მართვას. რომ შეუძლია საერ-  
თოდ არ გამომჟღავნოს ისინი, თუ ასე მიაჩნია საჭიროდ. ეს იმას  
ნიშანია, რომ ბავშვი აღარაა დამოკიდებული აქტუალურ იმპულ-  
სებზე და მის აქტივობას ძირითადად ნებისყოფა წარმართავს.

საერთოდ მიზანდასახულა მოქმედების უნარი ამ პერიოდში  
მნიშვნელოვან განვითარებას განიცდის. ამ საქმეში გადამწყვეტ  
როლს სწავლა და სასკოლო გარემო ასრულებს, რომელიც ბავშვი-  
საგან სისტემატურად მოითხოვს აწმყო სიამოვნებანი ღროებით  
გვერდზე გადადოს და მომავლასათვის საჭირო მიზნების შესრუ-  
ლებაზე იზრუნოს (მაგ. ჯერ გადვეთილები მოამზადოს და მერე გა-  
ერთოს). თუ ამ მიმართულებით სოციალური გარემო გატეგორიულ



და ზომიერ მომთხოვნელობას გამოიჩენს (სრულიად დაუშენებულია). რომ გაკვეთილების მომზადების შემდეგ ბავშვს დამატებითი მეცა-დინეობა მოვთხოვოთ და თამაშისა და გართობისათვის დრო საერ-თოდ არ დავუტოვოთ), ბავშვს მალე გამოუმუშავდება იმდენი ნე-ბისყოფა, რამდენიც აუცილებელია საკუთარი ქცევების გარკვე-ული რეაქტის კალაპოტში მოქცევისათვის.

ამ პერიოდში ნებელობითი სფეროს მნიშვნელოვან განვითარე-ბაზე მეტყველებს ისიც, რომ საშუალო ბავშვობის დასაწყისიდანვე ისახება, ხოლო გვიანი ბავშვობის პერიოდში განვითარების საკ-მაოდ მაღალ დონეს აღწევს ფსიქიკურ პროცესთა ნებისმიერობა: როგორც ვიცით, ფსიქიკურ პროცესთა უმრავლესობა იყოფა უნებ-ლივ და ნებისმიერ ფორმებად. პირველ შემთხვევაში შესაბამისი ფსიქიკური აქტივობა აღმოცენდება სუბჟექტისაგან დამოუკიდებ-ლად და მიმდინარეობს სტიქიურად, ყოველგვარი წინასწარგანზრა-ხულობის გარეშე. მაგალითად, ყოველდღიურად უამრავი შინაარსი აღიქმება ჩვენს ძიერ და შეანახება ჩვენს მეხსიერებაში ისე, რომ ამისათვის საგანგებოდ არაფერს არ ვაკეთებთ. მეორე შემთხვევაში კი ფსიქიკურ აქტივობას წარმართავს თავად პიროვნება, წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად. სწავლა სრულიად მიზანდასახული საქმიანობაა. ამასთან დაკავშირებით ბავშვისათვის წყვენებული შოთხოვნები უზრუნველყოფს ნებისმიერი ყურადღების, აღქმისა და დამკვირვებლობის, ნებისმიერი მეხსიერების, აქტიური აზროვ-ნებისა და წარმოსახვის და ო. შ. ინტენსურ განვითარებას. გვიანი ბავშვობის პერიოდში ნებისმიერ ფსიქიკურ აქტივობას ბავშვის ცხოვრებაში, თავისი მნაშვნელობით წამყვანი აღგილი უჭირავს. უმცროს სასკოლო ასაკში, როგორც ითქვა ყველაზე ინტენსი-ურად შემეცნებითი აქტივობა და შემეცნებითი ფსიქიკური პრო-ცესები ვითარდება. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს სასკოლო სწავ-ლება ასრულებს და არა მარტო იმით, რომ იგი ხელს უწყობს აღ-ნიშნულ პროცესთა ნებისმიერი ფორმების დაჩქარებულ განვითა-რებას, არამედ იმითაც, რომ სწავლა, როგორც შემეცნებითი აქტი-ვობის სპეციფიკური ფორმა, არსებითად სცვლის მათ შინაგან სტრუქტურას. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის დაუფლების უშუალო შედეგს ფსიქიკურ განვი-თარებაში წარმოადგენს შინაგანი მეტყველების განვითარება. უკვე პირველკლასელებთან შინაგანი მეტყველება სცვლის სკოლაშდელ.

თა ეგოცენტრულ მეტყველებას და ბავშვს შესაძლებლობა უქმნეთა დღი  
ბა გონებრივი აქტივობა თავისითვის, შინაგანი მეტყველებით განვითარება  
ხორციელოს. გონებრივი მოქმედებების შინაგან მეტყველებაში გა-  
დატანა, როგორც ვაცით, ინტერიორიზაციის არსებითი მომენტია,  
ამდენად, ეს უკანასკნელი (ინტერიორიზაცია) ყველაზე ინტენსიუ-  
რად სწორედ უმცროსი სასკოლო ასაკის დასაწყისში მიმდინარე-  
ობს. ბავშვი, რომელიც ამ წუთში თვითონ უშუალად არ მოქმე-  
დებს, მხოლოდ იმ პირობით შეაძლება იყოს ჩართული გაკვეთი-  
ლის მსვლელობაში, რომ შინაგანი გონებრივი აქტივობით მიჰყვება  
ბას. ამდენად ნათელია, რომ მთელი გონებრივი აქტივობა, უმცროსი  
სასკოლო ასაკის დასაწყისშა, არსებით სტრუქტურულ ცვლილებას  
განიცდის.

შემცნებით აქტივობაში, ~~როგორც ჭემთაც აღვნიშნეთ~~, (ახ.  
~~წარავალის~~ ცენტრალურ როლს აზროვნება ასრულებს. სკო-  
ლაში ახლადშემოსული ბავშვის აზროვნება საქმიად მომდლავრე-  
ბულია იმისათვის, რომ ბავშვმა, თვალსაჩინო წარმოდგენებზე და-  
ყრდნობით, სინამდვილის ზევრი მხარე და საგნებსა და მოვლენებს  
შორის არსებული მიმართებები შეიცნოს. მაგრამ ბავშვის აზროვ-  
ნება ჯერ კიდევ იმდენად კონკრეტული ხასიათისაა, რომ ამა თუ იმ  
ზოგად კატეგორიაზე მსჯელობისას, მას ყოველთვის რომელიმე  
კონკრეტული საგანი აქვს წარმოდგენილი, როგორც „ამგვარ“ სა-  
განთა წარმომადგენელი. სწორედ ეს კონკრეტული წარმოდგენები  
ასრულებს საშუალო ბავშვობის დასაწყის საფეხურებზე ცნების  
ფუნქციას ბავშვის აზროვნების პროცესში. ამიტომ, ბავშვი ჯერ კი-  
დევ ვერ გებულობს ასეთ განმარტებათა შინაარსს, რომლებშიც  
საგნის არსებით, მაგრამ არათვალსაჩინო ნიშნებზეა საუბარი. მა-  
გალითად, რ. ნათაძის მიერ ჩატარებულ უქსპერიმენტში შვიდწლი-  
ანმა ბავშვებმა ადვილად დაიზეპირეს განმარტება ძუძუმწოვარი  
ცხოველის შესახებ, სადაც მათითებული იყო ისეთ ნიშნებზე, რო-  
გორიცაა შვილების ცოცხლად შობა და ძუძუთი კვება, მაგრამ  
დელფინი მაინც თევზად მიიჩნიეს, თუმცა დიდი ინტერესით მოი-  
სმინეს ახსნა-განმარტება, რომ დელფინი შვალებს ცოცხლად შობს,  
ძუძუთი კვებავს და სუნთქვას პაერით, ხოლო თევზები შვილებს

14

ქვირითიდან ჩეკენ და ჰაერით არ სუნთქვავენ. მხოლოდ საშუალო  
ბავშვობის დასასრულს და გვიანი ბავშვობის დასაწყისში ჭირობებს  
ბავშვი როგორდაც ანგარიშა გაუწიოს სპეციფიკურ და არსებით  
ნიშნებსაც, მაგრამ თვალსაჩინო წარმოდგენები ჯერ ისევ წამყვან  
როლს ასრულებს. მაგალითად, ცხრაწლიანი ბავშვებიც დელფინს  
თევზად მიიჩნევენ, მაგრამ საჭიროდ თვლიან დაამატონ, რომ ესაა  
თევზი, რომელიც შვილებს ცოცხლად შობს და ძუძუთი კვებავს.

უმცროსა სასკოლო ასაკის ბავშვების ამ თავისებურებების გა-  
მო, შეუძლებელია მათ ვასწავლოთ ნამდვილი მეცნიერული ცნებე-  
ბი და სისტემატური ცოდნა მივცეთ მეცნიერებათა საფუძვლებში.  
ეს პერიოდი ძირითადად ფაქტური მასალის დაგროვებისა და ნამ-  
დვილი სწავლისათვის მოსამზადებელი საფეხურია. გონებრივი ოპე-  
რაციები, როგორც ჟ. პიაუებ უჩვენა, ამ პერიოდში კონკრეტულ ხა-  
სიათს ატარებს, მაგრამ ყოველი კონკრეტული გონებრივი მოქმედე-  
ბა ავსებს ბავშვის გამოცდილების საცავს და რაც უფრო მდიდარი  
იქნება ეს უკანასკნელი, მით მეტი მასალა ექნება სუბიექტს ხელთ,  
ინტელექტუალური განვითარების მომდევნო საფეხურზე, ფორმა-  
ლური ოპერაციების განხორციელებისათვის. ამასთანავე, დიდი  
მნიშვნელობა აქვს სწავლების პირობებსაც. როგორც ირკვევა, თუ  
სწავლება თავიდანვე მოითხოვს ბავშვისაგან აბსტრაქტურებულ ნიშ-  
ნებზე ყურადღების მიპყრობას და ფორმალური გონებრივი მოქმე-  
დებების შესრულებას, კონკრეტულობასა და თვალსაჩინოებაზე მი-  
კაჭვულობა შედარებათ ადრე დაიძლევა. თუმცა, აქ დიდი სიფ-  
როთხილეა საჭირო და თუ მასწავლებელი სთანადოდ დახელოვნე-  
ბული არაა, ბავშვებისათვის სასწავლო მასალა შეიძლება გაუება-  
რი დარჩეს და ცოდნამ მოილოს ფორმალური ხასიათი. 15

თვალსაჩინოებასა და კონკრეტულობაზე აზროვნების ასეთი და-  
მოკიდებულების გამო, მოცემული პერიოდის დასაწყისში ბავშვები  
ჯერ კიდევ ვერ სწვდებიან ე. წ. შექცევითობის პრინციპს, რომლის  
თანახმადაც ბუნების მთელ რიგ პროცესებს, ისევე როგორც ადა-  
მიანურ მოქმედებებსა და გონებრივ ოპერაციებს, შეესაბამება მი-

14 იხ. რ. ნათაძე — ცნების დაუფლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში,  
წიგნში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, I ნაწილი, რედ. შ. ჩხარტიშვილი,  
თბ., 1975 წ.

15 ამ საეთოზე დაწვრილებით იხ. В. В. Давидов — Виды обобщения  
в обучении, М., 1972.

სი შებრუნებული პროცესება და ოპერაციები, რითაც აღსდგება  
 პირვანდელი ვითარება. მაგალითად, ბავშვი ვერ ხვდება, რომ შემთხვევა  
 ლუნული მავთულის გასწორება. არის გალუნვის საპირისპირო ოპე-  
 რაცია, რომ გაბრტყელებულ პლასტელინის ბურთულას ისევ შეიძ-  
 ლება დაუბრუნდეს პირვანდელი ფორმა და ა. შ., მიუხედავად იმი-  
 სა, რომ პრაქტიკულად ასეთ ოპერაციებს თითქმის ყოველდღიურად  
 განახორციელებენ. აზროვნების ამ თავისებურებას უკავშირდება ის  
 გარემოება, რომ საგნებისათვის ფორმის შეცვლის შემთხვევაში  
 ბავშვი ვერ ხვდება მათი მასის უცვლელობას, მათი გაფანტუსა და  
 კრთად თავმოყრის შემთხვევაში რაოდენობის უცვლელობას და  
 სხვა. მაგალითად, დაბალი ფართო ჭურჭლიდან მაღალ ვიწრო ჭურ-  
 ჭელში წყლის გადასხმის შემდეგ ბავშვს (საუბარია ექვ-შვილწლიან  
 ბავშვებზე) ჰგონია, რომ წყლის რაოდენობამ მოიმატა, გაფანტულ,  
 ბურთულების ერთად მოგროვების შემდეგ ჰგონია, რომ მათი რა-  
 ოდენობა შემცირდა და ა. შ. ამ მიმართულებით მრავალრიცხვანი  
 ექსპერიმენტები ჩაატარა ჟ. პიაუეს<sup>16</sup> და ამ ექსპერიმენტულ ფაქ-  
 ტებს მეცნიერებაში „პიაუეს ფენომენები“ ეწოდება. საყურადღე-  
 ბოა, რომ პირველი კლასის შემდეგ, სასკოლო სწავლების და განსა-  
 კუთრებით მარტივი მათემატიკური მოქმედებების დაუფლების შე-  
 დეგად პიაუეს ფენომენები დაიძლევა და შექცევითობის პრინციპიც  
 ბავშვისათვის მისაწვდომი ხდება, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაშა,  
 უკვე ადგილი აქვს ამ პრინციპის არასწორ უნივერსალიზაციას:  
 ბავშვს ჰგონია, რომ ბუნებაში ყველა პროცესი შექცევითია. სწო-  
 რად დაყენებული სწავლების შემთხვევაშა ეს შეცდომაც მაღლ გა-  
 ქარწყლდება. გვიანი ბავშვობის პერიოდში, ბავშვის აზროვნება  
 უკვე რეალობასთან მაქსიმალურ შესაბამისობაშია.

ბავშვის აზროვნების განვითარების ღონეზეა დამოკიდებული  
 სწავლებაში დადებითი და უარყოფითი მაგალითების გამოყენების  
 საკითხი.<sup>17</sup> ცნობილია, რომ ყოველი მოვლენისა თუ საგნის სწავლე-  
 ბის დროს აუცალებელია მოვახდინოთ საკითხის გათვალსაჩინოება  
 სათანადო მაგალითებით. დადებითია მაგალითი, რომელიც შედის  
 შესასწავლ მოვლენათა კლასში, რადგან გააჩნია სათანადო ნიშნები

<sup>16</sup> Ж. Пиаже — Как дети образуют математические понятия. Ніурн. «Вопросы психологии». 1966, № 9.

<sup>17</sup> ბავშვის აზროვნებაში დადებითი და უარყოფითი მაგალითების წვდომის  
 თავისებურებათა შესახებ დაწვრილებით იხ. ჟ. ნადირაშვილი — განხო-  
 გადების განვითარება სასკოლო ასევე ბავშვებში, თბ., 1963 წ.

შეაძლება განვიხილოთ ქათამი ან მტრედი და ა. შ.), ხოლო უმცირესობა – ფითია მაგალითი, რომელიც სათანადო ნიშნების უქონლობის გამო ვერ შედის მოვლენათა ამ კლასში (მაგალითად, ფრინველების სწავლების დროს უარყოფით მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კურ-დღელი, რომელსაც არ აქვს სათანადო თვასებები და ამიტომ ფრინველად ვერ ჩაითვლება). სწავლება მარტო დადგებითი მაგალითებით სრულყოფილი არაა, რადგან ბევრი მოვლენის არსი გასავები ხდება მხოლოდ განსხვავებულ მოვლენებთან (უარყოფით მაგალითებთან) მიმართებაში. მაგრამ, უარყოფითი მაგალითა გაგებისათვის საჭირო ინფორმაციას გვაწვდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგნების არსებითად განხილვა შეგვიძლია. უმცროს სასკოლო ასაკში, სადაც საგნები ჯერ ისევ გარეგნული თვალსაჩინო ნიშნებით განიხილება, უარყოფითი მაგალითი სასარგებლო ინფორმაციას ვერ მოიტანს, სამაგიეროდ, შეიძლება მოხდეს თავად მისი ფიქსაცია და საჭირო შინაარსის არასწორად დამახსოვრება (მოსწავლეს დამახსოვრებება უარყოფათი მაგალითი, როგორც დადგებითი). ეს ვითარება კი- დევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენ აუცილებელია, რომ მასწავ- ლებელი სასწავლო მასალას უყურებდეს იმ ასაკის ბავშვის თვა- ლით, ვისაც ასწავლის და არა საკუთარი გონებრივი აქტივობიდან გამომდინარე. კერძოდ, ფსიქოლოგიურად სრულიად გაუმართლე- ბელია უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მიერ დაშვებულ შეცდო- ბებზე დიდხანს შეჩერება და მათი დეტალური განხილვა. შეცდო- მა, როგორც უარყოფითი მაგალითი, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისათვის არავითარი ინფორმაციის მიმცემი არაა. ამიტომ იმის განხილვა, თუ რატომაა ეს შეცდომა, ბავშვს შესასწავლი მოვლენის გაგებაში ვერაფრით ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ შეცდომის ასე დეტალურად განხილვა ხელს უწყობს მის მტკიცე ფიქსაციას მეხ- სიერებაში. ამიტომაა, რომ მასწავლებელთა გასაოცრად ბავშვი სშირად სწორედ იმ შეცდომას იმეორებს, რომელზეც, როგორც იტყვიან „თავი ვახვლევინეთ“. სწავლების დაშვებით საფეხურებზე მიზანშეწონილია ბავშვების მხოლოდ ის ვუთხრათ, რომ შეცდომა და- უშვა და სწრაფად გადავიყვანოთ სწორ მოქმედებაზე. შეცდომის, როგორც უარყოფითი მაგალითის განხილვა სასარგებლოა უფრო მაღალ ასაკში, სადაც მოსწავლე უკვე ახერხებს აბსტრაქტული არ- სებითი ნიშნების წვდომას.

აზროვნებასთან ერთად, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის  
სასწავლო აქტივობაში დიდ როლს ასრულებს მეხსიერება, რომელიც  
ლის ბუნებრივი შესაძლებლობებიც ამ პერიოდში საკმაოდ ძლიერდებია  
რია. ბავშვი, როგორც ითქვა, ჯერ ისევ ემოციურად აღიქვამს, მო-  
ლენებს, ხოლო ემოციურად გახცდილი შთაბეჭდილებები მის მეხ-  
სიერებაში თითქმის დეტალური სიზუსტით აღიბეჭდება. ამას ემა-  
ტება დიდი ცნობისმოყვარეობა და სინამდვილის რეალისტური გან-  
ცდა. სკოლამდელებისაგან განსხვავებით, უმცროსელასელებს გამო-  
გონილსა და შეთხზულზე მეტად რეალობა აინტერესებთ. მათ სურთ  
მოვლენათა ნამდვილ მიზეზებში გაერკვნენ, რაც სწავლას, მისი სი-  
რთულეების მიუხედავად, მათვის მაინც საინტერესო პროცესად  
აქცევს. ბავშვი საქუთარი ძალებითაც ცდილობს ჩასწვდეს რეა-  
ლობის კანონებსა და კანონზომიერებებს და ბევრი მოვლენის მი-  
ბართ სრულად თავისებურ თვალსაზრისს იმუშავებს. ცხადია, ბავ-  
შვის გამოუცდელობისა და მისი აზროვნების ზემოთაღნიშნული  
თავისებურებების გამო, მისი შეხედულებები უმეტესწილად გუ-  
ლუბრუკილო ხსიათს ატარებს, რის გამოც ზოგი მკვლევარი, შე-  
საძლოა მართებულადაც, გულუბრუკილო რეალიზმს მიიჩნევს ამ  
ასაკის ბავშვების ცნობიერების არსებობის ძირითად ფორმად.<sup>18</sup>  
უკველივე ეს, ნებისმიერი მეხსიერების განვითარების კვალობაზე,  
უზრუნველყოფს ბავშვის მიერ დიდი მოცულობის ფაქტიური მასა-  
ლის დაგროვებას, რაც ამ პერიოდში სწავლის ძირითად ფუნქციას  
წარმოადგენს.

აქმდე საუბარი გვქონდა უმცროს სასკოლო ასაკზე საერთოდ.  
ამასთანავე, უფრო მეტად ყურადღება გამახვილებული იყო მის  
პირველ საფეხურზე. ახლა ზოგადად შევეხოთ ამ ასაკის მეორე სა-  
ფეხურის, ე. ი. გვიანი ბავშვობის, ზოგიერთ სპეციფიკურ თავისე-  
ბურებასაც.<sup>19</sup>

ბავშვობის დამამთავრებელ ეტაპზე, ბავშვი უკვე საკმაოდ მომ-  
ტლავრებულად გამოიყურება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკუ-  
რი თვალსაზრისით. ამ პერიოდში ფიზიკური ძალები უკვე ისე მოზ-  
ღვავებულია, რომ ბავშვი ყოველგვარ საქმიანობაში მაღალ ენერგი-  
ულობას ამჟღავნებს. გასათვალისწინებელია, რომ სწავლაში დასაქ-

<sup>18</sup> ი. С. Лейтес — Взрастные предпосылки умственных способностей, Журн. «Советская педагогика». 1974 г. № 1.

<sup>19</sup> დაწვრილებით ამ ასაკის თავისებურებებზე ი. ჩ. ჩხარტიშვილი — აღ-  
ზრდის სოციალური ფინანსობრივი, თბ., 1974

შებულია ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ძალების მხოლოდ ერთი ნაწილი. ამიტომ, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის, უცდელებულია იგი შრომით საქმიანობაშიც იყოს ჩართული და თამაშისათვის საჭირო ღროც დარჩეს. ამ ასაკის ბავშვებს ფიზიკური შრომისა და სპორტული თამაშებისადმი განსაკუთრებული მიღრეკილება აქვთ, რაც კარგად ეგუება მათი სხეულის ჰარმონიულ აგებულებას და მოძრაობათა დახვეწილობას.

ფსიქიკური უნარებიც ასევე ჰარმონიულადაა ჩამოყალიბებული. ბავშვი უკვე შეგუებულია მოსწავლის პოზიციას და ეს სოციალური როლი სინაზღვილესთან მისი დამოკიდებულების ძირითადი განმსაზღვრელია. ოვალსაჩინო და კონკრეტული აზროვნება ამ პერიოდში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს და უკვე აბსტრაქტული აზროვნების ჩისახვაც შეინიშნება, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს საკმაოდ რთულ ამოცანებს წარმატებით გაართვას თავი. სკოლაში სწავლის შედეგადაც მას უკვე საკმაო ცოდნა აქვს შეძენილი.

კარგად განვითარებული ფსიქო-ფიზიკური უნარები ამ ასაკში შერწყმულია ბავშვურ უდარდელობასთან. მოზარდი ჭერ ისეთივე ბავშვად ჩჩება, როგორიც სკოლაში შემოსვლის პირველ ხანებში იყო, რადგან უმცროსი სასკოლო ასაკი პირველული განვითარების თვალსაზრისით შედარებით მცირე ძვრებთანაა დაკავშირებული, ვიღრე ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით. ამიტომ, გვაანი ბავშვობის პერიოდში, სუბიექტი თავს თავს ჭერ ისევ ბავშვად განიცდის და სერიოზული ცხოვრებისეული პრობლემები არ აწუხებს. საკუთარი უდარდელობის გამო მას არც სხვების პრობლემათა შემჩნევა შეუძლია და ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არ აქვს თანაგრძნობის უნარი, რასაც აღზრდამ აუცილებლად ყურადღება უნდა მიაკციონოს.

განვითარებული ძალებისა და ბავშვური უდარდელობის შერწყმა ბავშვის ცხოვრებას ხდის მაქსიმალურად მხიარულსა და ჰარმონიულს. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდს სხვაგვარად ბედნიერი ბავშვობის პერიოდსაც უწოდებენ. მხიარული განწყობილება და განვითარებული ინტელექტი ბადებს გონიერად განვითარებასა და იუშორზე დიდ მოთხოვნილებას. ბავშვები ყველაფერში სასაცილოს ეძებენ და პოულობენ კიდევ. მათი იუმორი ვრცელდება ყველა-ფერზე და მათ შორის მასწავლებელზეც, რომლის ავტორიტეტსაც

ბავშვები ჯერ ისევ უყოფმანოდ აღიარებენ. მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით მასწავლებელსაც იუმორის თვალთ შეხედონ და მხრარული ლად გაერთონ მისი ქცევების იმიტირებით ან მისთვის ზედმეტი სახელების გამოძებნით (ამით გვიანი ბავშვობა თვალსაჩინოდ განსხვავდება საშუალო ბავშვობისაგან). მასწავლებელმა უნდა გაათვალისწინოს, რომ ბავშვების იუმორი თავისუფალია ყოველგვარი ბოროტი განზრახვისაგან და მასზე რეაგირებაც მხოლოდ საპასუხო იუმორი შეიძლება იყოს. ცხადია ყოველგვარი ირონიასა და სარკაზმის გარეშე. თუ მასწავლებელი მეტისმეტად ლიზიანდება ბავშვების ასეთი რეაქციებით და თავადაც იუმორის ნიჭათ არ გამოირჩევა, მაშინ მას მეტად გაუჭირდება მათთან მუშაობა, ხოლო ბავშვების იუმორი შესაძლოა მის დაცინვასა და დამცირებაშიც გადაიზარდოს.

ბავშვები, როგორც ითქვა, ჯერ ვერ ითვალისწინებენ სხვის სულიერ მდგომარეობას, ამიტომ მათი იუმორის ობიექტი შეიძლება გახდეს სხვა ადამიანთა (მასწავლებლის თუ თანატოლების) ისეთი ბუნებრივი ნაკლოვანებაც (მაგ. ფიზიკური არასრულყოფილება), რომლის გამოსწორებაც პიროვნების ნება არაა და მისთვის სატანგველს წარმოადგენს. მართალია ეს ხდება ბოროტი განზრახვის გარეშე, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვათა დაცინვისა და დამცარების მოთხოვნილებად. ამტომ, ასეთ შემთხვევებში კარგად მოფიქრებული საუბარი, რომელიც სხვის სულიერ მდგომარეობას დაანახვებს მოზარდს, ძალზე საჭირო და აუცილებელია მისი სწორად აღზრდისათვის.

მეთერთმეტე-მეთორმეტე წლიდან განვითარების ჰარმონიულობაც და უდარდელი განწყობილებაც თანდათანობით დარღვევას იწყებს. როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ განვითარებაში დგება პერიოდი, როდესაც თვალსაჩინოდ იცვლება სინამდვილესთან ბავშვის დამოკიდებულება და ეს ცვლილება იმდენად კარღინალურია, რომ თერთმეტი-თორმეტი წლის ასაკი ფაქტიურად ბავშვობის დასასრულს წარმოადგენს. ამის შემდეგ იწყება სრულიად ახალი ცოქა აღამიანის ცხოვრებაში.

### ‡. გარდამაგალი ასაკი

დაახლოებით 11-12 წლიდან მოზარდი ადამიანი, ბიოლოგიურ და ფსიქიკურ მომწოდებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქ-

ტორების გავლენით, სინამდვილის ისეთ მხარეებთან მოდის ურთი-  
ერთობაში, რომლებიც აქამდე მისთვის ან სრულიად შეუმჩნევებული  
იყო, ან მის ცხოვრებაში არსებით როლს არ თამაშობდა. ეს ამას  
ნიშნავს, რომ კიდევ ერთხელ არსებითად შეიცვალა მოზარდის ის-  
კობრივი გარემო და იგი განვითარების ახალ პერიოდში შევიდა,  
რომელსაც გარდამავალი ასაკი ეწოდება და რომელიც გოგონებთან  
დაახლოებით 11-დან 15 წლამდე, ვაჟებთან კი 12-დან 16 წლამდე  
გრძელდება. ესაა ადამიანის ფსიქო-ფიზიკური განვითარების სრუ-  
ლიად სპეციფიკური მონაკვეთი, როდესაც იგი თანდათანობით ტო-  
ნებს ბავშვობას და გადადის დიდობაში. სწორედ აქედან გამომდი-  
ნარეობს მის სახელწოდება („გარდამავალი“). ხშირად ამ ასაკს  
„გადატეხის“ ასაკსაც უწოდებენ, რადგან ბავშვობიდან დიდობაში  
გადასცლა საკმაოდ მკვეთრ და მოულოდნელ ცვლილებებთან არის  
დაკავშირებული. აღნიშნული პერიოდის კიდევ ერთი სახელწოდე-  
ბაა „კრიტიკული ასაკი“, რაშიც ის გარემოება იგულისხმება, რომ  
მოზარდის სხეულსა და სულში მიმღინარე გარდაქმნები მეტად  
რთული (კრიტიკული) პრობლემების წინაშე აყენებს სააღმზრდე-  
ლო გარემოს.

ასაკის ბეგრი სირთულე სათავეს ლებულობს სქესობრივი მომ.  
წიფების პროცესიდან, რომელიც ფაქტოურად ამ პერიოდში იწყე-  
ბა და მთავრდება. ამ თვალსაზრისით გარდამავალი ასაკი იყოფა ორ  
ქვეპერიოდად: 1) მომწიფებისწინარე, ანუ წინაპუბერტეტული ხანა  
(გოგონებთან 11-13; ვაჟებთან 12-14 წლები) და 2) მომწიფების  
ანუ პუბერტეტული ხანა (გოგონებთან 13-15; ვაჟებთან 14-16  
წლები). მაგრამ ეს ქვეპერიოდები, როგორც ჩვემოთ დავინახეთ.  
ერთობენ განსხვავდებიან არა მარტო ბიოლოგიური ნიშ-  
ნით, არამედ ფსიქოლოგიურადაც, როგორც ფსიქოლოგიური მომ-  
წიფების შედარებით ნეგატიური და პოზიტიური მონაკვეთები.  
ორივე ქვეპერიოდის საერთო თავისებურებას ჭი ის გარემოება  
ქმნის, რომ მოზარდი არც ბავშვია და არც ჩამოყალიბებული პი-  
როვნება. მისი გარდამავალი მდგომარეობა ქმნის ისეთ გაურკვევ-  
ლობას, რომ მოზარდსაც და მის სოციალურ გარემოსაც უაღრესად  
უძნებდება ურთიერთობის აღექვატური ფორმების მოძებნა. ამი-  
ტომ სქესობრივი მომწიფების სირთულეებს აქ ემოციურ-ნებელო-  
ბითი სფეროს და მთლიანად პიროვნების ჩამოყალიბების სირთუ-  
ლეებიც ემატება, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტელექტუალურ გან-

ვითარებაზე, რომელიც კიდევ ერთ საფუძველს ქმნის გარემოსათვის მოზარდის ახლებური ურთიერთობისათვის. განვითარების უსაქართველო რეები (ბიოლოგიურა, პიროვნული და ინტელექტუალური), მჭიდროდ არიან ერთი-მეორესთან დაკავშირებული და ძლიერ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, მაგრამ სამივეს მიმდინარეობის მეტნაკლებად საკუთარი გზა აქვს, რის გამოც ცალ-ცალკე უნდა დაგახასიათოთ.

სქესობრივი მომწიფება დაკავშირებულია სქესობრივი ჯირავლების ჰორმონაციასთან. ეს ჯირკვლები 11-12 წლის შეზღუდვას განიცემიან და მხოლოდ ამ პერიოდში იწყებენ სათანადო ჰორმონების გამოყოფას. სქესობრივად მომწიფებულ ინდივიდთან აღნაშნული ჯირკვლების ჰორმონაცია ორი მიმართულებით ხორციელდება. ერთია შინაგანი სეკრეცია, რომელიც ორგანიზმს ამზადებს სქესობრივირივი აქტივობისათვის და იწვევს სათანადო მოთხოვნილების აღძრას, ხოლო მეორეა გარეგანი სეკრეცია, რომელიც სქესობრივი აქტივობას მოსდევს და უზრუნველყოფს სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ბიოლოგიური მიზანდასახულობით გარეგანი სეკრეცია ემსახურება ორგანიზმის გამრავლებას. შინაგანი სეკრეციის ჰორმონები სქესობრივი ჯირკვლებიდან სისხლს გადაეცემა, ხოლო სისხლის მეშვეობით მოქმედებს მთელ ორგანიზმზე და განსაკუთრებით კი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

მომწიფების პირველ ფაზაში (წინაპუბერტეტში), სქესობრივი ჯირკვლები აქტიურობს მხოლოდ შინაგანი სეკრეციის მიმართულებით. სქესობრივი ჰორმონები, რომლებიც ამ პერიოდში სისხლში ხვდება, არსებითად სცვლის მის შემაღენლობას. როგორც ვიცით, ცოცხალი ორგანიზმის ყველა უჯრედი საკვებს სისხლისაგან ღებულობს. ამრიგად, მოზარდის თავის მიზანიზმი, გარდამავალი ასაკის დასაწყისში იწყებს სრულიად ახლებური საკვების მიღებას, რასაც ჯერ შეგუებული არაა. ამასთან დაკავშირებით ორგანიზმი ერთგვარ დაძაბულობასა და გადაღლას განიცდის, თავს იჩენს სახსრებისა და თავს ტკივილები, ერთგვარი მოღუნება, ტვინის ფუნქციანალურ შესაძლებლობათა დაქვეითება და ა. შ. ამ პროცესს ზოგჯერ ორგანიზმზე ალკოჰოლის ზემოქმედებასაც ადარებენ, როდესაც სისხლს ტვინში ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებები მიაქვს, რაც არსებითად ცვლის მის ფუნქციონარებას და აქედან გაძოშდითარე, პიროვნების ფიზიოლოგიურ მდგომარეობასაც.

მართლაც, გარდამავალი ასაკის დასაწყისში (I ფაზაში), მომავალი დი ღდნავ შემთვრალი ადამიანივათ გამოიყურება. მის სახელმოყოფული ნება ეტყობა და აღარ გააჩნია ისეთი ცოცხალი გამომეტყველება, როგორიც გვიანი ბავშვობის პერიოდში ჰქონდა. მოძრაობებიც დაუხევწავი და არაკორდინირებული ხდება, რაშიც, ტვინის გადატვირთვასთან ერთად, ორგანიზმის არათანაბარ ზრდასაც მიუძლვის თავისი წვლილი: გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან მოზარდი სწრაფად იწყებს საგრძეში მატებას, მაგრამ ძირითადად კიდურები ეზრდება, რის გამოც ცოტა სასაცილო „აწოწილ“ ფორმას ღებულობს. სახეზეც ჯერ ცხვირი, ნიკაპი და ყურები ეზრდება და ისე სიმპატიურად ვეღარ გამოიყურება, როგორც აქამდე იყო (და როგორიც გახდება გარდამავლობის პროცესების დამთავრებას შემდეგ). ყოველივე ამას ემატება ის გარემოება, რომ მოზარდის თითქმის მთელი ფიზიკური ენერგია სქესობრივი მომწიფების პროცესზე ახარჯება და მოზარდი ყოველ საქმეში აღვილად იღლება. ამიტომ, მოზარდების უმრავლესობასთან, განსაკუთრებით კი გოგონებთან, იქმნება მიღრეკილება სიზანტისა და უმოქმედობისაკენ.

ყოველივე იმას, რაც მის ორგანიზმში ხდება და რაც ასე ერთბაშად და მოულოდნელად ატყდება თავზე, მოზარდი შტკივნეულად განიცდის. მას უჭირს სქესობრივი პორმონებთან შეგუება, ემოციურად განიცდის ორგანიზმის არაპარმონიულ ზრდას და ა. შ. ამის გამო მოზარდი, რომლის ნერვული სისტემა, სქესობრივი პორმონების გაცლენით, ისედაც აღგზნებულ მდგომარეობაშია, ყველაფერზე ადვილად ღიზიანდება, განწყობილია სხვებთან, უმეტესად აღმზრდელებთან, ჩხებისა და კამათისათვის, უხეშად იქცევა ზოგჯერ რამე არსებითი შიზეზის გარეშე და ა. შ. აქედან გამომდინარე, გარდამავალი ასაკის I ფაზას ხშირად ნეგატიურ ფაზასაც უწოდებენ. ეს ფაზა მთავრდება გარეგანი სეკრეციის დადგომით, როდესაც იწყება პუბერტეტის ხანა და სქესობრივი პორმონების ორგანიზმშე გავლენით გამოწვეული დაძაბულობა შედარებით ნელდება. ორგანიზმიც თანდათან ეჩვევა სქესობრივი პორმონებს და ყალიბდება გარკვეული სქესის შესაბამისად, მეორადი სასქესო ნიშნების განვითარების შედეგად. ემოციებიც შედარებით მოწესრიგებული ხდება, რის გამოც გარდამავალი ასაკის მეორე ფაზას, პირველისაგან განსხვავებით, პოზიტიურ ფაზას უწოდებენ.

15-16 წლის ასაკში მოზარდის ორგანიზმი უკვე ჩამოყალიბებუ-



ლია საკუთარი სქესის შესაბამისად და მომწიფებულია სქესობრივი აქტივობისათვის. რაც შეეხება დიდობაში გადასვლის დანარჩენ მს-  
პექტებს და განსაკუთრებათ კი მოზარდის სოციალურ-პიროვნულ  
ჩამოყალიბებას, იგი მომდევნო პერიოდშიც (ცაბუკობაში) ინტენსი-  
ურად მიმდინარეობს და ბოლომდე დასრულებულ სახეს საქართველო  
მოგვიანებით ღებულობს.

გარდამავალ ასაკში არა მარტო მოზარდის, ორგანიზმი განიცდის  
კარდინალურ ცვლილებას, არამედ მთელი მისი პიროვნება გარდა-  
იქმნება. ისეთნაირად, როგორიც საჭიროა ამისათვის, რომ ბავშვის  
ჟსიქია მოზრდილი ადამიანის ფსიქიკითა და მსოფლგანცდით შე-  
ცვალოს.

მოზარდის პიროვნული გარდამავალობა გამოხატულებას პო-  
ულობს უპირველსად გარემომცველ ადამიანებთან ურთიერთობებ-  
ში, რომელიც ამ პერიოდში საკმაოდ რთული და დაძაბული ხდება. მოზარდი კარგად ხედავს, რომ უკვე ბავშვი აღარაა და ცდილობს  
თავი ისე დაჭიროს, ისე მოიქცეს, რომ ბავშვისაგან თვალსაჩინოდ  
განსხვავდებოდეს. ამსთანავე იგი იძულებულია იმ გარემობასაც  
გაუწიოს ანგარიში, რომ ჯერ ზრდასრული და ჩამოყალიბებული  
პიროვნება არაა. ამიტომ, მოზარდს ძალიან უჭირს ჭუვის ისეთ  
ფორმებს მავნეოს, როგორიც მისი ასაკისათვის ყველაზე უფრო  
ადექტატური იქნება. როდესაც მოზარდი საკუთარ თავს იმდენ უფ-  
ლებებს აძლევს, რაც მხოლოდ დამოუკიდებელი პიროვნებისათვის  
არის დასაშვები, იგი, სულ მცირე, შენიშვნას მაინც იმსახურებს,  
უარეს შემთხვევაში კი ამას უფროსთა მხრადან დაცინვა და მისი  
პიროვნების დამცირებაც შეიძლება მოკყვეს. ეს ვითარება იმაზე  
მეტყველებს, რომ უმეტესწილად ვერც აღმზრდელები ამყარებენ  
მოზარდთან ისეთ ურთიერთობას, რომელიც ასაკის შესაბამისი იქ-  
ნება: თუ მოზარდი მარტო იმას ხედავს, რომ ბავშვობა დატოვა,  
აღმზრდელები მხოლოდ იმას ხედავენ, რომ მისი ზრდა-განვითარე-  
ბა ჯერ ისევ გრძელდება და ამიტომ მისგან მხოლოდ ბავშვურ  
მორჩილებას მოითხოვენ. ეს ორმხრივი გაუგებრობაა იმ პედაგოგი-  
ური კონფლიქტების ძირითადი ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც  
ასე ხშირია სწორედ გარდამავალ ასაკში. ამიტომ, პედაგოგები,  
რომლებიც ასაკის თავისებურებებს კარგად იცნობენ, შედარებით  
ნაკლებ წინააღმდეგობებს აწყდებიან. როგორც მოზარდთა აღ-  
ზრდის, ასევე მათი სწავლების მიმართულებით.



პიროვნული განვითარების თვალსაზრისით უპირველეს ყოფილია  
სა ხაზი უნდა გაესვას მოზარდთან თავისუფლების, დამოუკიდებ-  
ლობის და სოციალური პრესტიჟის მოთხოვნილებათა განსაკუთრე-  
ბულ აქტუალიზაციას. ბავშვისათვის თავისუფლებას იმდენად აქვს  
მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საშუალებას აძლევს საკუთარი ფუნ-  
ქციონალური ტენდენციები დაუბრკოლებლად გამოავლნოს და სხვა  
მარტივი სურვილებიც სრულყოფილად დაიგმაყოფილოს. მისთვის გა-  
დამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს საკუთარ მოთხოვნილებათა დაკ-  
მაყოფილებას სხვების მეშვეობათ შესძლებს თუ დამოუკიდებლად  
მოახერხებს. სრულიად სხვაგვარია გარდამავალი ასაკის მოზარდის  
მდგომარეობა, რომელიც საკუთარ თავს უკვე პიროვნებად განიც-  
დის და უპირველეს მნიშვნელობას სწორედ არჩევანის დამოუკი-  
დებლობას ანიჭებს. ამას ეფუძნება გარდამავალი ასაკის კრიზისი,  
რომელსაც მეორე ჯიუტობასაც უწოდებენ. <sup>20</sup> ამასთანავე, თუ სკო-  
ლამდელ ასაკში, კრიზისი, ~~როგორც ენახეთ~~, ძირითადად კაპრიზო-  
ბის ნიშნით მიმდინარეობს, რადგან ბავშვისათვის სურვილთა უშუ-  
ალო ასრულებაა მთავარი, გარდამავლობის კრიზისი ძირითადად  
ჯიუტობის ნიშნითა აქცენტირებული, რადგან მოზარდისათვის  
მთავრია თავის ნებაზე მოქმედება, რითაც საკუთარ „მე“-ს დამო-  
უკიდებელ პიროვნებად განიცდის. აღზრდის ტაქტიკა, აღნიშნულ-  
თან დაკავშირებით, უნდა ემყარებოდეს ფსიქოლოგურ პრინციპს,  
რომელიც ყველაზე კარგად გამოითქმის ანდაზით: „ჩათრევას ჩა-  
ყოლა ჯობიაო“. მოზარდს უნდა მიეცეს დამოუკიდებლობა მისი  
ასაკისათვის შესაფერ და სოციალურად მისაღებ ფარგლებში, ხო-  
ლო სასტემატური პედაგოგიური ზემოქმედებით, მოზარდი თავად  
უნდა მივიღეს დასკვნამდე, რომ სრული თავისუფლება და დამო-  
უკიდებლობა მისთვის ჯერ ძალზე ნაადრევია.

ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ამ პერიოდში სწორედ ის აღ-  
მზრდელები აწყდებიან, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ ბავშვობა  
დამთავრდა და ცდილობენ მოზარდის დაბრუნებას პასიური მოს-  
მენისა და მორჩილების პირობებში. როცა ეს ვერ ხერხდება, ასე-  
თი აღმზრდელები ძირითადად სასჯელის ამა თუ იმ ორნისძიებები-  
თა და ნოტაციების კითხვით იფარგლებან, მაშინ, როდესაც კარ-  
გად მოფიქრებულ რჩევა-დარიგებას გაცილებით მეტი სარგებლო-

<sup>20</sup> პირველი კრიზისის და პირველი ჯიუტობა შესხებ ის „<sup>ზემოთ პარაგ-  
ავტო საკოლომდელი მატება 7777 ცოდნული საკუთარი ფრანგი 7777“ ში  
3363 გრა.</sup>

ბის მოტანა შეუძლია, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოზარდეს კონტაქტი  
ვად დარჩეს არჩევანის გაცეთების უფლება. ტაქტიან აღმზრდებულ  
წეუძლია სოციალურად მასალები ქცევა ისე მოახვიოს თავს მო-  
ზარდს, რომ ამ უკანასკნელმა სრული პიროვნული დამოუკიდებ-  
ლობა განიცადოს. ასევე აღმზრდელის უტაქტობაა ძირითადად იმის  
მიზეზი, რომ მოზარდი მიღის არა თანამშროლობის, არამედ ჯიუტი  
დაპარისპირების გზით.

სოციალური პრესტიუსის **21** მოთხოვნილებაც პირველად სწორედ  
კარდამავალ ასაკში ხდება აქტუალური. ბავშვს უშუალო მოთხოვ-  
ნილება აქვს უფროსთა მხრიდან ყურადღებასა და ემოციურ სით-  
ბოზე, ხოლო საკუთარი სოციალური პოზიცია ანუ პიროვნული  
ავტორიტეტი მისთვის მეორეხარისხოვანია. გარდამავალი ასაკის  
მოზარდი პირიქით, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამას, თუ  
რას ფიქრობენ მასზე სხვები და რამდენად აღიარებენ მის ღირსე-  
ბებს. ამასთანავე, თუ უმცროსკლასელებისათვის მთავარია მათზე  
უფროსების აზრი, გარდამავალ ასაკში მოზარდისათვის თანატო-  
ლების მოსაზრება ბევრად მნაშვნელოვანია. მოზარდები ქმნიან  
გარევეულ მცირე სოციალურ ჭგუფებს ძირითადად სქესობრივი  
ნიშნის მიხედვით (გოგონები გოგონებთან ამხანაგობენ, ვაჟები კი  
ვაჟებთან), სადაც ყველას გარკვეული სოციალური სტატუსი გააჩ-  
ნია.

პრესტიუსის მოთხოვნილება ასახვას პოვებს მოზარდის პრეტენ-  
ზიების დონეში, რომელიც ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის  
ლერძს წარმოადგენს. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი არის წე-  
სელულებათა სისტემა საკუთარ თავზე, კერძოდ საკუთარ სოცი-  
ალურ პოზიციაზე სხვების თვალში. არიან მაღალი (რომლებსაც სა-  
კუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ) და დაბალი  
(რომლებსაც საკუთარ თავზე რეალურზე ნაკლება წარმოდგენა  
აქვთ) პრეტენზიების დონის მქონე ადამიანები, რაც გარდამავალ  
ასაკში მიღებულ განცდებთანა ყველაზე მეტად დაკავშირებული.  
კერძოდ, სისტემატური და ხშირად სრულიად უსაფუძვლო გადა-  
მეტებული ქება იწვევს მოზარდის მაღალ პრეტენზიულობას და მი-  
სა პრესტიუსის მოთხოვნილება გადაიზრდება პატივმოყვარეობაში,

**21** თავისუფლების, დამოუკიდებლობის და პრესტიუსის მოთხოვნილებათა რო-  
ლის შესხებ გარდამავალი ასაკის მოზარდის ცხოვრებაში დაწერილებით  
ის. შ. ჩხარტოშვილი — აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.



სისტემატური დაბალი შეფასებები და მოზარდის ნაკლონურებაუზე ესაზღამა კი იწვევს დაბალ პრეტენზიების დონესა და პრესტიჟის გოთხოვნილების საფუძველზე ე. წ. „არასრულფასოვნების კომპლექსის“ განვითარებას. არც ერთი ეს შედეგი სასურველი არაა. ამიტომ აღმზრდელები უნდა მოერიდონ მოზარდის გლობალურ შეფასებას, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით.

მოზარდი დაზღვეული უნდა იყოს ყოველგვარი პიროვნული დამცირებისაგან, განსაკუთრებით თანატოლების თანდასწრებით. იგი უნდა გრძნობდეს, რომ მის პრესტიჟს იცვენ და მის პიროვნებას პატივს სცემენ მაშინაც კა, როდესაც შენიშვნებს აძლევენ. ამ შემთხვევაში მოზარდი თავადაც პატივისცემით განიმსჭვალება აღმზრდელის მიმართ და მის ჩეხევა-დარიგებასაც მეტი გულისყურით მოიძმეს.

მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს მისი სწრაფვა მაღალი იდეალებისაკენ. პირველად გარდამავალ ასაკ-ში ებადება მოზარდს ისეთი „ფილოსოფიური“ კითხვები, როგორიცაა საკითხი ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ. იგი იწყებს ფიქრს საკუთარ მომავალზე და ცდილობს გარკვიოს, თუ როგორი პიროვნება უნდა რომ გახდეს. ყოველივე ეს აღმზრდამ ძალზე ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში მოზარდის იდეალება ძირითადად კონკრეტული ხასიათისაა (მოზარდი აიდიალებს რომელიმე ოთხერატურულ ან ისტორიულ გმირს და სურს მას დაემსგავსოს; შესაძლოა ასეთი იდეალი იყოს ჩვეულებრივი რეალური პიროვნებაც, მაგალითად, მშობელი, მასწავლებელი და სხვა), ამასთანავე, მოზარდი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ფიზიკურ თვისებებზე (ვაჟები, მაგალითად, განსაკუთრებულ პატივს სცემენ მამაკაცის ფიზიკურ ძალას, მოქნილობას და სხვა „სპორტულ“ ღარსებებს). გარდამავალი ასაკის II საფეხურზე მოზარდი ფიზიკურ მონაცემებთან ერთად სათანადო ყურადღებას უთმობს ადამიანის სულიერ ღირსებებსაც (ჰქუა, პატიოსნება, განათლება, პატიო-ოტიზმი და სხვა). არის შემთხვევები, როდესაც მოზარდი იდეალის თავისებურ გაგებას აყალიბებს განზოგადოებული ფორმით (რაც ასტრაქტული აზროვნების განვითარების შედეგია), მაგრამ ეს

იდეალებისაკენ სწრაფვა მოზარდს უბიძებს თვითაღზრდისაკენ: ასა არ მოსწონს საკუთარი თავი და სურს, რომ დასძლიოს უარყო-  
ფითი თვისებები (მაგალითად, სიზარმაცე, უყურადღებობა, უხეშო-  
ბა და სხვა). ამ საქმეშაც სააღმზრდელო გარემოს მოზარდისათვის  
მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია: საჭიროა მოზარდი  
იმყოფებოდეს ისეთი პედაგოგიური კონტროლის პირობებში, რო-  
მელიც დაემყარება აღზრდის სწორ მეთოდოლოგიასა და ასაკის  
თვისებურებათა გათვალისწინებას.

აღნიშნული საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული მოზარდის  
ნებისყოფის განვითარებასთან, რადგან სწორედ ნებისყოფაა ის ძა-  
ლა, რომლის შეშვეობითაც ადამიანი საკუთარ თავს მართავს და სა-  
კუთარ ქცევას მომავლის ანტერესებს უქვემდებარებს. არის შეხე-  
დულება, რომ გარდამავალ ასაკშა ნებისყოფა წინსვლას არ განიც-  
ოის. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მო-  
ზარდი ნებისყოფის იმ შესაძლებლობებსაც კარგავს, რაც ბავშვო-  
ბის დასასრულისათვის შეიძინა. მართლაც, მოზარდის ქცევებზე  
დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი უფრო ხშირადაა სხვადასხვა ცდუ-  
ნებათა ტყვეობაში, ვიდრე უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლე.  
მას უფრო მეტად უჭირს აწყვი სიამოვნებებზე უარის თქმა და  
საჭირო საქმისათვას საკუთარი თავის განწყობა, ვიდრე ბავშვს. ეს  
ყოველივე მოზარდის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებსაც  
ცტყობა, რომელიც გარდამავალი ასაკის კულმინაციურ ეტაპზე  
(დაახლოებით VII-VIII კლასები) განსაკუთრებით დაბლა ეცემა.  
ვასათვალისწინებელია ისაც, რომ მოზარდის სხვადასხვა იდეალებზე  
უცნების მიუხედავად ხშირად ხელსაც ვერ ანძრევს იმისათვის, რომ  
დეალის განხორციელების რეალური საფუძველი შექმნას. ასეთი  
აკვირვებები აძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ გარდამავალ  
საკში მოზარდის ნებისყოფა დასუსტებასა და გადაგვარებას გა-  
იცდის.

ამ მოსაზრებას, სრულიად სამართლიანად, არ ეთანხშება ცნო-  
ილი ფსიქოლოგი შ. ჩხარტიშვილი. მას მიაჩნია, რომ ამ პერიოდში,

<sup>12</sup> ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. კ. კოვანაძე — იდეალების განვითარება  
გარდამავალ ასაკში, წიგნში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, II ნაწილი,  
რედ. შ. ჩხარტიშვილი, თბ., 1964 წ.

ნებისყოფა ისევე ვითარდება, როგორც ყველა სხვა ფსიქიული უნარი, რასაც გვიჩვენებს სწავლის ფართო სოციალურზორ ცია, რაც პირველად ამ ასაკში იღწევს საჭირო დონეს და აგრძევა მოზარდის სწრაფვა თვითაღზრდისაკენ, რომელზეც ზემოთაც შევჩერდით. ავტორმა, სათანადო ექსპერიმენტებით უჩვენა, რომ თავ-შეკავების უნარიც გარდამავალი ასაკის მოზარდებს უფრო ძლიერი აქვთ, ვადრე უცროსკლასელებს. რაც შეეხება იმპულსურ მოქმედებათა სიმრავლეს და ცდუნების ხშირ შემთხვევებს, რომელსაც ამ ასაკში ვაწყდებით, **შ. ჩხარტიშვილის** აზრით, „ამის მიზეზი არის არა ნებისყოფის დაქვეითება, არამედ იმპულსების სწრაფი აღმოჩინება, რაც ასაკის თავისებურებითაა შეპირობებული. გარდამავალ ხანაში ნებისყოფის განვითარების საქმე საკმაოდ სწრაფი ნაბიჯებათ მიღის წინ, მაგრამ შინაგანი იმპულსები (განსაკუთრებით ამ ასაკის პირველ ფაზაში), რომელნიც მაღალი მიზნების განხორციელების საქმეს ელობებიან წინ, უფრო შესამჩნევად მძლავრობენ, რის გამოც მათი დაქვემდებარება, ხშირად, იმაზე უფრო მტკიცე ნებისყოფას მოათხოვს, ვიდრე ეს მოზარდს აქვს“ **23**

გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან ასევებით ცვლილებებს განიცდის მოზარდის ემოციური ცხოვრებაც, რაც ერთის მხრივ სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებულა ახალი ემოციური ინტერესებისა და შესაბამისი განცდების აღმოცენებაში გამოიხატება, მე-იარეს მხრივ კი გრძნობებისა და ემოციების სრულიად თავისებურ მიშდანარეობაში, რაც ასაკის დანარჩენ თავისებურებებს უკავშირდება.

პირველ რიგში აღსანიშნავია მოზარდის აღვილი ემოციური აღგზნებადობა, ემოციური მდგომარეობის მძაფრი გამოხატვა სხვადასხვა რეაქციებით და ნეგატიური შინაარსის (ძირითადად აგრესიული) გრძნობათა სიჭარებე. გარდამავალ ასაკში თითქოს ერთბაშად ცეკვება ემოციათა მართვის ის უნარი, რომელსაც მოზარდმა უმცროსი სასკოლო ასაკის დამატავრებელ ეტაპზე მიაღწია, რის გამოც აგი მძაფრად გამოხატავს თავის ემოციებს მაშინაც კი, როდესაც ასეთი რამ თავადაც არასწორად მიაჩნია. ამ შემთხვევაში იგი ვერაფრით ვერ ახერხებს თავშეკავებას, აღმზრდელის სრულიად უბრალო და უმნიშვნელო შენიშვნაც კი, ზოგჯერ მოზარდის მძაფრ

**23** შ. ჩხარტიშვილი — აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974,  
გვ. 84.

ცმოციურ აფეთქებას იწვევს. კიდევ უარესა, თუ აღმზრდელებაში მოხარდის უკმაყოფილებას რეალური საფუძველი შეექმნება.

ემოციათა მიმდინარეობის ამ თავისებურებაში თავისი წვლილი შეაქვს მოხარდის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. კერძოდ, სქესობრავი ჰორმონების გავლენით ამაღლებულია ნერვული სისტემის აღზნებადობის დონე, რის გამოც ყოველგვარი გრძნობა აღვილად აღმოცენდება და გარეგნულად ვლინდება.<sup>24</sup> თავშეკავების სიძნელეც იმას უკავშირდება, რომ ნერვული სისტემის აღზნება სჭარბობს მისი შეკავების შესაძლებლობებს. მაგრამ გარდამავალი ასაკის მოხარდის ემოციათა მიმდინარეობას თავისებურებები მართო ფიზიოლოგიური ფაქტორით არ განისაზღვრება და მასში მნიშვნელოვან როლს მოხარდის საერთო პიროვნული განწყობაც ასრულებს. იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, საკუთარ თავს უკვე საკმაოდ მოზრდალ ადამიანად განიცდის და თავისუფლების, დამოუკიდებლობის, პრესტიუსის და სხვა სოციალურ მოთხოვნილებათა გავლენით, ისედაც განწყობილია აღზრდის პროცესთან დაპირისპირებისათვის.

აღმზრდელის მიერ სამართლიანობისა და ობიექტურობის ფაქტიად დაცვა და მოხარდის მიმართ ისეთი მომთხოვნელობის გატარება, რომელიც მის ღირსებებს არ შებლალავს, გარკვეულწილად არბილებს მოხარდის ნეგატიურ ემოციათა სიმძაფრეს. ასეთ სიტუაციებში კი, როდესაც მოხარდთან მაინც აღიძგრის ასეთი ემოციები, აღმზრდელის რეაქცია უნდა იყოს მისი აკადემიური ტაქტის მაჩვენებელი. სრულიად დაუშვებელია აღსაზრდელის ემოციაზე (მაგალითად სიბრაზის აფექტზე) ემოციითვე პასუხი. აღმზრდელის მოქმედებათა მართებულობას მხოლოდ მშვიდა და აკადემიური ტონი გაუსვამს ხაზს. არათუ პედაგოგიურ სიტუაციებში, არამედ მოზრდილ და კულტურული განვითარების საკმაოდ მაღალ ღონეზე მდგომ ადამიანთა ურთიერთობაშიც არს მომენტები, როდესაც უმჯობესია პიროვნებას ვაცალოთ მოზღვავებული ემოციებსაგან დაცლა, რათა შემდეგ საკითხი უფრო საღად და ობიექტურად გავარჩიოთ.

<sup>24</sup> აქც შეიძლება მოვიყვანოთ ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის გავლენის ანალოგია: აღვილი შესამჩნევია, რომ მთვრალი ადამიანი გაცილებით აღვილად ეძლევა ემოციებს და თავისუფლად აგლენს მათ, ვიღრე ფხიზელი.

გარდამავალი ასაკის მოზარდის ემოციური ცხოვრების თვისებ-  
ბურებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ემოციური გუნება-განწყობი-  
ლების განწყვეტილი ცვალებადობა. მხიარული, რეტირესტრა-  
ქანწყობილება ერთბაშად შეიძლება შეიცვალოს უმედო, პესიმის-  
ტური განწყობილებათ. ამიტომ, გარდამავალ ასაკში, ხშირია შემ-  
თხვევები, როდესაც მოზარდი მიიღებს რაიმეს გაკეთების მტკიცე  
გადაწყვეტილებას და ხალისიანად შეუდგება საქმეს, მაგრამ მალე  
დაკარგვას მის ინტერესს და შუა გზაზე მიატოვებს. საერთოდ, ამ  
პერიოდში, დაღებითი შინაარსის სასიამოვნო ემოციებს მაინც უარ-  
ყოფითი შინაარსის არასასიამოვნო ემოციები სჭარბობს, რაც იმ  
ხშირი წარუმატებლობების შედეგია, რომელსაც მოზარდი ასაკის  
სიძნელების გამო განიცდის (გარეგნული სიმპატიურობისა და  
აღნავობის ჰარმონიულობის დარღვევა, ფიზიკური ენერგიის დაქვე-  
ითება, აკადემიური ჩამორჩენა, ურთიერთობის სიძნელეები უფრო-  
სებთან და თანატოლებთან და ა. შ.).

ცალკე უნდა შევჩერდეთ იმ ემოციურ განცდებზე, რომლებაც  
სათავეს უშუალოდ სქესობრივი მომწიფების პროცესიდან ღებუ-  
ლობენ. ამ განცდებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია სქესობრივი  
სიყვარულის ემოცია. როგორც სათანადო გმოკვლევებით დადგინ-  
და, არცერთი სხვა გრძნობა არა ისე დამახასიათებელი გარდამავა-  
ლი ასაკის მოზარდებისათვის, როგორც სიყვარულის გრძნობა. ხში-  
რად ამ გრძნობას კონკრეტული მისამართიც აქვს (მოზარდი შეყვა-  
ჩებულია საწინააღმდეგო სქესის რომელიმე თანატოლზე ან სხვა  
ნაცნობზე), მაგრამ უმეტესწილად იგი სიყვარულზე ზოგადი მოთ-  
ხოვნილების სახით ვლინდება. არის ორმხრივი სიყვარულის შემ-  
თხვევებიც, მაგრამ ასეთი რამ ამ ასაკის დამახასიათებელ მოვლე-  
ნას არ წარმოადგენს.

სქესობრივი სიყვარული, თავისი განვითარებული ფორმით,  
წარმოადგენს საწინააღმდეგო სქესის გარკვეული პიროვნების სუ-  
ლიერი და სხეულებრივი ლირსებებით მოხიბვლასა და აღტაცებას  
და მასთან სხეულებრივი და სულიერი ერთობისაკენ მასწრაფებას.

გარდამავალი ასაკის მოზარდს აღამიანის ნამდვილ ლირსებათა  
შეფასება ჯერ კიდევ არ შეუძლია. იგი თავად ქმნის წარმოდგენას  
საკუთარი სიყვარულის ობიექტზე და ფაქტიურად საკუთარი ფან-  
ტაზიის ნაყოფი უყვარს და არა მართლაც კონკრეტული პიროვნება. ამით აიხსნება გარდამავალი ასაკის მოზარდის სასიყვარულო გატა-



ცეტათა ხშირი ცვალებადობა: იშვიათია შემთხვევება, როდესაც კუჭარეთება  
დამავალი ასაკის გატაცება მოზარდს ბოლომდე გაჰყვება, და მოძ-  
ლევნო პერიოდებში არ შეეცვლება. ამასთანავე, მოზარდი სიყვა-  
რულს განიცდის ძირითადად სულიერი, შეიძლება ითქვას, წმინდა  
ესთეტიკური ფორმით, რომელიც თითქმის სრულიად თავისუფა-  
ლია ხორციელ ვნებისაგან. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ გარდა-  
მავალი ასაკის მოზარდისათვის სიყვარულის სრულყოფილი ფორმა  
ჯერ მიუწვდომელია. მისი გატაცება შეიძლება დახასიათდეს, რო-  
გორც შეყვარებულობის გარკვეული სახე, რომელიც გართალია  
დიდი ინტენსივობით გამოიჩინა, მაგრამ მოკლებულია სილრმესა  
და სერიოზულობას. ამასთანავე, მოზარდისათვის დამახასიათებელი  
შორიდებულობის გამო, ეს გრძნობა უმეტესწილად გაუმხელელი  
რჩება და ცალმხრივ ხასიათს ატარებს.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ სიყვარულით გარდამავალი ასა-  
კის მოზარდის გატაცება მოკლებულია მნიშვნელობას და მხოლოდ  
შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს. სიყვარულის ემოცია ამ პე-  
რიოდში სრულიად გარკვეულ განმავითარებელ ფუნქციას ასრუ-  
ლებს. იგი არის ის ძირითადი ფაქტორიც, რომელსაც მოზარდი  
ბავშვობიდან გამოჰყავს და ბავშვობის დამთავრების უპირველესი  
მაჩვენებელიც. ამიტომ, ამ ემოციაზე მოთხოვნილების განუვათა-  
რებლობა ისეთივე არანორმალური მოვლენაა, როგორც სქესობ-  
რივი მოუმწიფებლობა.

სიყვარულის ემოციასთან დაკავშირებით ისახება მოზარდის ში-  
ნაგანა ინტიმური სამყარო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს  
პიროვნების ჩმოყალიბებისათვის. გარდამავალი ასაკიდან მოზარდი  
აღარაა ისე თავისუფალი და გულლია, როგორიც ბავშვობისას იყო.  
ახლა იგი პირისპირ რჩება თავის პრობლემებთან და საკუთარ ემო-  
ციურ განცდებს მხოლოდ დღიურების, ლექსების და სხვა ამგვარი  
ფორმით გამოხატავს. მოზარდი ძალზე ერიდება საკუთარი განცდე-  
ბის სხვებისათვის გაზიარებას და აღმზრდელებიც ტაქტიკად უნდა  
მოერიდონ მის სულში ხელების ფათურს.

მომწიფების პროცესის გავლენით მოზარდთან აღიძვრის სქე-  
სობრავი ინტერესი და შესაბამისი მოთხოვნილებაც, რომელიც გან-  
აკუთრებით ინტენსიური ხდება გარდამავალი ასაკის მეორე ფაზი-  
დან. თავიდან, როგორც ვნახეთ, ეს მოთხოვნილება ნაკლებადაა და-  
ავშირებული სიყვარულის ემოციასთან და მის მიმღინარეობაში

**25** რამდენადმე შენიღბულად მონაწილეობს. ამ ორი სწრაფვის ხილი ყვარულის ემოცია და სქესობრივი მოთხოვნილება) პატიონის ულტრა გამთლაანება მხოლოდ ჭაბუკობის პერიოდში ხერხდება. სარატონი შექმნა და გადამავალი ასაკის მოზარდის სქესობრივ მისწრაფებებს, იგი ურცელდება საწინააღმდეგო სქესზე მთლიანად. ეს თავისებურება უფრო მეტად ვაჟებისათვისაა დამახასიათებელი, რომლებიც არა მარტო თანატოლ გოგონებს, არამედ უფროსი ასაკის ქალიშვალებსა და ქალებსაც პირველ რიგში სქესობრივი მოთხოვნილების თვალსაწიერიდან აღიქვამენ. აღზრდამ ეს გარემოებაც მხედველობაში უნდა მიიღოს და მოზარდი მოარიდოს ასეთ სიტუაციებს, რომლებშიც სრულად ბუნებრივი სქესობრივი მოთხოვნილება არა-ჯანსაღ ინტერესებსა და ფანტაზიებში გადაიზრდება.

საწინააღმდეგო სქესით დაინტერესება და საყვარულის ემოცია, არის საკუთარი თავით მოზარდის დაინტერესების ერთერთი ძირი-თადი მიზეზი. მოზარდი ცდილობს სხვისა თვალით შეხედოს საყუ-თარ თავს და როგორც ვნახეთ იმუშავებს ფსიქოლოგიურ ავტო-პორტრეტს. ამასთანავე, მიისწრაფვის იქთქენ, რომ რაც შეიძლება მოაწესრივოს და გააუკეთესოს საკუთარი პიროვნება.

გარდამავალ ასაკში მნაშვნელოვანი ძვრები ხდება მოზარდის ინტელექტუალურ განვითარებაშიც. მართალია მკვლევართა უმრავ-ლესობა მიიჩნევს, რომ ეს ასაკი ძირითადად პიროვნების ჩამოყა-ლიბების პერიოდია, მაგრამ მოზარდის გონებრავი აქტივობაც ისეთ პროცესუალურ და სტრუქტურულ ცდილებებს განიცდის, რომელ-თა გაუთვალისწინებლობაც არაფრით არ შეიძლება. თვალსაჩინო კონკრეტული აზროვნება, რომელიც წამყვან როლს ასრულებს უმ-ცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის გონებრივ საქმიანობაში, ბავშვო-ბის დასასრულისათვის თავისი განვითარების უმაღლეს დონეს აღ-წევს. აქვე ისახება საგანთა ისეთი თვისებების წვდომის უნარი, რომლებიც თვალსაჩინო დაკვირვებისათვის მიუწვდომელია და მხოლოდ აზროვნების ლოგიკური ფორმებით (ცნებებით, მსჯელო-ბებით, დასკვნებით) ხდება გასაგები. ამრიგად, გარდამავალი ასა-კის დასაწყისიდან, მოზარდი თანდათანობით გადადის აბსტრაქტულ

**25** სიყვარულის ობიექტის მიმართ მოზარდი ცხად სქესობრივ მისწრაფებას არ განიცდის, მაგრამ ეს მისწრაფება სიყვარულის ემოციაში როგორლაც მაინც რომ მონაწილეობს, ამას ვვიჩევნებს მოზარდის ეჭვიანობა, როცა მისი სიყვარულის ობიექტის მიმართ სხვაც ანალოგიური გრძნობით გა-ნიმსჭვალება.



აზროვნებაზე. ამის შესაბამისად იცვლება სწავლების ფორმა ურთიერთების შინაარსიც. თუ ქამდე სწავლება ძირითადად მოსწავლის თვალსაჩინო წარმოდენებზე იყო ორიენტირებული, ახლა იგი აქცენტს აზროვნების ლოგიკურ ფორმებზე აკეთებს და მიზნად ისახავს მოზარდს ნამდვილი მეცნიერული ცნებები შესწავლოს.

ცხადია, არც ეს ცვლილებები ხორციელდება უმტკივნეულოდ. კერძოდ გარდამავალი ასაკის დასაწყისში, მოზარდთა უმრავლესობასთან იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მათი სასწავლო აქტიურია თვალსაჩინო ხატოვან აზროვნებას ვეღარ ემყარება, რადგან სწავლების შინაარსი უკვე საგანთა ზოგადი არაოვალსაჩინო ნიშნების წვდომას მოითხოვს, საამისოდ კი, კერ აბსტრაქტული აზროვნებაც არაა სათანადო განვითარებული. სწორედ ამას უკავშარდება პედაგოგებისათვის კარგად ნაცნობი მოვლენა, გარდამავალ ასაკში სასწავლო მასალის გაგების უნარის ერთგვარი შეფერხების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ასაკის იმ თავასებურებებს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ (განსაკუთრებით ეს ეხება მოზარდის ენერგიის დაქვეითებას და ადგილ დაღლადობას, ნეგატიურ ემოციათა სიჭარებს, ახალი ანტერესებისა და მოთხოვნილებების მოზღვავებას და სხვა), მათთან ურთიერთქმედებაზი, ინტელექტუალური გარდამავლობის აღნიშნული სირთულე არის იმის ძირითადი მაზეზი, რომ გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან, მოსწავლეთა დიდ ნაწილი, რომელიც აქამდე მეტ-ნაკლებად ხეირიანად სწავლობდა, ამოვარდება ხოლმე სასწავლო აქტივობის ნორმალური მიმღინარეობიდან და ემატება ჩამორჩენილთა რაგებს. იმ მოსწავლეთა ერთი ნაწილი კი, რომლებიც მაინც იჩენენ სათანადო სიბეჭითეს, იძულებულია სასწავლო მასალის მექანიკური დაზებირებით გავიდეს ფონს, რადგან ვერ ახერხებს გაგებას სირთულეთა დაძლევას. სწავლების ორგანიზაციამ ეს გარემოება აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს. განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობაა მასწავლებელზე, რომელსაც მოეთხოვება შესასწავლი შინაარსების ისეთი ფორმით მიწოდება, რომელიც მოერგება ყოველი მოსწავლის აზროვნების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. თუ მოხერხდება, რომ მოზარდი აღნიშნული სირთულის გამო სასწავლო საქმიანობას არ ჩამოშორდეს, გარდამავალი ასაკის მეორე ფაზიდან აბსტრაქტული აზროვნება იმდენ ძალას მოიკრებს, რომ შესასწავლა შინაარსების გაგების ამოცანა შედარებით ძალდაუტანებლად დაძლიოს.

აბსტრაქტული აზროვნების განვითარება, ასაკის სხვა ტენდენ-  
ციებთან ერთად, მოზარდს უბიძგებს დამოუკიდებელ შეფასებასაკენ. ეს ამ ასაკის ერთ-  
ერთი ძირითადი მახსინათებელია, რითაც იგი არსებითად განსხვავ-  
დება უმცროსი სასკოლო ასაკისაგან, როდესაც ბავშვი უკრიტაკოდ  
ეკიდება უფროსთა აზრებს და განსაკუთრებით კი იმ დებულებებს,  
რომლებიც სწავლების ფორმით ეძლევა.

ბავშვისაგან განსხვავებით, გარდამავალი ასაკის მოზარდი კარ-  
გად ხედავს, რომ მასწავლებელიც ჩვეულებრივა ადამიანია და  
სრულიადაც არაა დაზღვეული შეცდომებისაგან. მოზარდები დიდ  
ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენად კომპეტენტურია მასწავ-  
ლებელი თავის საქმიანობაში და მასწავლებლის ავტორიტეტიც ძი-  
რითადად მას ცოდნასა და მოსწავლებით სამართლიან ურთიერ-  
ოობებზეა დამოკიდებული: მოზარდები აფასებენ იმ მასწავლებ-  
ლებს, რომლებიც საკუთარი ერუდიციის წყალობით ახერხებენ  
მოსწავლეებს საპროგრამო მასალასთან ერთად დამატებითი ინფორ-  
მაციაც მიაწოდონ და ამასთანავე გამოირჩევიან სამართლიანი მომ-  
თხოვნელობით.

მოზარდი განიცდის ინტელექტუალურა ძალების მოზღვავებას  
და ხშირად თავს უფლებას აძლევს საკუთარი მოსაზრებები და  
კრიტიკული შეფასებები ხმამაღლა გამოთქვას. ცხადია, მოზარდის  
დამოუკიდებელი აზრები ჯერ კიდევ ვერაა სათანადოდ მომწიფე-  
ბულა და არგუმენტირებული, მაგრამ აღმზრდელთა მიერ მათი  
უყურადღებოდ დატოვება მნიშვნელოვან პედაგოგიურ შეცდომას  
წარმოადგენს. დამოუკიდებელი და კრიტიკული აზრი, როგორ უსუ-  
სურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი, პირველ რიგში მოწონე-  
ბასა და დაფასებას იმსახურებს. მასწავლებელმა მასში, პირველ  
რიგში, რაიმე რაციონალური მარცვალი უნდა იპოვნოს, რომლის  
გამოც მოზარდს შეაქებს და წაახალისებს, ხოლო შემდეგ, სათანა-  
დო არგუმენტებით, ამ მოსაზრების სუსტ მხარეებსაც დაანახვებს,  
მხოლოდ ისე, რომ მოზარდის პიროვნებას, მის თავმოყვარეობას,  
რაიმე ჩრდილი არ მიადგეს. მოლოდ ასეთ პირობებში განუვითარ-  
დება მოზარდს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების  
უნარი, რაც სწავლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

აზროვნება ადამიანის შემეცნებით საქმიანობაში, როგორც არა-  
ერთგზის აღვნიშნეთ, ცენტრალურ როლს ასრულებს. დანარჩენი

შემეცნებითი პროცესები ძარითადად მას ეხმარებიან და მისურთათებული გისებურებებით განვითარებიან. ამდენად, აზროვნების იმ თვისებურებათა განვითარება, რომელზეც ვისაუბრეთ, მძაფრ გავლენას ახდენს აღქმისა და დამკვირვებლობის, აქტიური წარმოსახვის, მეხსიერების ლოგიკური ფორმების და სხვა პროცესების განვითარებაზე. გარდამავალი ასაკის დასასრულს მოზარდის გონიეროვი განვითარება აღწევს ისეთ დონეს, რომ სუბიექტი ამ თვალსაზრისით, საზოგადოების მეტ-ნაკლებად სრულფასოვან წევრად ჩაითვალოს.

საერთოდ, 15-16 წლის ასაკში მოზარდი როგორც ბიოლოგიურად, ასევე ფსიქოლოგიურად, დიდობასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ბავშვობასთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძარითადად გარდამავლობა დასრულდა და ზრდა-განვითარების პროცესში დამამთავრებელ ეტაპს მიაღწია.

#### 4. ჭაბუკობის ასაკი

ადამიანის ასაკობრივი განვითარების დამამთავრებელ საფეხურს ჭაბუკობის პერიოდი წარმოადგენს. იგი გოგონებთან დაახლოებით 15-დან 20 წლამდე გრძელდება, ვაჟებთან კი 16-დან 21 წლამდე. ახალგაზრდა ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბება, რა, თქმა უნდა, ერთხანს ამის შემდეგაც გრძელდება, მაგრამ ძირითადად 20-21 წელია მოზარდობასა და ზრდასრულობას (მოწიფებულობას) შორის ის, მიწნა, რომლის შემდეგაც ფიზიკური თუ ფსიქიური ძალები თვისობრივ მატებას აღარ განიცდის და პიროვნებასაც სრული მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე, როგორც მის დამოკიდებელ და სრულფასოვან წევრს.

ჭაბუკობის დასაწყისი რამდენადმე ემსგავსება გარდამავალი ასაკის პირველ ფაზას, საერთო ნერვული აგზენებადობის მომატებით და ემოციური დაძაბულობებით, რასაც მომწიფების შემდგომი იღზნების ფაზას და ახალგაზრდობის კრიზისს უწოდებენ, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება და ძალზე მაღე დგება სიცოცხლის ხალისით აღსავსე ნამდვილი ჭაბუკობა. აღნაშნული კრიზისი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფსიქოლოგიური საზღვარი მოზარდობის ორ მონაცემთს (გარდამავლობასა და ჭაბუკობას) შორის. იგი ერთგამას მოზარდის ინტერესთა სფეროს მნიშვნელოვან გაფართოებას, რომელიც მოიცავს ფართო სოციალურ მოვლენებს და თვალსაჩინოდ სცდება სკოლისა და მოსწავლეობის საზღვრებს.

სწორედ ასაკობრივი გარეშოს ასეთი შეცვლაა ის ფაქტორი, რომელიც გვაიძულებს ბავშვობიდან დიდობაშა გადასვლის ვრცელდებოდა ნა ორ ასაკობრივ პერიოდად, გარდამავალ და ჭაბუკობის ასაკებად, გადა.

ამ პერიოდში განვითარება დასრულებას განიცდის ყველა ასპექტით. **ფიზიკური** განვითარების თვალსაზრისით აღსანიშნავია სხეულის აგებულობის პარმონულობის აღდგენა. 18-19 წლის ასაკში ჭაბუკი ქალ-ვაჟები თავიანთი სქესისათვის დამახასიათებელ აღნა-გობას ღებულობენ. სახეც პარმონიული და გამომეტყველი ხდება, მოძრაობები კი დახვეწილი და კოორდინირებული. აღნიშნული პერიოდის შუა ხანებში ყველა ორგანო ასწრებს ზრდის დამთავრებას და ღებულობს მოცემული ინდივიდისათვის ბუნებრივად განსაზღვრულ მდგომარეობას. ფიზიკური განვითარება (მაგ. სიმაღლეში მატება, ძალ-ლონის მომძლავრება, გარეგნობის ცვლილება), ერთ-ხანს ამის შემდეგად გრძელდება, მაგრამ ეს შედარებით ნელი და შეუმჩნეველი პროცესია.

გრძელდება მოზარდის **ინტელექტუალური** განვითარებაც. აზროვნება და სხვა შემცნებითი პროცესები, როგორც ვნახეთ, ძირითადად წინა ასაკში აღწევენ თავის მაღალ ფორმებს (უკვე გარდამავალ ასაკში ვითარდება ლოგიკური აზროვნება, აქტიური მეხსიერება, ნებისმიერი ყურადღება, აქტიური წარმოსახვა და ა. შ.), მაგრამ ჭაბუკობის ასაკში შემცნების ეს მაღალი ფორმები კვლავ ანტენსიურად ძლიერდებიან და სრულიქმნებიან. ინტელექტუალურად ასაკის შესაბამისად განვითარებული ჭაბუკი ქალ-ვაჟების შემცნებითი აქტივობა, უკვე ნამდვილ მეცნიერულ-პრობლემატურ დონეს აღწევს, რაც საშუალებას გვაძლევს საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასებას და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, ცალკეულ სასწავლო დისციპლინათა კონკრეტული მეცნიერული კანონზომიერებების შესწავლიდან, ამ მეცნიერებათა თეორიული საფუძვლების შესწავლაზე გადავიყვანოთ. სწორედ ჭაბუკობის ასაკში ხდება სასწავლო საგნასაღმი ინტერესის გადაზრდა მოცემული მეცნიერებისაღმი ინტერესში.

გარდამავალ ასაკში, როგორც დავინახეთ, ინტენსიურად მიმდინარეობს ცნებათა დაუფლების პროცესი. მოზარდის ასტრაქტული აზროვნება საშუალებას აძლევა ნაწვდომი იქნას ცნების არსებითი რიზნები, რომლებიც უმეტესწილად არათვალსაჩინოა და გრძნობა-

დი აღქმისათვის მიუწვდომელია. ჭაბუკობის პერიოდში ცნებითობა აზროვნების სრულყოფა გრძელდება მსჯელობისა და დასკვნითი აზროვნების აღმავლობის წყალობით, ჭაბუკთა შემეცნებითი აქტი-ვობა გაცილებით ორგანიზებული, თანმიმდევრული და საფუძვლი-ანი ხდება, ვიდრე იყო გარდამავალ ასაკში. ამას გადამწყვეტი მნა-შვნელობა აქვს ისეთ მოვლენათა გაგებისათვის, რომლებიც უშუ-ალო დავვირვებისათვის მიუწვდომელია და რომლებზეც მხოლოდ დასკვნის გზით შეიძლება ვიმსჯელოთ.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ჭაბუკის დამოუკიდებელი და კრიტიკული მოსაზრებებიც შედარებით კარგადაა არგუმენტირე-ბული და ხშირად ნამდვილ შემოქმედებით ხასიათსაც ატარებს. ჭა-ბუკობის დასასრულისათვის შემეცნებითი აქტივობა ფაქტიურად აღწევს იმ დონეს (სიღრმეს), რომელიც მოცემული ინდივიდის ბუ-ნებრივი შესაძლებლობებითაა განსაზღვრული.

ფიზიური და გონებრივი განვითარებას სრულყოფა თავისე-ბურად აისახება იმ ოვისობრივ გარდაქმნებში, რომლებსაც პიროვ-ნების ჩამოყალიბების მიმართულებით აქვს აღვილი. ამ ოვალსაზ-რისით, პირველ რიგში აღსანიშნავია მსოფლმხედველობის ფორმი-რება, რომლის სტრუქტურაც, ძირითად ხაზებში, სწორედ ჭაბუკო-ბის პერიოდში იყვეთება. მსოფლმხედველობა არის აღამიანის შეხე-დულებათა სისტემა სამყაროზე და ამ სამყაროში აღამიანის ცხოვ-რებაზე. ცნობილია, რომ არსებობს სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემები, როგორც განსხვავებული მსოფლმხედველობები. კონ-კრეტული ინდივიდი შეიძლება იცნობდეს ზოგიერთ მათგანს და ეთანხმებოდეს ან არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალ-საზრისით ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ყოველ აღამიანს, მისი განათლების, ინტელექტუალური შესაძლებ-ლობების, ცხოვრებისეული გამოცდილების და სხვა ფაქტორების შესაბამისად, თავისებური მსოფლმხედველობა უნვითარდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველას თავისი ფილოსოფია აქვს.

მსოფლმხედველობა, გამოცდილებისა და ცოდნის ცვალებადობის შესაბამისად, აღამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში იცვლე-ბა, მაგრამ მისი ძირითადი ჩონჩხი, მისი გენერალური მიმართულება სწორედ ჭაბუკობის ასაკშა ყალიბდება. შემდგომდროინდელი ცვლი-ლებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეიძლება თამამად თქვეს,



ადამიანი თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში იმ მსოფლმხედულ დევლობის მატარებლად რჩება, რომელიც ახალგაზრდობაში ჩატარებულია დღის 26

ჭაბუკობის ასაკში მსოფლმხედველობის ინტენსიური განვითაბა, გარკვეულწილად. ასტრიაქტული აზროვნების მაღალ დონესა და ამის შესაბამისად, სწავლებაში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებს ლ. ბო-უკონი, ეს გარეგანი ფაქტორი ვერ გამოიწვევდა ესოდენ ღრმა პი-როვნულ მოვლენას, მას რომ ჭაბუკის შინაგანი მისწრაფებებიც არ შეესაბამებოდეს. სამყაროს შემეცნებისაკენ ადამიანი ბავშვობის ადრეული ასაკებიდანვეა მიმართული, მაგრამ ეს ვითარება ბავშვებთან მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფს. ლ. ბოუკონის აზრით, ჭაბუკებს ფილოსოფიურად განაწყობს შინაგანი მისწრაფება, იპოვნონ ცხოვრებაში თავისი ადგილი, გაარკვიონ გარესინამდვილესთან თავისი დამოკიდებულება. 27 ეს მასწრაფება ჯერ კიდევ წინა ასაკში იჩენს თავს და როგორც დავინახეთ, საფუძვლად ედება ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ფორმირებას. ეს უკანასკნელიც ჭაბუკობის ასაკში აღწევს განვითარების სრულყოფილ დონეს და მსოფლმხედველობის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ამრიგად მსოფლმხედველობა გადამზყვატ გვლენას ახდენს მოზარდის თვითგანსაზღვრაზე და ამ უკანასკნელითაა სტიმულირებული.

სწორედ თვითგანსაზღვრასთან დაკავშირებული სირთულეები ედება საფუძვლად იმ კრიზისს, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ, როგორც ჭაბუკობის დადგომის მაუწყებელი მოვლენა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჭაბუკობის დასაწყისის კრიზისი, თუმცა გარეგნულად გარდამავლობის I ფაზის კრიზისს მოგვაგონებს, თავისი შინაგანი ორიენტაციით მისებან არსებითად განსხვავდება: გარდამავალი ასაკის მოზარდის ნეგატივიზმი (ნერვული აგზებადობა, სიბრა-

26 ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება ცნობილი სოციალური მოვლენა, როდესაც ადამიანები ერთბაშად იცდილინ მსოფლმხედველობრივ პოზიციის (მაგალითად, ჩვენს დღეებში და ჩვენს თვალწინ, „იდეულ“ კომუნისტათებისტთა მთელი არმია ერთბაშად სათნო მოზრდუნექრისტიანთა საძმოდ გარდამენა), რადგან ესაა ისტორიული მოვლენებით გამოწვეული ჩვეულებრივი კონიუნქტურა, რასაც ჭაბუკიტ მსოფლმხედველობასთან საერთო არაფერი აქვთ.

27 Л. И. Божович — Личность и ее формирование в детском возрасте, М., 1963 г.

ზე, ჭიუტობა და სხვა) უფრო მეტად გარემოსაცენ (ძირითადად აღ-  
შზრდელებისაცენ) არის მიმართული, ჭაბუკობის კრიზისს ეს ძირითად  
თადად აუტისტური ხასიათი ქვეს (ე. ი. ჭაბუკას პრეტენზიები უმე-  
ტესწილად საკუთარ თავზეა მიმართული) და თავისებური თვითგვე-  
მის პროცესს წარმოადგენს. თვითგანსაზღვრის ძირითად სირთულეთა  
დაძლევისა და მსოფლმხედველობის ჩასახვასთან ერთად აღნიშნუ-  
ლი კრიზისიც იხსნება, რაც გასაგებს ხდის მის ხანმოკლე არსებო-  
ბას. ასეთი პიროვნული პოზიციის წყალობით ჭაბუკი ქალ-ვაჟების  
სედვისათვის მისაწვდომი ხდება ცხოვრების ისეთი მხარეები, რაც  
მათზე უმცროსებისათვის დაფარული და შეუმჩნეველია.

თვითგანსაზღვრის მოთხოვნილება და მის საფუძველზე მსოფლ-  
მხედველობის ჩამოყალიბება მჭიდრო კავშირშია მოცემულ ასაკში  
პიროვნების განვითარების მეორე დამახასიათებელ თავისებურებას-  
თან, რომელიც **მომავალზე ორიენტაციაში** გამოიხატება. ჭაბუკი  
ქალ-ვაჟები საკუთარ თავს ძირითადად მომავალში იაზრებენ და მა-  
თთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი იქნება  
მათი მომავალი ცხოვრება. ამით ჭაბუკობა (და საერთოდ ახალგა-  
ზრდობის ხანა) არსებათად განსხვავდება როგორც ბავშვობის (რო-  
დესაც სუბიექტის ფსიქიკური აქტივობა ძირითადად აქტუალური  
იმპულსებითაა სტიმულირებული) ასევე მოწიფულობის (როდესაც  
აწმყო საზრუნვები პიროვნებას ნაკლებ დროსა და ენერგიას უტოვებს  
მომავალზე ფიქრისა და ზრუნვისათვის) და მოხუცებულობის (რო-  
დესაც სუბიექტის ფიქრები ძირითადად წარსულის მოგონებებს და-  
ტრიალებს) ასაკებისაგან. არც ერთ სხვა ასაკში ადამიანი იმდენს არ  
ფიქრობს მომავალზე, იმდენ გეგმებს არ აწყობს და არ ოცნებობს.  
როგორც ამას ჭაბუკობის დროს აქვს აღგილი. აწმყო პერიოდი. ჭა-  
ბუკების მიერ განიცდება როგორც მომავლისათვის მოსამზადებელი  
დრო. ამიტომ, ბავშვისაგან განსხვავებით, ჭაბუკი თავისუფლად ახე-  
რხებს აწმყო სიამოვნებანი გასწიროს, თუ ამას მისი მომავლის ინ-  
ტერესები მოითხოვს.

ყოველივე, რასაც კი ჭაბუკი აკეთებს, განიცდება როგორც მომა-  
ვლისათვის სამზადისი. ახალგაზრდა ადამიანის ძირითად საქმიანო-  
ბად, ჭაბუკობის პერიოდში, ჯერ ისევ სწავლა რჩება. ასაკის მომა-  
ვალზე ორიენტაციაც, პირველ რიგში, სწორედ სწავლასთან დამო-  
კიდებულებაში აისახება. სწავლა განიხილება როგორც მომავლის  
ინტერესებით განსაზღვრული პროცესი, რის გამოც ჭაბუკი ქალ-ვა-

უები შას გაცილებით საფუძვლიანად და სერიოზულად უკვირცხმან  
ვიდრე ეს ბავშვებსა და მოზარდებს შეუძლიათ. ჭაბუკები, ორმლე-  
ბიც თავიანთ მომავალს სწავლისთან კავშირში იაზრებენ, ხშირად  
მას თავისი ფხიზელი ცხოვრების მთელ ღროსაც ანდომებენ. დამამ-  
თავრებელ კლასებში მოსწავლეები მეტ ყურადღებას უთმობენ იმ  
საგნებს, რომელთა დაუფლებასაც მათი მომავლის გეგმებისათვის  
აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამითაც ჭაბუკები არსებით განსხ-  
ვავებას ამჟღავნებენ გარდამავალი ისაკის მოზარდებისაგან, რომელ-  
თა სასწავლო ინტერესებიც ზოგჯერ სრულიად არ შეესაბამება მა-  
თსავე სამომავლო გეგმებს.

იცვლება სასწავლო ქცევის მოტივაციური სტრუქტურაც. თუ  
აქამდე სასწავლო აქტივობა უფრო მეტად უშუალო (აქტუალურად  
მომქმედი) ფაქტორებით იყო მოტივირებული, ახლა წინა პლანზე  
გამოდას ცოდნის ობიექტური ღირებულების და ინდივიდის მომავ-  
ლისათვის მისი დაუფლების დიდი მნიშვნელობის შეგნება. როგორც  
ლ. ბოჟოვიჩის და მისი თანამშრომლების გამოყვლევებით გაირკვა,  
სწავლის მოტივაციის ცვლილება, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ,  
მოსწავლის ნიშანთან დამოკიდებულებაში ვლინდება. პიროვნების  
სწორი განვითარების შემთხვევაში ჭაბუკს აღარ ახასიათებს ნიშნი-  
საღმი თვითმიზნური მისწრაფება. მაღალი ნიშნის მღება მას სიხა-  
რულს ანიჭებს არა როგორც თავისთვის სასიამოვნო მოვლენა, არ-  
ამედ როგორც მისი წარმატებული სწავლის მაჩვენებელი, რაც გა-  
რანტიას ქმნის მომავალი წარმატებებისათვის.<sup>28</sup>

მომავალზე ჭაბუკის ორიენტაცია ვლინდება პროფესიის არჩევა-  
შიც. ასეთი არჩევანის უცილებლობის წინაშე მას გარეგანი პირო-  
ბებიც აყენებს, რადგან სწორედ ჭაბუკობის დასაწყისში ამთავრებს  
ახალგაზრდა სკოლაში სწავლას და მისთვის უცილებელი ხდება  
მომავალი. ცხოვრების გზის განსაზღვრა, მაგრამ ამისათვის მას თა-  
ვიდ ასაკის შინაგანი პოზიციაც განაწყობს: პროფესიის არჩევა ჭა-  
ბუკი ქალ-ვაჟების თვითგანსაზღვრის ერთ-ერთი არსებითი მომენ-  
ტია, ეს იგივეა რაც საზოგადოებაში თავისი აღვილის მონახვა, მო-  
მავალი ცხოვრების ძირითადი შინაარსის განსაზღვრა. სკოლა; მას-  
წავლებლები და მშობლები არსებითად უნდა დაეხმარონ ჭაბუკს  
პროფესიის არჩევის დროს საკუთარი შესაძლებლობების და ფსი-  
ქო-ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებაში.

<sup>28</sup> იხ. ლ. ბოჟოვიჩის დასახელებული ნაშრომი.

პროფესიის არჩევაზე გარკვეულშილად წინა ასაკის მოზარდებიც  
ფიქტობენ, მაგრამ ეს მათვის არსებითი არაა. ხშირად მათზე განა-  
ვანი სრულიად გარეგნული მოტივებითაა განსაზღვრული და ანგა-  
რიშს არ უწევს არც პროფესიის შინაარსს და არც ინდივიდის შესა-  
ძლებლობებს. ამიტომ, გარდამავალი ასაკის მოზარდები ხშირად  
ცვლიან თავიანთ არჩევანს სრულიად უბრალო მიზეზით. ინტერეს-  
დებიან სრულიად ახალი პროფესიებით (ზოგჯერ ამას ერთიმეორის  
მიბაძვითაც აკეთებენ) და სხვა. ერთი სიტყვით, გარდამავალი ასაკის  
მოზარდების პროფესიული ორიენტაცია ისევე ცვალებადი და წარ-  
მავალი მოვლენაა, როგორც ყველა მათი განცდა, განზრახვა და ოც-  
ნებია.<sup>29</sup>

სულ სხვა მდგომარეობაშია ჭაბუკი. როგორც სათანადო გამოკვ-  
ლევებითაა ნაჩვენები, იგი ფსიქოლოგიურად მზადაა მომავალი  
პროფესიის და საერთოდ ცხოვრების გზის ასარჩევად, ბევრს ფიქ-  
რობს ამაზე და თუ ნათელი პროფესიული ორიენტაცია არ აქვს,  
წუხს კიდევ. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს **მ. ჩხარ-**  
**ტიშვილი**, „პროფესიის შერჩევის საქმეში ჭაბუკთა შესაძლებლო-  
ბანი მეტისმეტად არ უნდა გადავაფასოთ. ხშირად ისეთი შემთხვე-  
ვებიც გვხვდება, როცა დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ამ სა-  
კითხს თავის წინაშე, სერიოზულად არ აყენებს და საფუძვლიანი  
აწონ-დაწონის საქმედ არ ხდის. ზოგი ისე ჩერდება ამა თუ იმ პრო-  
ფესიაზე, რომ მასთან მიმართებაში საკუთარ შესაძლებლობებს საე-  
რთოდ არ ითვალისწინებს; თვითონ პროფესია მოსწონს, მაგრამ მას  
რისი გაეთება შეუძლია ამ მიმართულებით, ამაზე არ ფიქრობს.  
ისეთი მოსწავლეებიც გვხვდებიან, რომელიც საშუალო სკოლას  
ისე ამთავრებენ, რომ არ აქვთ გადაწყვეტილი ცხოვრების რომელ  
გზას დაადგნენ და ელოდებიან შემთხვევას, რომელიც მათ ერთი  
რომელიმე გარკვეული მიმართულებით უბიძებს“<sup>30</sup> ამ ვრცელი ამ-  
ონაშერის მოტანა ამჯერად იმისათვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებია  
რა-რიგ დიდია სოციალური გარემოს და განსაკუთრებით კი სკოლის  
პასუხისმგებლობა მომზარდის სწორი პრფესიული ორიენტაციის  
საქმეში.

**29** ეს გარემოება სათანადო არაა გათვალისწინებული განათლების სისტე-  
მის რეფორმის იმ პროექტებში, რომლებიც ითვალისწინებენ მოზარდის  
მცენ სრულიად გარკვეული პროფესიის არჩევას უკვე IX კლასის შემ-  
დეგ, ე. ი. შუაგულ გარდამავალ ასაკში.

**30** მ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 92.

ჭაბუკი ქალ-ვაჟების მისწრაფება, მოძებნონ ცხოვრებაში თავისი ადგილი, რომელიც მათი მსოფლმხედველობის შესაფერისადნება, გამოხატულებას პოულობს ქცევისა და საერთოდ ცხოვრების ძირითადი პრინციპების განსაზღვრაშიც, რაც აგრეთვე ძალზე აქტუალურია ამ პერიოდში. ჭაბუკი ანალიტიკურად უკვირდება ცხოვრებას, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, გარშემო მყოფ ადამიანებს და ასე იმუშავებს მისთვის მისაღებ ცხოვრებისეულ მრწამს.

ახალგაზრდობის უმრავლესობისათვის, ასაკისათვის დამახასიათებელი ამაღლებული რომანტიკული განწყობილების შესაბამისად, დამახასიათებელია მომავალი ცხოვრების დაგეგმვა მაღალი იდეალებისადმა სამსახურით, მაღალი მორალური კატეგორიების პრიმატით. ნამდვილი მორალური ცნობიერებაც მხოლოდ ჭაბუკობის პერიოდში მიიღწევა, რადგან პიროვნების აბსტრაქტული აზროვნება პირველად ამ ასაკში სწავლება სიკეთის, სინდისის, ზეობრივი მოვალეობის, სამართლიანობის და სხვა მორალური კატეგორიების ჭეშმარიტ აზრს. სწორედ ამ კატეგორიათა შინაარსის თავისებური გაგებიდან გამომდინარეობს ჭაბუკის მიერ ჭევის ისეთი ძირითად პრინციპების დასახვა ცხოვრების კრედოდ, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ კომპრომისს, სიმდაბლისა და ბიწიერებისადმი ყოველგვარ შემრიგებლობას და დათმობას. ასეთნაირად გეგმავს ჭაბუკი თავის მომავალ „მისიას“ და სწამს, რომ თავის წვლილს შეიტანს კაცობრიობის პროგრესული განვითარების საქმეში, შეკვენის რამე ღიადსა და მნიშვნელოვანს. ცხადია, ყოველი ჭაბუკის ყოველ ოცნებას როდი უწერია ასრულება (თავის დროზე ჭაბუკური რომანტიზმით გაუღენთილ ადამიანთა უმრავლესობის ხევდრი მოწიფულობაში ჩვეულებრივი „საშუალო“ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება), მაგრამ ასაკის ამ ზოგად განწყობას თავისი ფუნქცია აქვს პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში და აღზრდის პროცესში იგი ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ფინქო-ფიზიკური განვითარების მაღალი დონის მიუხედავად, ჭაბუკი ჯერ ისევ მოზარდია და აღზრდის ობიექტს წარმოადგენს.

აღზრდის ნაკლოვანება, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ხშირად იმაში იჩენს ხოლმე თავს, რომ ჭაბუკის საომზრდელო (და საერთოდ სოციალური გარემოცვა) გარემო, თავაღ ვერ პასუხობს მაღალ მორალურ პრინციპებს, ვერ იძლევა მაგალითს აღ-

ფრთხოებისა და მიბაძვისათვის. უფრო მეტიც, მაღალი მორალური იდეალებით შთაგონებულ ახალგაზრდას სჭირდება კონკრეტული მიზანი, ჰეშმარიტი საქმე, რომლის სამსახურშიც დაიხარჯება და საკუთარი პერსონის ღირებულებასაც დაინახავს. ამ თვალსაზრისით კი, თავად ისტორიული ეპოქაც, რომელშიც სუბიექტს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდება, ძლიერ გავლენის ახდენს მის სულზე. თუ ადამიანის ძირითადი მისწრაფება ბედნიერების პოვნაა, ხოლო ბედნიერება ჰეშმარიტი ღირებულებათა სამსახურში მოპოვებული წარმატებებით მიიღწევა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეპოქას. რომელიც იძლევა ან არ იძლევა დიად საქმეთა ეტების საშუალებას, გადამწყვიტი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენში, საბჭოური ეპოქის ბოლო ხანებში, როდესაც კომუნისტური იდეალები საბოლოო გაკოტრდა, ხოლო ახალი მხსნელი მიზნები და იდეალები ჯერ მხლოდ ისახებოდა, ახალგაზრდობა (და არა მარტო ახალგაზრდობა) ფართოდ მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ნიპილისტურმა დამოკიდებულებამ, მისგან გამომდინარე ყველა სიმახისჯებით (ნარკომანია, ხულიგნობა, სქესობრივი აღვირახსნილობა...).

ისიც საგულისხმოა, თუ როგორი ენთუზიაზმით ჩადგა იგივე ახალგაზრდობა ახალი ეპოქალური იდეების სამსახურში, რა თავდადებით იღვწოდა ეროვნული დამოუკიდებლობის, საყოველო-ი სამართლიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის, სამწუხაროდ, იმპერიის მოქნილი პოლიტიკისა და ჩვენი შესაძლებლობის უაღრესი შეზღუდულობის წყალობით, აღნიშნული ოებრუ გაფერმკრთალდა (ბევრი მათგანი გაუკულმართთა კიდეც). ხოლო უიმედობასთან შერწყმულმა ნიპილისზმა ახალი გაათმავებული უნირგით იფეთქა. შეინიშნება, რომ ჩვენი ისტორიის გარდამავალი პერიოდი, რომელიც ადამიანური ბედნიერების მიღწევის თვალსაზრისით ყველაზე უპერსპექტივოა, დასასრულს უახლოვდება: ახალი ეპოქა მოიტანს ახალ მხსნელ იდეალებს და დღეს ასე მომძლავრებულ ნარკომანიას, გარყვნილობას და მსგავს უკულმართობებს სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი გამოეცლება.

კომუნისტური ეპოქის ინერცია და ახლანდელი ყოფის თავისებური გავლენა, ჭაბუკი ქალვაუების მორალური ცნობიერების ფორმირებაზე იმაშიც პოულობს თვის გამოხატულებას, რომ ქცევისა და ცხოვრების მორალურად გამართლებული და რომანტულად

ამაღლებული პრინციპებისაკენ სწრაფვა, ხშირად სრულიად აბსტრაქტულ, არაკონკრეტულ ხასიათს ატარებს. ბევრ ახალგაზირდას ივ სრულიად არ უშლის ხელს, რომ ცხოვრებას ანგარიშიანადაც მიუწვდეს. მაგალითად, პროფესიის არჩევაში ანგარიშს უწევს არა საკუთარ მიღრევილებებსა და შესაძლებლობებს, არამედ მატერიალურ მხარეს; საცოლის (საქმროს) შერჩევაში უპირატესობას აძლევს არა სიყვარულსა და სულიერ სიახლოეს, არამედ სიმდიდრეს და ა. შ. ზოგიერთი მკვლევარს, განსაკუთრებით საბჭოურ პერიოდში მოღვაწე ფსიქოლოგებიდან, გამოიქმული აქვთ მოსაზრება, რომ ეს გარემოება აისნება ჭაბუკის აბსტრაქტული აზროვნების თავისებური სისუსტით. მართალია ჭაბუკობის ასკში აბსტრაქტული აზროვნება განვითარების მაღალ დონეს აღწევს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაა იმდენად ძომწიფებული, რომ მოხერხდეს ზოგადი დებულებების კონკრეტიზაცია, ფიქრობენ აღნიშნული მკვლევარები.<sup>31</sup> ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ანგარიშს ვერ უწევს იმ გარემოებას, რომ სხვა ჭითარებაში (მაგალითად, სწავლის ან კვლევითი მუშაობის პროცესში) ჭაბუკი ქალ-ვაჟები მშვენივრად ახერხებენ დედუქციურ აზროვნებას და კონკრეტული ფაქტების განხილვას ზოგადი დებულებებისა და თეორიების შუქშე. ამასთანავე, ის ცხოვრებისეული ფაქტიც რომ თეორიულ პრინციპებსა და რეალურ ქმედებებს შორის მსგავსი განსვლა (როდესაც სუბიექტი მხურვალედ აღიარებს და მხარს უჭიერს ამა თუ იმ მორალურ პრინციპს, მაგრამ თავის ქცევებში მას ვერ იცავს) ბევრ ზრდასრულ და ინტელექტუალურად ძლიერ ადამიანთანაც (ზოგჯერ საყოველთაოდ ცნობილ და გამოჩენილ ადამიანებთანაც) შეინიშნება, იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ ეს მოვლენა მოუწესრიგებელი ყოფისა და მისგან დეფორმირებული საზოგადოებრივი ცნობიერების გამოვლენაა.

ასაკის დანარჩენი თავისებურებებიდან აღსანიშნავია სხვისი სულიერი მდგომარეობისა და განცდების წვდომის უნარის განვითარება. ასეთი რამ ბავშვისათვის, როგორც დავინახეთ, სრულიად მიუწვდომელია, ხოლო გარდამავალი ასაკის მოზარდი იმდენადაც დაკავებული საკუთარი განცდებით. რომ სხვისი სულიერი მდგომარეობის გასათვალისწინებლად ნაკლებად სცალია. ჭაბუკს სხვისი სულიერი მდგომარეობის წვდომაში ეხმარება, ერთის მხრივ, აზროვნების მაღალი ფორმების დაუფლება, მეორეს მხრივ კი ასაკისათვის დამა-

<sup>31</sup> ხე. ვაგ. Н. Д. Левитов. Психология старшего школьника. 1955.

ხასიათებელი ფილოსოფიურა განწყობა: „მე“-ს თვითცნობიერება, რომელიც, როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში ინტენსიურა განვითარება თარებას განიცდის, ჭაბუკობის პერიოდში იმ სიმაღლეზე აღის, რომ მოიცავს „შენ“-ის განცდასაც. ამიტომ, ჭაბუკი ადვილად ახერხებს სხვის სულში ჩახედვას, რასაც სოციალური ურთიერთობები და დამოკიდებულებები ახალ საფეხურზე აჰყავს. სათანადო სიტუაციებში ჭაბუკი ნამდვილ თანავრძნობას განიცდის სხვა ადამიანთა მიმართ და ჭეშმარიტი თანადგომის უნარიც შესწევს.

ეს ფსიქოლოგიური თავისებურება განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთქმედების ისეთი ფორმა, როგორიცაა თანამშრომლობა, მისი ჭეშმარიტი არსით მხოლოდ ჭაბუკობის ასაკიდან ვლინდება. ცხადია, მისი ჩანასახები ბავშვობის აღრეული პერიოდებიდანვე იჩენს თავს (სხვაგვარად მისი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა), მაგრამ ჭეშმარიტი ურთიერთ მხარში დგომა, საერთო საქმისათვის ძალისხმევის გაერთიანება, მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც ადამიანს სხვისი განცდების წვდომის უნარი განუვითარდება.

თანამშრომლობა საფუძვლად ეჭება ისეთი ფაქტი გრძნობის განვითარებას, როგორიცაა ამხანავობა. ამხანავები სწორედ საერთო საქმით გაერთიანებული ადამიანებია, რომლებიც გამოირჩევიან ურთიერთ მხარდაჭერით, ერთმანეთისადმი სიმპატიით, ურთიერთ დაფასებით და პატივისცემით. ჭაბუკობის პერიოდამდე ამხანავობა უფრო კონკრეტულ ქცევებში პოულობს თავის გამოვლინებას (ერთი ეხმარება მეორეს დავალების მომზადებაში, რაიმე საქმის გაკეთებაში, შეიძლება მხარი დაუჭიროს ჩეუბში და სხვა), მაგრამ მოზარდისათვის ამხანავობის ჭეშმარიტი არსი ჯერ მიუწვდომელია. ჭაბუკებთან ამხანავობა (მაგალითად კლასის, როგორც სოციალური ჯგუფის სოლიდარობის გრძნობა), ემოციური განცდის დონეზეა ამაღლებული და პრინციპულ ხასიათს ატარებს. ჭაბუკი, როგორც სოციომეტრული მეთოდით ჩატარებული გამოკვლევები აღასტურებს, ამხანავის შერჩევისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მის პიროვნულ თვისებებს (ერთგულება, გამტანობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი და სხვა) და საჯუთარ თავსაც ანალოგურ მოთხოვნებს უყენებს.

ამხანავობასთან ერთად, განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადის მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობები. მეგობრობა, როგ-

ორც ცნობილია, სულიერ სიახლოვეს ემყარება. შეიძლება ადამია-  
ნები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და კარგ ამხანაგებსკურულ  
მოადგენდნენ, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა მათ შემოსის  
დაყვარდეს და პირიქით, შეიძლება მეგობრებმა გარკვეულ საქმეში  
თანამშრომლობა სრულიად ვერ მოახერხონ. თუმცა, ჩვეულებრივ,  
უფრო ხშირა შემთხვევები, როცა ამხანაგობა მეგობრობაში გადა-  
იზრდება. ჰე შმარიტი შეგობრობის ორსიც მხოლოდ ჭაბუკობის ასა-  
კიდან ხდება მოზარდისათვის მისაწვდომი, რადგან იგი სხვის სუ-  
ლიერ საყვაროში წვდომას, სხვისი სულიერი მდგომარეობის გათვა-  
ლისწინებას ემყარება. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ  
ჭაბუკს შეუძლია ჰე შმარიტი თანაგრძნობა, სხვისი კეთილდღეობი-  
სათვის ზოგიერთი პირადული მისწრაფების შეკვეცა, გარკვეული  
თვითგახარჯვა, ურომლისოდაც მეგობრობა შეუძლებელია.

ამხანაგობა და მეგობრობა ურთიერთსიყვარულზეა აგებული.  
გარდა ამისა, ჭაბუკობის პერიოდში განვითარების მწვერვალს აღ-  
წევს სქესთა შორის ურთიერთობა და სქესობრივი სიყვარული. გა-  
რდამვალი ასაკის მოზარდებისათვის დამახაიათებელი ცვალებადი  
და არამყარი შეყვარებულობა, 16-17 წლიდან ჰე შმარიტი სიყვარუ-  
ლის განცდით ცვლება. მთლიანდება ხორციელი და სულიერი მი-  
სწრაფები. ამასთანავე ჭაბუკობის ასაკში სიყვარული ძირითადად  
ორმხერივ ხასიათს იტარებს. უფრო მეტიც, უმეტესწილად სწორედ  
ჭაბუკობის ასაკში სწყვეტს პიროვნება მისი ცხოვრების კიდევ ერთ  
ფუნდამენტალურ პრობლემას: ქორწინებას და ოჯახის შექმნას.  
ესეც მომავალი ცხოვრების გზის არჩევის ერთ-ერთი ძალზე, მნიშ-  
ვნელოვანი მომენტია, რისთვისაც ახალგაზრდა სკოლამ და ოჯახმა  
მორალურად და ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადოს.

20—21 წლის ასაკში ახალგაზრდას დაძლეული აქვს სერიოზული  
ცხოვრების დაწყების ძირითადი პრობლემები, მოძებნილი აქვს სა-  
ზოგადოებაში თვისი. ადგილი და არსებითად ზრდა-განვითარების  
პროცესიც მთავრდება.

## შინაარსი

წინასიტყვაობა	3
თავი I	
ასაკობრივი ფსიქოლოგიის საგანი და მეთოდები	5
1. ასაკობრივი ფსიქოლოგიის საგანი	5
2. ასაკობრივი ფსიქოლოგიის მეთოდები	11
თავი II	
ფსიქიური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები	30
თავი III	
ფსიქიური განვითარების პერიოდების ზოგადი დახასიათება	62
1. დედის მუცლის პერიოდი	62
2. ახალდადებულობის პერიოდი	63
3. ძუძუს ანუ ჩვილი ბავშვობის პერიოდი	66
4. ადრეული ბავშვობა	69
5. სკოლამდელი ასაკი	81
6. უმცროსი სასკოლო ასაკი	93
7. გარდამავალი ასაკი	105
8. კაბუკობის ასაკი	121



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი აგესალოვ კალანდარაშვილი  
გამომშვები ქახა კაკოვიჩი

ეუთაცხის აკ. ფიროთლის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა



მ.მ.ს. ქუთაისის № 6 სტამბა

შეკვეთა № 206

ტირაჟი 1000

1998-645



ଓଡ଼ିଆ  
ସାହିତ୍ୟ